ნაშრომში შემოთავაზებული იქნება შტოებისა და საზღვრების ტიპის ალგორითმი. ვინაიდან ალგორითმი იტერაციულ მეთოდს წარმოადგენს, ამიტომ შემოვიღოთ იტერაციების მთვლელი k. დასაწყისში k=1 და მიზნის ფუნქციის საწყისი მნიშვნელობაა $\rho = 0$. ვიგულისხმოთ, რომ დასაჭრელი მართკუთხედის ზომები დასასწყისში $L^{(k)} = L$ და $W^{(k)} = W$. ამასთან, $L^{(k)} \geq \min(a,b)$ და $W^{(k)} \geq \min(a,b)$. ამოვარჩიოთ დასაჭრელი მართკუთხედის ზედა მარცხენა კუთხე და დავიწყოთ ვარიანტების ხის აგება: გვაქვს გაჭრის 4 ვარიანტი:

1. ჩამოვჭრათ b სიგანის და $L^{(k)}$ სიგრძის ზოლი ჰორიზონტალური გაჭრით, მოვახდინოთ მიღებული ზოლის ფრაგმენტაცია a სიგრძეებად. ამ შემთხვევაში მიიღება $\left[\frac{L^{(k)}}{a}\right]$ რაოდენობის დეტალი, ხოლო დასაჭრელი დარჩება $S_1^{(k)} = L^{(k)} \times (W^{(k)} - b)$ ფართობი. ნარჩენი ფართობი ტოლი იქნება $\Delta_1^{(k)} = b \times (L^{(k)} - \left[\frac{L^{(k)}}{a}\right] \times a)$. ნახ.1 (1)

2. ჩამოვჭრათ a სიგანის და $L^{(k)}$ სიგრძის ზოლი ჰორიზონტალური გაჭრით, მოვახდინოთ მიღებული ზოლის ფრაგმენტაცია b სიგრძეებად. ამ შემთხვევაში მიიღება $\left[\frac{L^{(k)}}{b}\right]$ რაოდენობის დეტალი, ხოლო დასაჭრელი დარჩება $S_2^{(k)} = L^{(k)} \times (W^{(k)} - a)$ ფართობი. ნარჩენი ფართობი ტოლი იქნება $\Delta_2^{(k)} = a \times (L^{(k)} - \left[\frac{L^{(k)}}{b}\right] \times b)$. ნახ.2 (2)

3. ჩამოვჭრათ a სიგანის და $W^{(k)}$ სიგრძის ზოლი ვერტიკალური გაჭრით, მოვახდინოთ მიღებული ზოლის ფრაგმენტაცია b სიგრძეებად. ამ შემთხვევაში მიიღება $\left[\frac{W^{(k)}}{b}\right]$ რაოდენობის დეტალი, ხოლო დასაჭრელი დარჩება $S_3^{(k)} = W^{(k)} \times (L^{(k)} - a)$ ფართობი. ნარჩენი ფართობი ტოლი იქნება $\Delta_3^{(k)} = a \times (W^{(k)} - \left[\frac{W^{(k)}}{b}\right] \times b)$. ნახ.3 (3)

4. ჩამოვჭრათ b სიგანის და $W^{(k)}$ სიგრძის ზოლი ვერტიკალური გაჭრით, მოვახდინოთ მიღებული ზოლის ფრაგმენტაცია a სიგრძეებად. ამ შემთხვევაში მიიღება $\left[\frac{W^{(k)}}{a}\right]$ რაოდენობის დეტალი, ხოლო დასაჭრელი დარჩება $S_4^{(k)} = W^{(k)} \times (L^{(k)} - b)$ ფართობი. ნარჩენი ფართობი ტოლი იქნება $\Delta_4^{(k)} = b \times (W^{(k)} - \left[\frac{W^{(k)}}{a}\right] \times a)$. ნახ.4 (4)



ამოვარჩიოთ სვლა შემდეგი წესის მიხედვით: ვიპოვოთ და მოვახდინოთ გაჭრა ისეთი i -ს მიხედვით, რომლისთვისაც $\lambda^{(k)} = \min_{1 \leq i \leq 4} \Delta_i^{(k)}$. დავიმახსოვროთ ეს ნომერი $i^{(k)} = i$. $\rho = \rho + \Delta_{i^{(k)}}^{(k)}$. შემოვიღოთ სიმრავლე $I^{(k)}$, რომლის ელემენტები არიან j ინდექსები დალაგებული შემდეგი წესის მიხედვით $j \in I^{(k)} \supset \{1,2,3,4\}$, $j \neq i^{(k)}$ $\Delta_{j_1}^{(k)} \leq \Delta_{j_2}^{(k)} \leq \ldots$. შევამციროთ მოცემული მართკუთხედის ზომა:

$W^{(k)} = W^{(k-1)} - b$, *თუ* $i^{(k)} = 1$; $W^{(k)} = W^{(k-1)} - a$, *თუ* $i^{(k)} = 2$;

$L^{(k)} = L^{(k-1)} - a$, *თუ* $i^{(k)} = 3$; $L^{(k)} = L^{(k-1)} - b$, *თუ* $i^{(k)} = 4$. (5)

შევამოწმოთ პირობები: $L^{(k)} \geq \min(a,b) \wedge W^{(k)} \geq \min(a,b)$. თუ ორივე უტოლობაერთდროულად სრულდება, მაშინ გავზარდოთ k=k+1 და გადავიდეთ მართკუთხედისგაჭრის ზემოთ მოყვანილი 4 ვარიანტის განხილვაზე.

თუ $L^{(k)} < \min(a,b)$ ან $W^{(k)} < \min(a,b)$, (6)

მაშინ $\rho = \rho + L^{(k)} \times W^{(k)}$, ხოლო თუ $\rho < a \times b$, მაშინ იტერაციული პროცესი დამთავრებულია. იტერაციების რაოდენობა იქნება k, ხოლო ოპტიმალური დასაჭრელი გეგმა განისაზღვრება ვექტორით $\omega = \{i^{(1)}, i^{(2)}, \ldots, i^{(k)}\}$.

თუ (6) უტოლობებიდან ერთერთი მაინც სრულდება, $\rho > a \times b$ და $I^{(k)}$ სიმრავლეებიდან ერთი მაინც არ არის ცარიელი, მაშინ დავიმახსოვროთ $\rho 1 = \rho$ და გადავიდეთ უკუსვლის პროცედურებზე: ბოლო $I^{(k)}$ სიმრავლიდან ამოვშალოთ პირველი ელემენტი j_1, შევცვალოთ ინდექსი $i^{(k)} = j_1$ და გაჭრა მოვახდინოთ j_1 ვარიანტის მიხედვით. ამ შემთხვევაში გადავდივართ (5) ფორმულებზე და ვაგრძელებთ ρ მნიშვნელობის გამოთვლას ისევე, როგორც პირდაპირი პროცესის დროს. თუ აღმოჩნდა, რომ $\rho 1 > \rho$ (წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა $\rho 1 \leq \rho$, მაშინ ρ მნიშვნელობას არ ვცვლით და $I^{(k)}$ სიმრავლიდან ამოვშლით მომდევნო j_2 ელემენტს), მაშინ შევცვლით მნიშვნელობას $\rho 1 = \rho$, ω ვექტორის $i^{(k)}$ ელემენტი შეიცვლება j_1 ელემენტით. ამის შემდეგ $I^{(k)}$ სიმრავლიდან ამოვშალოთ მომდევნო j_2 ელემენტი, მოვახდინოთ გაჭრა j_2 ვარიანტის მიხედვით და კვლავ გადავიდეთ (5) ფორმულებზე. ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ $I^{(k)}$ სიმრავლე ცარიელი არ გახდება. თუ (6) პირობები არ შესრულდა და იტერაციული პროცესი არ დასრულდა, მაშინ შევცვალოთ $k = k - 2$, ანუ გადავიდეთ ვარიანტების ხის კიდევ ერთი საფეხურით ზევით და გავიმეოროთ იგივე პროცესი.

აღწერილი ალგორითმი სირთულე $O(k^3)$ რიგისაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. 3. Btaiewicz, M. Drozdowski, B. Soniewicki, R. Walkowiak "Two-Dimensional Cutting Problem", International Institute for Applied Systems Analysis A-2361 Laxenburg Austria. 1991.
2. Dilek Tuzun Aksu, Bahadır Durak "A Dynamic Programming Algorithm for the Online Cutting Problem with Defects and Quality Grades". IFAC-PapersOnLine 49-12 (2016) 017–022.
3. Стрелец Е.С. "Экономия материальных затрат предприятия сиспользованием метода оптимального раскроя материала". Экономика и экономические науки. 2016

Mathematical model of optimal cutting of a homogeneous thin plate

Kutkhashvili K.V
The University of Georgia
kutkhashvili@yahoo.com

The profitability of the production process is of paramount importance. For this purpose, special attention is paid to the problem of saving resources. Often such resources are precious metals, paper, glass, fabric and much more. Savings of resources depend on the optimal reduction and minimization of waste. Mathematical models of such problems are related to integer programming problems and NP-complicated. The paper deals with the problem of cutting a rectangular thin plate into rectangular pieces and proposing an algorithm for solving it.

დრეკად–ბლანტი სხეულების თვისებების აღმწერი ოთხ ელემენტიანი განზოგადებული მოდელების შედარებითი ანალიზი

ბ. აბესაძე
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
ქეთევან დედოფლის გამზირი №16, თბილისი, 0103

გადმოცემულია, დრეკად-ბლანტი სხეულების თვისებების აღმწერი, ოთხ ელემენტიანი განზოგადებული, ორი განსხვავებული ტიპის მოდელის შედარებითი ანალიზი. შეგუნილია ძაბვის, დეფორმაციის და დროის მაკავშირებელი რეოლოგიური დამოკიდებულებები. შესწავლილია დეფორმაციის და ძაბვის დროში განვითარება, შესაბამისად, მუდმივი ძაბვისა და მუდმივი დეფორმაციის პირობებში. თითოეული მოდელისათვის მიღებული შედეგები შედარებულია ერთმანეთთან და დრეკად- ბლანტი სხეულების ექსპერიმენტული გამოცდის შედეგად მიღებულ თვისობრივ მონაცემებთან. გამოტანილია დასკვნები თითოეული ტიპის მოდელის უპირატესობისა და ნაკლოვანებების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: *განზოგადებული მოდელები, კომპოზიტი, დეფორმაცია, თვისება, ანალიზი.*

1. შესავალი

სამანქანათმშენებლო მიმართულებით, განსაკუთრებით საავიაციო ტექნიკაში, ფართო გამოყენება აქვს კომპოზიციურ მასალებს (მაგ. მინაბოჭკოვანი მატრიცა და ებონიტის შემავსებელი). ასეთი სხეულების თვისებები განსხვავდება ჩვეულებრივი მეტალების თვისებებისგან. მათ ახასიათებს დეფორმაციები, რომლებიც გარდა დატვირთვებისა, დროზეც არის დამოკიდებული. ასეთ მასალებს ერთდროულად ახასიათებს, როგორც დრეკადი ასევე ბლანტი სხეულების თვისებები და შესაბამისად მარტივი მათემატიკური დამოკიდებულებებიც, რომლებიც აღწერს ამ დეფორმაციებს $\sigma = E\varepsilon$ (ჰუკის კანონი) და $\sigma = \eta\frac{d\varepsilon}{dt}$ (ნიუტონის კანონი) აღარ არის სამართლიანი. ასეთ სხეულებს ზოგადად დრეკად–ბლანტი სხეულები შეიძლება ვუწოდოთ. მათი თვისებების აღსაწერად შეიძლება გამოვიყენოთ ე.წ. მოდელები, რომლებიც წარმოადგენს წმინდად დრეკადი და პლასტიკური თვისებების სხეულების გარკვეულ კომბინაციებს. [1, 2, 3] ლიტერატურაში აღწერილია შედარებით მარტივი ორ ელემენტიანი მაქსველის და კელვინ–ფოიხტის მოდელები, ასევე განზოგადებული სამ ელემენტიანი მოდელების ყველა შესაძლო ვარიანტები.


მოდელების თეორიის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია მათში ელემენტების რაოდენობის ზრდაში. ოთხ ელემენტიანი მოდელის მრავალი კომბინაციის შედგენა არის შესაძლებელი. გამოვყოთ მხოლოდ ორი დრეკადი და ორი ბლანტი ელემენტის შემცველი სახეობები. მათი კლასიფიკაცია შესაძლებელია მოხდეს ორი ძირითადი ხაზის მიხედვით: 1) მოდელი, რომელიც შეიცავს უწყვეტად მიმდევრობით შეერთებულ ან შემკვრელ დრეკად ელემენტებს და 2) მოდელი შეიცავს ერთ მაინც თავისუფალ ბლანტ ელემენტს. მეორე ხაზის მოდელების თვისებები გადმოცემულია [2, 3]-ში. მოცემული თემის ფარგლებში დაწვრილებით განვიხილავთ.

2. ძირითადი ნაწილი

აღნიშნული სახის ოთხ ელემენტიანი მოდელების მრავალი კომბინაციიდან შევარჩიოთ კლასიფიკაციის 1) და 2) ხაზის მოდელების ერთი კომბინაცია და მოვახდინოთ მათი თვისებების შედარებითი ანალიზი. ასეთ შემთხვევებად

სიმბოლურად ავირჩიოთ პარალელურად და მიმდევრობით შეერთებული მაქსველისა და კელვინ-ფოიხტის ორ ელემენტიანი მოდელები.

1. ოთხ ელემენტიანი მოდელი კლასიფიკაციის 1) ხაზის მიხედვით (ნახ. 1):



ნახ. 1 ოთხ ელემენტიანი მოდელი შემკვრელი დრეკადი ელემენტით

თითოეული ელემენტისათვის უნდა დაიწეროს ძაბვისა და დეფორმაციის მაკავშირებელი დამოკიდებულება (ჰუკის კანონი ან ნიუტონის კანონი), ასევე საერთო ძაბვისა და დეფორმაციის გამომსახველი განტოლებები. ინდექსიანი პარამეტრების გამორიცხვის შემდეგ მიიღება ძაბვისა და დეფორმაციის მაკავშირებელი დიფერენციალური დამოკიდებულება (რეოლოგიური განტოლება), რომელსაც მოცემულ შემთხვევაში აქვს სახე:

$$\frac{d^2\varepsilon}{dt^2} = \frac{1}{\eta_1}\frac{d\sigma}{dt} - \frac{(E_1+E_2)\eta_2+E_2\eta_1}{\eta_1\eta_2}\frac{d\varepsilon}{dt} + \frac{E_2}{\eta_1\eta_2}\sigma - \frac{E_1E_2}{\eta_1\eta_2}\varepsilon. \quad (1)$$

ნელი და სწრაფი დეფორმაციის განხილვისას შესაძლებელია შესაბამისად წარმოებულების და თავისუფალი წევრების უკუგდება. ასეთ შემთხვევაში მიიღება მარტივი დამოკიდებულებები: $\sigma = E\varepsilon$ ნელი დეფორმაციისას და $\dot{\sigma} = H\dot{\varepsilon}$ სწრაფი დეფორმაციისას. (1)-ის გათვალისწინებით დრეკადობის ხანგრძლივი და მყისი მოდულებისთვის მივიღებთ:

$$E = E_1 \text{ და } H = \frac{(E_1+E_2)\eta_2+E_2\eta_1}{\eta_2}. \text{ დამატებითი აღნიშვნები: } n = \frac{\eta_2}{E_1} \text{ და } \eta = \eta_1. \quad (2)$$

(2)-ის გათვალისწინებით (1) მიიღებს სახეს:

$$\frac{d^2\varepsilon}{dt^2} = \frac{1}{\eta}\frac{d\sigma}{dt} - \frac{H}{\eta}\frac{d\varepsilon}{dt} + \frac{1}{\eta n}\sigma - \frac{E}{\eta n}\varepsilon. \quad (3)$$

(3) განტოლების ზოგადი ამოხსნა ვერ ხერხდება. კერძო შემთხვევებში, როგორიცაა მუდმივი დატვირთვის (ცოცვადობა) და მუდმივი დეფორმაციის (რელაქსაცია) დროს შესაძლებელია ზუსტი ამონახსნების მიღება. განვიხილოთ ეს შემთხვევები:

ა) $\sigma = \sigma_c = const$ (ცოცვადობა). (3) მიიღებს სახეს:

$$\frac{d^2\varepsilon}{dt^2} + \frac{H}{\eta}\frac{d\varepsilon}{dt} + \frac{E}{\eta n}\varepsilon = \frac{\sigma_c}{\eta n}, \quad (4)$$

რომლის ამონახსნი, როცა $t = 0$, მაშინ $\varepsilon = \varepsilon_0 = \frac{\sigma_c}{H}$ და $\dot{\varepsilon}(0) = \nu_0$ (დეფორმაციის საწყისი სიჩქარე), საწყისი პირობების გათვალისწინებით მოიცემა სახით:

$$\varepsilon(t) = \frac{\nu_0 - k_2\sigma_c\left(\frac{1}{H}-\frac{1}{E}\right)}{k_1-k_2}e^{k_1 t} - \frac{\nu_0 - k_1\sigma_c\left(\frac{1}{H}-\frac{1}{E}\right)}{k_1-k_2}e^{k_2 t} + \frac{\sigma_c}{E}, \quad (5)$$

სადაც $k_1 = \frac{-H+\sqrt{H^2-4E\eta/n}}{2\eta} < 0$ და $k_2 = \frac{-H-\sqrt{H^2-4E\eta/n}}{2\eta} < 0$ არის (4) გამოსახულების შესაბამისი მახასიათებელი განტოლების ამონახსნები.

თუ გარკვეული დროის შემდეგ მოვხსნით დატვირთვას, მაშინ სისტემა მყისიერად ახლებურად ფორმირდება, დეფორმაციის დროში განვითარება გაგრძელდება სხვაგვარად ახალი საწყისი პირობებით: როცა $t = 0$, $\varepsilon = \varepsilon_0'$ და $\dot{\varepsilon}(0) = \nu_0'$ (უნდა აღინიშნოს, რომ საწყისი დეფორმაციის სიჩქარე იცვლის თავის მიმართულებას). ასეთ შემთხვევაში (4) განტოლების ამონახსნი განტვირთვის დროს ($\sigma_c = 0$) მიიღებს სახეს:

$$\varepsilon(t) = \frac{\nu_0' - k_2\varepsilon_0'}{k_1-k_2}e^{k_1 t} - \frac{\nu_0' - k_1\varepsilon_0'}{k_1-k_2}e^{k_2 t}. \quad (6)$$

(5) და (6) გამოსახულებებით მოცემული ცოცვადობის და განტვირთვის შესაბამისი სქემატური გრაფიკული გამოსახულებები მოცემულია ნახ. 2-ზე.



ნახ. 2 ცოცვადობის და განტვირთვის მრუდები

ბ) $\varepsilon = \varepsilon_c = const$ (რელაქსაცია), (3) მიიღებს სახეს:

$$\frac{d\sigma}{dt} + \frac{1}{n}\sigma = \frac{E\varepsilon_c}{n}, \quad (7)$$

რომლის ამონახსნი საწყისი პირობებით, როცა $t = 0$, მაშინ $\sigma = \sigma_0 = H\varepsilon_c$, მოიცემა სახით:


$$\sigma(t) = \varepsilon_c(H-E)e^{-\frac{t}{n}} + E\varepsilon_c. \quad (8)$$

(8) განტოლების სქემატური გრაფიკული გამოსახულება მოცემულია ნახ. 3-ზე:



ნახ. 3 რელაქსაციის მრუდი

2. ოთხ ელემენტიანი მოდელი კლასიფიკაციის 2) ხაზის მიხედვით (ნახ. 4):



ნახ. 4 ოთხ ელემენტიანი მოდელი თავისუფალი ბლანტი ელემენტით

განხილულის ანალოგიურად, აქაც შევადგინოთ საერთო ძაბვისა და დეფორმაციის მაკავშირებელი რეოლოგიური განტოლება, რომელსაც ექნება სახე:

$$\frac{d^2\varepsilon}{dt^2} - \frac{1}{E_2}\frac{d^2\sigma}{dt^2} = \frac{(\eta_1+\eta_2)E_2+\eta_1E_1}{\eta_1\eta_2E_2}\frac{d\sigma}{dt} - \frac{E_1}{\eta_2}\frac{d\varepsilon}{dt} + \frac{E_1}{\eta_1\eta_2}\sigma. \quad (9)$$

დრეკადობის ხანგრძლივი მოდული ამ შემთხვევაში ვერ განისაზღვრება [2, 3], ხოლო მყისიერ მოდულს და დამატებით აღნიშვნებს აქვს სახე:

$$H = \frac{\eta_1E_1E_2}{(\eta_1+\eta_2)E_2+\eta_1E_1}; n = \frac{\eta_2}{E_1}; \eta = \eta_1; E = E_2, \quad (10)$$

რის შემდეგაც (9)-ს ექნება ფორმა:

$$\frac{d^2\varepsilon}{dt^2} - \frac{1}{E}\frac{d^2\sigma}{dt^2} = \frac{1}{nH}\frac{d\sigma}{dt} - \frac{1}{n}\frac{d\varepsilon}{dt} + \frac{1}{n\eta}\sigma. \quad (11)$$

ამ შემთხვევაშიც (11) განტოლების ზოგადი ამოხსნა ვერ ხერხდება. განვიხილოთ კერძო შემთხვევები:

ა) ცოცვადობა და განტვირთვის პროცესი ($\sigma = \sigma_c = const$). (11) მიიღებს სახეს:

$$\frac{d^2\varepsilon}{dt^2} + \frac{1}{n}\frac{d\varepsilon}{dt} = \frac{\sigma_c}{n\eta}. \quad (12)$$


მისი ამონახსნი საწყისი პირობებით, როცა $t = 0$, მაშინ $\varepsilon = \varepsilon_0 = \frac{\sigma_c}{H}$ და $\dot{\varepsilon}(0) = \nu_0$, მოიცემა სახით:

$$\varepsilon(t) = \left[\sigma_c\left(\frac{1}{H} - \frac{n}{\eta}\right) + n\nu_0\right] + \left[\frac{n\sigma_c}{\eta} - n\nu_0\right]e^{-\frac{t}{n}} + \frac{\sigma_c}{\eta}t, \quad (13)$$

ხოლო დატვირთვის მოხსნის შემდეგ სისტემის საწყისი პარამეტრები გახდება ε_0' და ν_0', რის შემდეგაც (12) განტოლების ამონახსნს ($\sigma_c = 0$) განტვირთვის შემთხვევაში ექნება სახე:

$$\varepsilon(t) = \varepsilon_0' + n\nu_0'\left(1 - e^{-\frac{t}{n}}\right). \quad (14)$$

ამ შემთხვევის შესაბამისი ცოცვადობის და განტვირთვის სქემატური მრუდები გამოსახულია ნახ. 5-ზე:



ნახ.3 ცოცვადობის და განტვირთვის მრუდები

ბ) რელაქსაცია ($\varepsilon = \varepsilon_c = const$). (11) მიიღებს სახეს:

$$\frac{d^2\sigma}{dt^2} + \frac{E}{nH}\frac{d\sigma}{dt} + \frac{E}{n\eta}\sigma = 0. \qquad (15)$$

(15)-ის ამონახსნი საწყისი პირობებით, როცა $t = 0$, $\sigma(0) = \sigma_0 = H\varepsilon_c$ და $\dot{\sigma}(0) = \mu_0$ (ძაბვის საწყისი სიჩქარე), მოიცემა სახით:

$$\sigma(t) = \frac{\mu_0 - H\varepsilon_c p_2}{p_1 - p_2} e^{p_1 t} - \frac{\mu_0 - H\varepsilon_c p_1}{p_1 - p_2} e^{p_2 t}, \qquad (16)$$

სადაც $p_1 = \frac{-E + \sqrt{E^2 - \frac{4nEH^2}{\eta}}}{2nH} < 0$ და $p_2 = \frac{-E - \sqrt{E^2 - \frac{4nEH^2}{\eta}}}{2nH} < 0$ არის (15) გამოსახულების შესაბამისი მახასიათებელი განტოლების ამონახსნები.

(16)-ის გრაფიკული გამოსახულება მოცემულია ნახ. 6-ზე:



ნახ.8 რელაქსაციის მრუდი

3. დასკვნები

ორივე ტიპის მოდელისთვის მიიღება დროის მიხედვით მეორე რიგის დიფერენციალური დამოკიდებულება (რეოლოგიური განტოლება), მაგრამ მათში ძაბვები და დეფორმაციები, წარმოებულების რიგის მიხედვით, არასიმეტრიულია. 2) შემთხვევაში განსხვავება მხოლოდ დეფორმაციის შემცველი თავისუფალი წევრის არარსებობითაა გამოწვეული.

ცოცვადობის და რელაქსაციის პროცესების აღწერისას ორივე ტიპის მოდელი იძლევა განსხვავებულ შედეგებს, კერძოდ, 1) მოდელით ცოცვადობის პროცესი აღიწერება ისე, რომ ხანგრძლივი დროის შემდეგ დეფორმაცია აღწევს რაღაც მაქსიმალურ მნიშვნელობას. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ასეთი შემთხვევა იშვიათია, რეალურად, დროის მიხედვით დეფორმაციის პროცესი არ ჩერდება. თუმცა გარკვეული სიზუსტით შედეგები შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. კლასიფიკაციის ამ ხაზის მოდელების სამ ელემენტიანი ვარიანტისგან განსხვავებით [1] ცოცვადობის მრუდი წარმოადგენს ორი ექსპონენციალური შესაკრების კომბინაციას,

დამოუკიდებელი პარამეტრების რიცხვი უფრო მეტია და ექსპერიმენტთან ეფექტურად შეთავსების მეტი შესაძლებლობაა. განტვირთვის დროს სისტემა სრულად აღიდგენს საწყის მდგომარეობას, ნარჩენი დეფორმაცია არ გვექნება. რაც შეეხება რელაქსაციის პროცესს, ამონახსნი წარმოადგენს მარტივ ექსპონენტას რაც ექსპერიმენტთან მიმართებით მეტ უზუსტობას იძლევა. ამ შემთხვევაში, ხანგრძლივი დროის შემდეგ ძაბვა ჩერდება რაღაც არანულოვან მნიშვნელობაზე.

კლასიფიკაციის 2) ხაზის მოდელის შემთხვევაში ცოცვადობისა და რელაქსაციის მრუდები არ წარმოადგენს მარტივ ექსპონენტებს, დამოუკიდებელი პარამეტრების რიცხვიც მეტია მათ სამ ელემენტიან [2, 3] ვარიანტებთან შედარებით და ექსპერიმენტთან შედარების მეტი ეფექტური შესაძლებლობაა. ცოცვადობის პროცესის აღწერისას დეფორმაცია ხანგრძლივი დროის მანძილზე ყოველთვის მიმდინარეობს, რისი გამოვლინებაც პრაქტიკაშიც ხშირად გვხდება. η_1 სიბლანტის კოეფიციენტის ვარირებით ეს პროცესი შესაძლოა ვმართოთ ექსპერიმენტულ მონაცემებთან შეთავსების თვალსაზრისით, ხოლო თუ მას მივასწრაფებთ უსასრულობისკენ მაშინ ნახ. 4-ზე გამოსახული მოდელი გადაიქცევა კლასიფიკაციის 1) ხაზის განზოგადებული მოდელის სამ ელემენტიან ვარიანტად [1]. განტვირთვის შემდეგ სისტემაში რჩება ნარჩენი დეფორმაციები, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით რეალობასთან უფრო ახლოს დგას. რელაქსაციის პროცესი ამ შემთხვევაში იძლევა შედეგს, რომ ხანგრძლივი დროის შემდეგ ძაბვა 0-მდე ეცემა, რაც პრაქტიკულად ზოგ შემთხვევაში არ ვლინდება. ეს ფაქტი ამ მოდელის უარყოფით მხარედ შეიძლება შეფასდეს, თუმცა პრაქტიკული სიზუსტის თვალსაზრისით დასაშვებია.

გამოყენებული ლიტერატურა:

[1] ა. დუმბაძე, „კომპოზიციური ტანის მექანიკა“, თბილისი 2015 წ;

[2] B. Abesadze. Elastic-viscous bodies deformation picture accordingly of generalized models // International Scientific Journal of IFToMM, PROBLEMS OF MECHANICS, ISSN 1512-0740 №4(69)/2017, pp 51-59. Tbilisi 2017;

[3] B. Abesadze. Generalized models for describing of elastic-viscous bodies properties // Air Transport. Tbilisi. ISSN 1512-4916 №1(12). 2017. p.p. 101-111;

[4] Dumbadze A., Kanchaveli J. About reformation Ischlinski's three-elements rheological model// "Problems of Mechanics". Tbilisi, 2006, № 3(24), pp. 31-37. (in Russian);

[5] Kipiani G., Tsikarishvili M., Bliadze S., Dzodzuashvili. Calculation of plutes and shells with ribs Rigidity by the Finite Element metod // Air Transport. Tbilisi. № 1(12). 2017. p.p. 20-26;

[6] Mikhailov B.K., Kipiani G.O., Moskaleva E.K. Fundamentals of theory and methods of analysis on stability of sandwich panels with cuts. Tbilisi, Metsniereba, 1991, -189 p. (In Russian);

[7] Kvaratskhelia A., Kipiani G. Dynamical stability of layered plates//Mshenebloba, Tbilisi, № 2(45), 2017, pp. 23-28. (In Georgian);

[8] Koltunov M.A. On issue of selection of cores at solution of tasks with consideration of creeping and relaxation//Mechanics of Polymers. is. 4, 1966, p. 483-497. (In Russian);

[9] ნ. კაჭკაჭიშვილი, გ. ყიფიანი, თ. მაღრაძე. კომპოზიციური მასალების დაპროექტება რღვევის მექანიკის საფუძველზე რთული კონსტრუქციების შესაქმნელად // მშენებლობა №2. თბილისი. სტუ. 2006. გვ. 30-35;

[10] სეით ბლიაძე, გელა ყიფიანი, აკაკი გოგოლაძე, რუსუდან გოშაძე. კონსტრუქციის დაღლილობაზე ანალიზი კომპლექსური პროგრამა ANSYS-ის მეშვეობით. პროფესორ გელა ყიფიანის საერთო რედაქციით. „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“. თბილისი 2017.- 232 გვ.

COMPARATIVE ANALYSIS OF THE FOUR-ELEMENT GENERALIZED MODELS DESCRIBING OF ELASTIC-VISCOUS BODIES PROPERTIES

B. Abesadze
Georgian Aviation University

Are stated the generalized models for describing of elastic-viscous bodies, for describing of properties are applied the models that represents certain combination of pure elastic and plastic property bodies. Are compiled combinations of generalized four element models with two elastic and two viscous elements (two general types). Are described the relations between deformation and strain for each combination. Are obtained creeping, hardening, relaxation curves and their comparative analysis.

For both types of models, we obtain a rheological equations where the stress and deformation are not symmetrically introduced (not containing the first and second order derivatives of both values).

When describing the creeping and relaxation process, the two types of models give different results, which can be used to describe the character of deformation for different types of elastic-viscous bodies.

In addition, the considered models in terms to describe the creeping gives a second order differential equations, their solutions well coincides with the qualitative results of the experiment and the existence of two indefinite coefficients gives us the possibility to well coincide also the experimental quantitively results. However, at describing the process of relaxation, we obtain a simple expression for 1) type model, with one indefinite coefficient and accordingly the possibility of coincide with the results of experiment is more decreased.

Although the increase of elements in the model complicates its solution, it gives a much better possibility to coincide less errors with experimental data. The considered four-element models are a good opportunity to describe the properties of composite materials.

საჰაერო ხომალდის ფრთის შემონაკერის კომპოზიციური მასალის მათემატიკური მოდელი მდგრადობასა და თერმო იზოლაციაზე

ოქროპირიძე გიორგი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ნაშრომში აგებულია მრავალფენიანი არაერთგვაროვანი ორთოტროპული ფირფიტოვანი თეორია, რომელიც გარკვეულწილად წყვეტს აღნიშნულ პრობლემას ჰიპოთეზების სისტემის შემოტანის გზით. ისინი ითვალისწინებენ მაღალი რიგის ფაქტორებს ერთი დამატებითი საძიებელი ფუნქციის საშუალებით. მდგრადობის განტოლებებში გათვალისწინებულია მაღალი რიგის პარამეტრული წევრები გადამწყვეტი განტოლებების სისტემას აქვს შედარებით დაბალი რიგი, რომელიც უდრის 12-ს, მიღწეულია თეორიის უნივერსალობის მაღალი ხარისხი. სხვადასხვა თბელკედლიანი კონსტრუქციის გაანგარიშებისას ნაჩვენებია ამ თეორიის ეფექტურობა.

საკვანძო სიტყვები: ფირფიტა; ფრთა; კომპოზიტი; მდგრადობა, იზოლაცია.

შინაარსი

ფირფიტოვანი მრავალფენიანი თხელკედლიანი კონსტრუქციები, სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ავიამშენებლობაში, რაკეტების მშენებლობაში და სხვა დარგებში. ყოველივე ეს კონსტრუქციების მაღალი სიმტკიცისა და მათი წონის საგრძნობი შემცირების აუცილებლობითაა გამოწვეული, რიგ შემთხვევებში ეს ბგერით, თბო და ვიბრო საიზოლაციო მოთხოვნების უზრუნველყოფითაა განპირობებული.

ამ აუცილებელი თავისებურებების ერთობლიობა უზრუნველყოფილია მრავალფენიანი კონსტრუქციების ცალკეული ფენებისთვის სხვადასხვა სახის შემავსებლების გამოყენებით. მზიდი ფენებისათვის გამოიყენება არა მხოლოდ ლითონები არამედ კომპოზიციური მასალები.

როგორც წესი შემავსებლები და კომპოზიციური მასალები ხასიათდებიან ძვრის დაბალი სიხისტით, რაც მათი უარყოფითი თვისებაა. ეს გარემოება უნდა იყოს გათვალისწინებული მრავალფენიანი გარსებისა და ფირფიტების გაანგარიშების თეორიაში. ისეთი დამახასიათებელი ფაქტორები როგორიცაა ნორმალური, განივი ძაბვებისა და განივი დეფორმაციების გავლენა, მრავალ თეორიაში უგულებელყოფილია, მაგრამ ცნობილია, რომ ამ უკანასკნელთა გავლენა, იზრდება ფირფიტის სისქის ზრდასთან ერთად და შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ისეთი შემავსებლების გამოყენებისას, რომლებიც დამყოლნი არიან განივი ძვრისა და განივი დაწნევის მიმართ.

ამიტომ უკანასკნელ პერიოდში შეიქმნა მთელი რიგი თეორიებისა, რომლებიც ითვალისწინებენ აღნიშნულ ფაქტორებს. ეს კი დაკავშირებულია ახალი საძიებელი ფუნქციების შემოტანასთან, რაც ზრდის განტოლებათა სისტემის რიგს. გარდა ამისა, განტოლებებში უნდა იყოს გათვალისწინებული სიზუსტის უფრო მაღალი რიგის წევრები, ვიდრე ეს კლასიკურ თეორიაშია მოცემული. ამასთან დაკავშირებით განივ ძვრას, ფენების დაწნევას და ნორმალის დაგრძელებას შემდგომში ვუწოდებთ მაღალი რიგის ფაქტორებს. თეორიები, რომლებიც მათ ითვალისწინებენ სრულად, გამოირჩევიან სირთულით განტოლებათა სისტემის მაღალი (16-20) საერთო რიგით, რაც ართულებს ამოცანის გადაწყვეტას, ამ თეორიების მდგრადობის თეორიებში გათვალისწინებულია მხოლოდ 3

პარამეტრული წევრი, რომლებიც ახასიათებენ კლასიკურ თეორიას. ეს კი პარამეტრული წევრებისა და ძირითადი განტოლების წევრების სიზუსტით შეუთავსებლობას იწვევს.

ამასთან დაკავშირებით მრავალფენიანი ფირფიტოვანი (მათ შორის ს.ხ. ფრთის) თეორიის შექმნა, რომელიც სრულად ითვალისწინებს მაღალი რიგის ფაქტორებს და ამასთანავე შედარებით მარტივი იქნება, მეტად აქტუალური პრობლემაა.

მრავალკომპოზიციური ფირფიტოვანი თეორიის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება დრეკადობის თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანის ფირფიტების თეორიის ორგანზომილებიან ამოცანაზე დაყვანას. ამასთან დაკავშირებით მოკლედაა განხილული დაყვანის ძირითადი მეთოდები რომელთაგანაც გამოვყოფთ ჰიპოთეზების მეთოდის განვითარების თვალსაზრისით, აღსანიშნავია 2 მიმართულება. პირველ მიმართულებაში განტოლებების სისტემის რიგი დამოკიდებულია მრავალფენიან ფირფიტების ფენების რიცხვზე, ხოლო მეორეში არ არის დამოკიდებული. როგორც ცნობილია, პრაქტიკული მიზნებისთვის მოსახერხებელია განტოლებების სისტემის უფრო დაბალი რიგი. ამიტომ, რის გამოც მას მეტი ყურადღება ეთმობა.

შრომების ანალიზის საფუძველზე დადგენილია ზოგიერთი თავისებურებანი, რომლებიც ახასიათებს თანამედროვე თეორიას: უფრო სრულად ასახოს მრავალფენიანი ფირფიტების რეალური მუშაობა, გაფართოვდეს შემოთავაზებული ვარიანტების გამოყენების საზღვრები, მოხდეს გაანგარიშების სრული პროცესის ავტომატიზაცია თანამედროვე კომპიუტერებზე. აქედან გამომდინარეობს, ზოგიერთი მოთხოვნები თანამედროვე თეორიის მიმართ: იმ ფაქტორების სისრულე, რომლებიც გავლენას ახდენენ მრავალფენიან ფირფიტების დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაზე, განტოლებათა სისტემის სიმარტივე და მისი რიგის დაწევა,

მატრიცული ალგორითმიზაციის შესაძლებლობა, მისი უნივერსალობის ხარისხის გაფართოება.

2. ნაწილი

როგორც შესავალში აღვნიშნეთ მრავალფენიანი ფირფიტოვანი კოსტრუქციები ფართოდ გამოიყენება ტექნიკის სხვადასხვა დარგებსა და ავიაციაში. ეს გამოწვეულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი თვისებებით: დიდი სიხისტით, შედარებით მცირე წონით, კარგი ბგერითი და თბური იზოლაციით, აგრეთვე ვიბრო-რადიოსაიზოლაციო თვისებებით. მაგრამ, თანამედროვე ფირფიტები, კომპოზიტური მასალები და სხვადასხვა შემავსებლები გამოირჩევიან მცირე სიხისტით ძვრაზე და ტრანსვერსალური სისუსტით (დიდი დეფორმირებით განივი მიმართულებით). აქედან გამომდინარე, მრავალფენიან ფირფიტებსა და გარსებში აუცილებელია განივი ძვრის , ცალკეული ფენების დაახლოების და მნიშვნელოვანი ანიზოტროპიის გათვალისწინება. ახალი მასალების სპეციფიკური თავისებურებანი და მათი გათვალისწინების აუცილებლობა გაანგარიშებათა თეორიაში აღნიშნული იყო ს. ამბარცუმიანის მიერ 1968 წელს.

მრავალფენიანი გარსების თეორია ჩამოყალიბდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში არონისა და ლიავის ძალისხმევით. 1930-1945 წლებში ამ თეორიის მნიშვნელოვან განვითარება დიდად შეუწყო ხელი იმ გამოჩენილი მეცნიერების შრომებმა , რომელთა შორის უნდა აღინიშნოს: ს ტიმოშენკო ვ. ვლასოვი ა. გოლდენვეიზერი, ა. ლურიე, ხ. მუშტარი და სხვანი[3;4]. მიღწეული შედეგები მთელ რიგ მონოგრაფიებში . ომისშემდგომ ერთგვაროვანი გარსების თეორია უფერო მეტად განვითარდა. ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი თვალსაჩინო მეცნიერები: ს. ამბარცუმიანი, ს. ალექსეევი მ. მიქელაძე გ. ჯანელიძე ლ.მუხაძე გ. ყიფიანი და სხვ. ზოგადი თეორიის უახლესი მიღწევები ასახულია მონოგრაფიებში ზოგიერთი

სპეციალური საკითხები ხოლო საცნობარო ლიტერატურა შრომებში ვითარდება და ზოგადდება არაერთგვაროვანი, გარსების თეორია. ისეთი გარსებისა, რომელთა დრეკადი მახასიათებლები სისქის მიხედვით მდორედ (ერთფენიანები), ან ნახტომისებურად (მრაფენიანი გარსები) იცვლება. შეიძლება იყოს უფრო ზოგადი შემთხვევა როდესაც მრაფენიანი გარსის ზოგიერთი ფენა ან ყველა ფენა არაეთგვაროვანია.
მრავალფენიანი გარსები პირველად გამოიყენეს ავიაციაში ისინი წარმოადგენენ სამფენიან კოსტრუქციებს 2 კიდურა მზიდი და შუაშემავსებელი ფენებით.

სამფენიანი ფირფიტების თეორიის საფუძვლები დამუშავდა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში. სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ეხება სამფენიან ფირფიტებს და გარსებს, რამდენიმე ათას ნაშრომს შეადგენს. ფრიად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ საქმეში ს. ამბარცუმიანმა, ა. კაკუშაძემ. ხ. მუშტარიმ. ბ. მიხაილოვმა, ა. დუმბაძემ [2] გ . ყიფიანმა, ს. ბლიაძემ,[1;5;6;7] თ. გარდაფხაძემ და სხვ. თეორიის მიღწევებზე შეიძლება ვიმსჯელოთ მიმოხილვებით, მონოგრაფიებით აგრეთვე საცნობარე ლიტერატურით.

ბ. მიხაილოვის და გ. ყიფიანი[8;10;11;] ნაშრომებში გადმოცემულია კონტურის მიმართ ნებისმიერად განლაგებული ჭრილებით ან ხვრეტებით შესუსტებული სამ ფენიანი ფირფიტისა და გარსის მდგრადობის გაანგარიშების მიახლოებითი და დაზუსტებული მეთოდები. მათ საფუძველზე შეიძლება შემუშავდეს პრაქტიკული რეკომენდაციები ავიაციაში ფართოდ გამოყენებული სამფენიანი ანაკრები პანელების გაანგარიშებასა და დაპროექტების საქმეში.

სწორედ ეს არის მრავალფენიანი ფენოვანი კონსტრუქციების თეორიის მრავალგვარი ვარიანტების შექმნის მიზეზი. ამ დარგში გამოქვეყნებული ნაშრომების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. შემოთავაზებულია ახალი თეორიები, რომლებიც მათი შექმნის სხვადასხვა მიდგომას.

ბოინგ 737 ტიპის თვითმფრინავის ფრთის შემონაკერი დამზადებულია ალუმინ 2024-ისაგან, რომელიც დღეს მეტალებიდან ყველაზე ფართოდ გამოყენებადი მასალაა ავიაციაში. მისი სიმსუბუქისა, სიმტკიცისა და სიიაფის გამო. მაგრამ ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა ტრადიციული მეტალების, მათი შენადნობების ჩანაცვლება კომპოზიციური მასალებით. როგორებიცაა. ნახშირბადის სენდვიჩები, ნახშირბადის ლამინატი, არამიდის ბოჭკო და სხვა.



ფოტო 1

ვფიქრობ, რომ ბოინგ 737-ის ფრთის შემონაკერის კომპოზიციური მასალის გაანგარიშება თერმო იზოლაციასა და მდგრადობაზე შესაძლებელი და საჭიროა, რადგან, მოგეხსენებათ თვითმფრინავის საწვავი განთავსებულია ფრთებში და ფიუზელაჟში. ალუმინი კარგი სითბო გამტარია და როდესაც სრულდება შორ მანძილზე ფრენები (მაღალ ეშელონებზე სადაც ძირითადად ხდება საერთაშორისო ფრენები ტემპერატურა მერყეობს -52დან -70მდე) გარემო პირობებიდან გამომდინარე საწვავის ტემპერატურა კლებულობს მინიმუმის ნიშნულამდე, ეს იწვევს იმ ფაქტს რომ ს.ხ.-ის ფრენის სიმაღლის


ფოტო 2

ცვლილება ხდება უფრო დაბალ ეშელონებამდე სადაც ტემპერატურა შედარებით მაღალია, რაც ზრდის საწვავის ხარჯს (რაც უფრო დაბლა ხდება ფრენები მით მეტია ჰაერის სიმკვრივე და მეტია შუბლური წინაღობა, აქედან გამომდინარე იზრდება საწვავის ხარჯი.) თუ ვცდით ფრთის შემონაკერის შეცვლას კომპოზიციური მასალით, შესაძლებელია რამოდენიმე სახის სარგებელიც კი მივიღოთ; ნაკლები წონა, მეტი სიმტკიცე, ნაკლები თბოგამტარობა (რაც საკმაოდ მაღალი აქვს ალუმინის შენადნობებს) და რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია კონდესატის წარმოქმნის ნაკლები ალბათობა ფრთის ზედაპირზე. ამ უკანასკნელს რაც შეეხება, ზამთრის პერიოდში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან როდესაც საწვავის ჩასხმა ხდება თვითმფრინავის ფრთებში, ფრთის ზედა ნაწილში ფიუზელაჟთან ხდება კონდენსატის წარმოქმნა რომელიც იყინება, ეს საჭიროებს სპეციალურ შემოყინვის საწინააღმდეგო პროცედურას, რაც დამატებით ხარჯს და დროს მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში აფრენისას შესაძლოა ინციდენტი ან კატასტროფაც კი მოხდეს, რადგან ყინული ფრთის ზედაპირზე აეროდინამიკულ ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს.

ჩვენ შევეცდებით სხვა და სხვა მეთოდით გავიანგარიშოთ რამოდენიმე კომპოზიციური მასალის შესაბამისობა ჩვენ მოთხოვნებთან და ასევე იმ ძირითად მოთხოვნებთან მიმართებაში რომლებიცაა წაყენებული საჰაერო ხომალდის ფრთისადმი.




ფოტო 3

სავარაუდო კომპოზიტებია: ნახშირბადის ლამინატი, ნახშირბადის სენდვიჩ კომპოზიტი.

ნახშირბადის ლამინატი. უპირატესობები სხვა თანაბარი სიმტკიცის მეტალთან შედარებით: ნაკლები წონა, მაღალი გამძლეობა კოროზიისა და დაღლილობისადმი, სხვა და სხვა ფორმების მარტივი მიღება, მაღალი აეროდინამიკული ხარისხის მქონე ზედაპირი, ხოლო მეტალის უპირატესობებია: სიიაფე, მეტალის დეტალები ყოველი მხრიდან თანაბარი სიმტკიცისაა.

იზოტროპული მახასიათებლების გაუმჯობესების მიზნით ლამინატებს ამზადებენ ბოჭკებისგან ორი სხვა და სხვა მიმართულებით. ლამინატის გამძლეობის შეზღუდვის დასაძლევად გამოიყენება მეორე ტიპის კომპოზიური მშენებლობა ესააა სენდვიჩ სტრუქტურა.

სენდვიჩ სტრუქტურა წარმოადგენს ძირითად მასალებს ორ ლამინატს შორის ან სხვა ორ საბაზო მასალას შორის. სენდვიჩ სტრუქტურის დატვირთვის მექანიკა მოქმედებს ანალოგიურად როგორც ფერმული კონსტრუქცია. შემავსებელი ანაწილებს და გადასცემს მოქმედ დატვირთვებს მხიდ ფენებს, პენპერდიკულარულად ისევე როგორც სტრინგერები და გამრჯენები ფერმულ კონსტრუქციაში. ზოგადად შემავსებლის მასალა მოიცავს მაღალი სიმკვრივის პოლიმერულ ქაფს, ფიჭისებრ მასალას (ჰექსაზონური უჯრედების მასალა) ხშირად ხდება ნახშირბადის ლამინატის და ნახშირბად სენდვიჩის ერთობლივად გამოყენება.



ფოტო 4

როდესაც შემავსებელი მოთავსებულია ორ სხვა და სხვა მზიდ ზედაპირებს შორის შრეში, დეტალი შეიძლება გახდეს 40-ჯერ ძლიერიც კი ვიდრე ამ მასალის ბაზების კომბინირებული სიძლიერეა. შემავსებლის სისქეა რაც განსაზღვრავს მის საბოლოო სიძლიერეს. თხელი მზიდი ზედაპირის ფურცლების გამოყენების გამო სენდვიჩ სტრუქტურები ხშირად ნაკლებად დარტყმა გამძლეა.

მეტალის დეტალების დამაგრება საჰაერო ხომალდზე ხდება მექანიკურად (ძირითადად მოქლონებით) ხოლო კომპოზიტების წებოთი და ზოგიერთ შემთხვევაში სპეციალური ჩამკეტებით. წებოთი დამაგრებისას მასალებს შორის კავშირი ისეთივე ძლიერია როგორიც თვითონ კომპოზიტი.


განვიხილოთ ლამინატის ტიპის კომპოზიტის სტრუქტურა.

ზოგადად კომპოზიციური მასალის სტრუქტურა შედგება მრავალი ფენისგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია. ფენები მზადდებაგანსხვავებული იზოტროპული ან არაიზოტროპული მატერიალებისგან. გააჩნიათ განსხვავებული სტრუქტურა, დაძაბულობა და მექანიკური მახასიათებლები. ხშირად ლამინატის მახასიათებლების გამოთვლა ხდება მისი ფენათა რაოდენობით, თანმიმდევრობით გეომეტრიული და მექანიკური თვისებებით. ფენების ფენომენი შეიძლება გაერთიანდეს რათა შექმნან რამდენიმე ლამინატის ტიპი. ლამინატები ხასიათდებიან 21 კოეფიციენტით და იძლევიან სხვადასხვაგვარ ეფექტებს. ერთადერთი შეზღუდვა რომელიც გააჩნიათ ლამინაებს არის მისი სისქე, მაგრამ უფრო ნაკლებია ვიდრე იმავე დაძაბულობის ცალკეულად აღებული რომელიმე შემადგენელი მასალის სისქე.
ლამინატის დაძაბულობის კოეფიციენტი რომელიც შედგება სხვადასხვა განსხვავებული სისქის და სიმტკიცის ფენებისაგან A I mni= 1,2,3,.....k. მიგვაჩნია, რომ მატერიალის დაძაბულობის კოეფიციენტი არ იცვლება ფენის სისქესთან მიმართებაში. შესაძლებელია ჩაიწეროს პარამეტრები I mn როგორც:

სადაც r=0.1.2. to=0, th ამ თხელი ფენისთის

$$I^{i}_{mn} = \frac{1}{r+1}\sum_{i=1}^{k} A^{i}_{mn}\left(t_{i}^{i+1} - t_{i-1}^{i+1}\right)$$

ფორმულა 1



$$B_{mn} = \int A_{mn}\, dz$$

$$D_{mn} = \int A_{mn} z^2 dz$$

$$C_{mn} = \int A_{mn} z dz$$

ფორმულა 1;2;3;

Bmn= დაძაბულობის წევრი
Dmn= მოჭიდების დაძაბულობა
Cmn= ღუნვითი დაძაბულობა
სიბრტყეში დეფორმირებისას ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ εx,εy და γx

$$\varepsilon_x = \frac{\partial u_x}{\partial x} = \varepsilon_x^0 + zk_x,$$


$$\varepsilon_y = \frac{\partial u_y}{\partial y} = \varepsilon_y^0 + zk_y,$$

$$\gamma_{xy} = \frac{\partial u_x}{\partial y} + \frac{\partial u_y}{\partial x} = \gamma_{xy}^0 + zk_{xy}$$

$$\varepsilon_x^0 = \frac{\partial u}{\partial x}, \quad \varepsilon_y^0 = \frac{\partial v}{\partial y}, \quad \gamma_{xy}^0 = \frac{\partial u}{\partial y} + \frac{\partial v}{\partial x},$$

$$k_x = \frac{\partial \theta_x}{\partial x}, \quad k_y = \frac{\partial \theta_y}{\partial y}, k_{xy} = \frac{\partial \theta_x}{\partial y} + \frac{\partial \theta_y}{\partial x}$$

ფორმულა 4;5;6;7;8;



- სიბრტყეში გაწელვა ან შეკუმშვა
- სიბრტყეში გადანაცვლება
- ღუნვა XZ და YZსიბრტყეებში
- ბრუნვა

დასკვნა

თვითმფრინავის ფრთის მოდელი გეგმის მიხედვით დამზადებულია და მოდებულია სხვა და სხვა დატვირთვები. დატვირთვებია ისეა მოდებული, რომ მაქსიმალურად მიახლოვებული იყოს რეალობასთან. მაგ. დატვირთვა მოდებულია ცალკე X ღერძის მიმართ და ასახავს გადაადგილებას Z და Y ღერძების მიმართ. დაანგარიშებულია როგორც მაქსიმალურ ასევე მინიმალურ დატვირთვებზე.

ზემოაღნიშნული შედეგები მრავალნაირი დატვირთვისას არის ნაპოვნი. მათი განსხვავებები ნათლად ჩანს კონტურულ განსაზღვრებებში, დატვირთვის დონეებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1) ს. ბლიაძე, გ. ყიფიანი. ახალი მათემატიკური მოდელების დამუშავების საკითხები განსაკუთრებით რთული კონსტრუქციების შეფასების თვალსაზრისით. //მეცნიერება და ტექნოლოგიები. თბილისი. 2002 #10-12. 24-27 გვ.
2) ა. დუმბაძე. კომპოზიტური ტანის მექანიკა. თბილისი. 2015წ.
3) З. Муштари Х. М.б Галимов К. З. Нелинеиная теория упругих оболочек.- Казань Тфткнигоиздат. 1957.-432с.
4) Муштари Х.М. Об области применения приближенных теории трехслоеных плит несимметричного строения с заполнителем Извю АН СССР. ОТН Механика и машинастроение 1963 №5
5) .Блиадзе С.Н. и др. Четыреугольныии конечныи элемент (кэ) с учетом понеречного сдвига. Проблемы прикладнои механики Тбилиси 2002. №3(8) с. 82-87.
6) Блиадзе С.Н.кипиани Г. О. Цикаришвили М.А. Деформания треугольном и чериреугольном цилиндрическом элементе Проблемы прикладнои механики. Тбилиси 2002. №4(9). С 92-95.
7) Блиадзе С. Н. и др. Теорическое и экспериментальное исследование переходных происходящих в конституси. Проблемы прикладнои механики. Тбилиси. 2003. № 1(10) с. 70-76
8) Михаилов Б.К. Кипиани Г.О. Деформированность и устоичивость пространственных пластических систем с разрывным параметрами. Санкт-петербург. Строиздат СПБ 1996-442 с. Ил.
9) Москаленко В.Н. Основные уровнения теории оболочек из слоистых материлов. Сборник досладов научно- техническои конференсии по итогам научно- исследовательских работ за 1964- 1965 гг. МЭИ. М 1965.С. 43-63
10) Кипиани Г.О. Влияние прямоугольных отверстий на устройчивость трехслойных пластин / / Статические задачи расчёта строительных конструкций. Л. ЛИСИ, 1988–С.45-49.
11) Кипиани Г.О. Устойчивость прямоугольной анизотропной пластины с прямоугольным разрезом/ / Статические и динамические расчеты конструкций с учетом нелинейных свойств материалов. Л. ЛИСИ 1991-с. 38-42.

The mathematical modeling of the structural strength and thermal isolation of the wing skin of airplane

Giorgi Okropiridze
Georgian Aviation University

A multilayered non-consistent orthotropic plate theory is used in the work which, to a certain extent, solves the problem through the introduction of a hypothesis system. They take into consideration higher-order factors through one additional search function. Sustainability equations include upper range parametric parts. The decisive system of the equations has a relatively low range, which is equal to 12. High degree of universality of the theory is achieved. The effectiveness of this theory is determined by calculating the various thin-walled structures.

დამრეცი გარსების ერთმალიანი მრავალტალღიანი საფარის მათემატიკური მოდელი

ნინო ჩორხაული*, ნატრული ხარჭავანიძე**, ბელა წიქარაძე***,
ირინა ფარადაშვილი***
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
**საქართველოს ბიზნეს მეცნიერებათა აკადემია,
***ა(ა)იპ განათლებისა და მეცნიერების პროგრესი

გადმოცემულია დამრეცი გარსების ერთმალიანი მრავალტალღიანი საფარის გაანგარიშება, როგორც კონტინუალურ არეში, ასევე კიდეების და წვეროების მიახლოებაში. გადმოცემული მეთოდიკა დამყარებულია საწყის განტოლებების გაწრფივებაზე მიმდევრობითი დატვირთვების მეთოდით და საძიებელ ამოხსნებში უცნობი კოეფიციენტების მქონე წყვეტილი ფუნქციების შემოყვანაზე, რასაც მივყევართ მწკრივების სწრაფ კრებადობაზე და გამოთვლების მეტად კომპაქტურ ალგორითმზე.

საკვანძო სიტყვები: *გარს; მოდელი; მრავალტალღოვანი; დეფორმაცია; ძაბვა.*

შესავალი

კონტინუალური ამოცანების დისკრეტიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და ზოგადი მეთოდი [1] დამუშავებულია ბოლო წლებში და ფართო გამოყენების მქონე გამოთვლითი ტექნიკის სრულყოფის გამო, არის სასრული ელემენტების მეთოდი (სემ). განვიხილოთ მექანიკის ზოგიერთი ამოცანის ამოხსნისადმი მიდგომები, ამონაჭრიანი ფირფიტის ღუნვისა და მდგრადობის ტიპის ამოცანებისათვის [2].

ძირითადი ნაწილი

ერთი მიმართულებით შეპირაპირებული დამრეცი გარსებისგან შედგენილი მრავალტალღიანი საფარი განვიხილოთ როგორც ერთი მიმართულებით გაწიმული ერთი გარსი, რომელსაც აქვს წიბოები და ტეხილები ცალკეული გარსების გადაბმის წრფეზე. „y" ღერძი განვალაგოთ გადაბმის წრფეების პარალელურად, ხოლო „x" გარსების შეუღლების მიმართულებით. მაშინ წონასწორობის და ერთობლიობის განტოლებაში დამრეცი გარსების დეფორმაციები შევიყვანოთ ერთი მიმართულების ტეხილები

$$\nabla^4 F + Eh\Delta_k w - Eh\sum_{i=1}^{n}\theta_i \frac{\partial^2 w}{\partial^2 x}\delta(y-b_i)=0;$$

$$D\nabla^4 w - h\Delta_k F - \sum_{i=1}^{n}\theta_i \frac{\partial^2 F}{\partial^2 x}\delta(y-b_i)=P, \qquad (1)$$

განზოგადებული ძალვის და მომენტების მნიშვნელობები შემდეგი ფორმულებით:

$$T_1^* = T_1 + \sum_{j=1}^{n}\left(E_j F_j \varepsilon_1 + E_j S_j m_1\right)\delta(x-a_j);$$

$$M_1^* = M_1 + \sum_{j=1}^{n}\left(E_j F_j m_1 + E_j S_j \varepsilon_1\right)\delta(x-a_j); \qquad (2)$$

სადაც F_1 წიბოს განივი კვეთის ფართობია;

J_i − წიბოს კვეთის ინერციის მომენტი ჰორიზონტალური ღერძის მიმართ, სიმძიმის ცენტრზე გამავალი შუალედური ზედაპირის მხები:

S_i −წიბოს კვეთის სტატისტიკური მომენტი გარსის შუალედური ზედაპირის მხები ღერძის მიმართ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ გარსის შიგა ძალები დაკავშირებულია ძალის ფუნქციასთან, შემდეგი ფორმულებით:

$$T_1 = h\frac{\partial^2 F}{\partial y^2}; \quad T_2 = h\frac{\partial^2 F}{\partial x^2}; \quad T_1 = h\frac{\partial^2 F}{\partial x \partial y}; \tag{3}$$

მივიღებთ დამრეცი გარსების მრავალტალღიანი საფარის დეფორმაციის წონასწორობისა და შეთავსების განტოლებებს შემდეგი სახით:

$$D\nabla^4 w - hD_4 F - \sum_{j=1}^{n}\left[E_j J_j \frac{\partial^4 w}{\partial y^4} + \frac{E_j S_j}{E}\frac{\partial^2}{\partial y^2}\left(\frac{\partial^2 F}{\partial x^2} - m\frac{\partial^2 F}{\partial y^2}\right) - q_j \frac{\partial^2 F}{\partial y^2} - t\frac{E_j F_j}{E}\left(\frac{\partial^2 F}{\partial x^2} - m\frac{\partial^2 F}{\partial y^2}\right) - tE_j S_j \frac{\partial^2 w}{\partial y^2}\right] d(x - a_j) = P;$$

$$\nabla^4 F + E\Delta_4 w + \sum_{j=1}^{n}\left\{\left[\frac{12}{h^3}(r-\mu t)E_j J_j \frac{\partial^2 w}{\partial y^2} + \frac{12}{h^3}(r-\mu t)\frac{E_j S_j}{E}\left(\frac{\partial^2 F}{\partial x^2} - \mu\frac{\partial^2 w}{\partial y^2}\right) + E\theta_j \frac{\partial^2 w}{\partial y^2} - \frac{E_j F_j}{Eh}\mu\frac{\partial^2}{\partial y^2}\left(\frac{\partial^2 F}{\partial x^2} - \mu\frac{\partial^2 F}{\partial y^2}\right) - \frac{1}{h}E_j S_j \mu\frac{\partial^4 w}{\partial y^4}\right]\delta(x - a_j) + \left[\frac{E_j F_j}{E}\left(\frac{\partial^2 F}{\partial x^2} - \mu\frac{\partial^2 F}{\partial y^2}\right) - E_j S_j \frac{\partial^2 w}{\partial y^2}\right]\delta'(x - a_j)\right\} = 0. \tag{4}$$

შემოვიტანოთ აღნიშვნები:

$$L_{11j} = E_j J_j \frac{\partial^4}{\partial y^4} - tE_j S_j \frac{\partial^2}{\partial y^2};$$

$$L_{12j} = \frac{E_j S_j}{E}\left(\frac{\partial^4}{\partial x^2 \partial y^2} - \mu\frac{\partial^4}{\partial y^4}\right) + \theta_j \frac{\partial^2}{\partial y^2} - t\frac{E_j F_j}{E}\left(\frac{\partial^2}{\partial x^2} - \mu\frac{\partial^2}{\partial y^2}\right);$$

$$L_{21j} = \frac{12}{h^3}(r-\mu t)E_j J_j \frac{\partial^2}{\partial y^2} + E\theta_j \frac{\partial^2}{\partial y^2} - E_j F_j \mu\frac{\partial^4}{\partial y^4};$$

$$L_{22j} = \frac{12}{h^3}(r-\mu t)\frac{E_j S_j}{E}\left(\frac{\partial^2}{\partial x^2} - \mu\frac{\partial^2}{\partial y^2}\right) - \frac{E_j F_j}{Eh}\mu\frac{\partial^2}{\partial y^2}\left(\frac{\partial^4}{\partial x^2 \partial y^2} - \mu\frac{\partial^4}{\partial y^4}\right);$$

$$L'_{21j} = \frac{1}{h}E_j S_j \frac{\partial^2}{\partial y^2};$$

$$L'_{22j} = \frac{E_j F_j}{Eh}\frac{\partial^2}{\partial y^2}\left(\frac{\partial^2}{\partial x^2} - \mu\frac{\partial^4}{\partial y^4}\right). \tag{5}$$

მაშინ (4) სისტემა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$\nabla^4 w - \frac{h}{D}\Delta_4 F = \frac{P}{D} - \sum_{j=1}^{n}\left(L_{11j} w + L_{12j} F\right)\delta(x - a_j);$$

$$\nabla^4 F + E\Delta_4 w = \sum_{j=1}^{n}\left(L_{21j} w - L_{22j} f\right)\delta(x - a_j) - \sum_{j=1}^{n}\left(L'_{21j} w - L'_{22j} f\right)\delta'(x - a_j); \tag{6}$$

გავამრავლოთ მეორე განტოლება $i\frac{n}{E}$, სადაც $n = \frac{\sqrt{12(1-\mu^2)}}{h}$ და შევკრიბოთ პირველთან, მივიღებთ:

$$\nabla^4 \varphi + in\Delta_4 \varphi = \frac{P}{D} - \sum_{j=1}^{n} D_j \varphi\delta(x - a_j) - \sum_{j=1}^{n} D'_j \varphi\delta'(x - a_j), \tag{7}$$

სადაც

$$\varphi = w + i\frac{n}{E}F;$$

$$D_j\varphi = \frac{1}{D}\left[L_{11j}\,\mathrm{Re}\,\varphi + \frac{E}{n}L_{12j}I_m\varphi + \frac{E}{n}\left(L_{21j}\,\mathrm{Re}\,\varphi + \frac{E}{n}L_{22j}I_m\varphi\right)\right];$$

$$D_j^*\varphi = \frac{1}{D}\left(L_{21j}^*\,\mathrm{Re}\,\varphi + \frac{E}{n}L_{22j}^*I_m\varphi\right)L\frac{n}{E}. \qquad (8)$$

როგორც მოყვანილი გამოსახულებებიდან ჩანს, კომპლექსური გარდაქმნა დასრულებული სახით ვრცელდება მხოლოდ (7) განტოლების მარცხენა ნაწილზე.

ამოხსნისას მიზანშეწონილია მივყვეთ კომპლექსურ გარდაქმნას, რადგან იგი ორჯერ ამცირებს მახასიათებელი განტოლების ხარისხს და მნიშვნელოვნად ამარტივებს გაგლეჯის ψ_j და ψ_j^* ფუნქციების პოვნას.

მწკვრივებად დავშალოთ გარე დატვირთვის ფუნქცია:

$$P = \sum_{k=1}^{n} P_k \sin\beta_k y;$$

სადაც

$$\beta_k = \frac{k\pi}{b},$$

საძიებელი φ ფუნქცია ასევე მწკრივის სახით წარმოვადგინოთ:

$$\varphi = \sum \varphi_k \sin\beta_k y.$$

რადგან D_j და D_j^* ოპერატორებს მუდმივი კოეფიციენტები აქვს, (7) განტოლება დაიშლება ჩვეულებრივი წარმოებულების განტოლებად:

$$L_k\varphi_k = \frac{P_k}{D} - \sum_{j=1}^{n} L_{jk}\varphi_k\delta(x-a_j) - \sum_{j=1}^{n} L_{jk}^*\varphi_k^*\delta'(x-a_j), \qquad (9)$$

სადაც

$$L_k = \frac{d^4}{dx^4} - 2\beta_k^2\frac{d^2}{dx^2} + \beta_k^4 + in\left(t\frac{d^2}{dx^2} - r\beta_k\right);$$

$$L_{jk} = \frac{1}{D}\left(E_jJ_j\beta_k^2 + TE_jS_j\right)\beta_k^2\,\mathrm{Re}(\ldots) + \frac{1}{D}\left[-\frac{E_jS_j}{E}\beta_k^2\left(\frac{d^2}{dx^2} + \mu\beta_k^2\right) - \right.$$

$$\left. - \theta_j\beta_k^2 - t - \frac{E_jF_j}{E}\left(\frac{d^2}{dx^2} + \mu\beta_k^2\right)\right]\frac{E}{n}I_m(\ldots) + i\frac{n}{DE}\left\{-\beta_k^2\left[\frac{12}{h^3}(r-\mu t)E_jJ_j + \right.\right.$$

$$\left.\left. + E\theta_j - E_jS_j\mu\beta_k^2\right]\mathrm{Re}(\ldots) + \frac{E}{n}\left[\frac{E_jF_j}{E}\left(\frac{d^2}{dx^2} + \mu\beta_k^2\right) + \frac{E_jF_j}{E}\mu\beta_k^2\left(\frac{d^2}{dx^2} + \mu\beta_k^2\right)I_m(\ldots)\right\}.\right.$$

$$L_{jk}^* = i\frac{1}{DE}\left[-\frac{1}{n}E_jS_j\beta_k^2\,\mathrm{Re}(\ldots) + \frac{E_jF_j}{E}\left(\frac{d^2}{dx^2} + \mu\beta_k^2\right)I_m(\ldots)\right].$$

შემდგომში აღნიშვნების სიმრავლის თავიდან ასაცილებლად "k" ინდექსი არ იწერება, მაგრამ იგულისხმება.

პრაქტიკაში, როგორც წესი, სისტემა შედგენილია ერთნაირი გარსებისაგან, რომლებიც ერთნაირ კონტურულ ელემენტებს ეყრდნობა, მაშინ $L_{jk} = L_k$, $L_{jk}^* = L_k$, ანუ L_j და L_j^* ოპერატორების "j" ინდექსზეა დამოკიდებული.

ოპერატორის გარდაქმნის შემდეგ

$$L_j\varphi\delta''(x-a_j)=\frac{d}{dx}\left[\frac{d}{dx}L_j\varphi\delta(x-a_j)-L_j\frac{d\varphi}{dx}\delta(x-a_j)\right]\frac{d}{dx}L_j\frac{d\varphi}{dx}\delta(x-a_j)+$$

$$+L_j\frac{d^2\varphi}{dx^2}\delta(x-a_j)=L_j\varphi(a_j)\delta''(x-a_j)-2L_j\varphi'(a_j)\delta'(x-a_j)+L_j\varphi_*''(a_j)\delta''(x-a_j).$$

ეს განტოლება ასე გადავწეროთ:

$$L\varphi=\frac{P}{D}-\sum_{j=1}^{m}L_{1j}\varphi(a_j)\delta(x-a_j)-\sum_{j=1}^{m}L_{2j}\varphi(a_j)\delta'(x-a_j)-\sum_{j=1}^{m}L_{3j}\varphi(a_j)\delta''(x-a_j), \tag{10}$$

სადაც

$$L_{1j}\varphi(a_j)=L_j\varphi_*'(a_j)+L_j\varphi(a_j),$$

$$L_{2j}\varphi(a_j)=-2L_j\varphi_*'(a_j), \qquad L_{3j}=L_j\varphi(a_j).$$

(9) ფორმულის თანახმად, (10) განტოლების ამოხსნა ასე წარმოვადგინოთ:

$$\varphi=\sum_{k=1}^{4}C_k\Delta_k+\Delta^*.$$

რადგან (9) განტოლება შეიცავს δ ფუნქციის პირველ და მეორე წარმოებულებს, Δ_k განმსაზღვრელები შემდეგი გამოსახულებებით ჩაიწერება:

$$\Delta_k=\begin{vmatrix}
L_{11}\varphi_k(a_1) & 1 & 0 & 0 & \dots & 0 & 0 & 0\\
L_{21}\varphi_k(a_1) & 0 & 1 & 0 & \dots & 0 & 0 & 0\\
L_{31}\varphi_k(a_1) & 0 & 0 & 1 & \dots & 0 & 0 & 0\\
L_{12}\varphi_k(a_1) & L_{12}\psi_1^*(a_2) & L_{12}\psi_1^{**}(a_2) & L_{12}\psi_1^{***}(a_2) & \dots & 0 & 0 & 0\\
L_{22}\varphi_k(a_1) & L_{22}\psi_1^*(a_2) & L_{22}\psi_1^{**}(a_2) & L_{32}\psi_1^{***}(a_2) & \dots & 0 & 0 & 0\\
L_{32}\varphi_k(a_1) & L_{32}\psi_1^*(a_2) & L_{32}\psi_1^{**}(a_2) & L_{32}\psi_1^{***}(a_2) & \dots & 0 & 0 & 0\\
\dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots\\
L_{1m}\varphi_k(a_1) & L_{1m}\psi_1^*(a_m) & L_{1m}\psi_1^{**}(a_m) & L_{1m}\psi_1^{***}(a_m) & \dots & 1 & 0 & 0\\
L_{2m}\varphi_k(a_1) & L_{2m}\psi_1^*(a_m) & L_{2m}\psi_1^{**}(a_m) & L_{2m}\psi_1^{***}(a_m) & \dots & 0 & 1 & 0\\
L_{3m}\varphi_k(a_1) & L_{3m}\psi_1^*(a_m) & L_{3m}\psi_1^{**}(a_m) & L_{3m}\psi_1^{***}(a_m) & \dots & 0 & 0 & 1\\
\varphi_k & -\psi_1^* & -\psi_1^* & -\psi_1^* & \dots & -\psi_1^* & -\psi_1^* & -\psi_1^*
\end{vmatrix} \tag{12}$$

k=1, 2, 3, 4.

გამოსახულება Δ^* განმსაზღვრელისათვის წარმოიქმნება Δ_k შემდეგი შეცვლით

$$\varphi_k(a_j)\to\varphi_*'(a_j), \qquad j=1,2,\dots,m,$$

სადაც φ_0^* არის $L_\varphi=\frac{P}{D}$ განტოლების კერძო ამონახსნი.

φ_k ფუნქცია, რომელიც წარმოადგენს ერთგვაროვანი განტოლების $L_\varphi=0$ კერძო ამონახსნს, შეიძლება ავირჩიოთ შემდეგი სახით:

$$\varphi_1=chz_1x; \qquad \varphi_2=shz_1x; \qquad \varphi_3=chz_2x; \qquad \varphi_4=chz_2x, \tag{13}$$

აქ $z_1=c+id$ და $z_3=c+if$ მახასიათებელი განტოლების კომპლექსური ფესვებია.

$$\psi_j^*=\frac{1}{z_3^2-z_1^2}\left\{\frac{1}{z_1}\left[c_*(x-a_j)+iS_*(x-a_j)\right]-\frac{1}{z_3}\left[\bar{c}_*(x-a_j)+i\bar{S}_*(x-a_j)\right]\right\}+H(x-a_j),$$

$$\psi_j^{**}=\frac{1}{z_3^2-z_1^2}\left[c_*(x-a_j)+iS_*(x-a_j)-\bar{c}_*(x-a_j)+i\bar{S}_*(x-a_j)\right]+H(x-a_j),$$

$$\psi_j^{***}=\frac{1}{z_3^2-z_1^2}\left\{z_1\left[c_*(x-a_j)+iS_*(x-a_j)\right]-z_3\left[\bar{c}_*(x-a_j)+i\bar{S}_*(x-a_j)\right]\right\}+H(x-a_j), \tag{14}$$

სადაც

(15)

$$C_s(x-a_j)=\cos d(x-a_j)\operatorname{sh}c(x-a_j);\qquad \overline{C}_s(x-a_j)=\cos f(x-a_j)\operatorname{sh}e(x-a_j);$$
$$S_s(x-a_j)=\sin d(x-a_j)\operatorname{ch}c(x-a_j);\qquad \overline{S}_s(x-a_j)=\sin f(x-a_j)\operatorname{sh}e(x-a_j);$$
$$C_s(x-a_j)=\cos d(x-a_j)\operatorname{ch}(x-a_j);\qquad \overline{C}_s(x-a_j)=\cos f(x-a_j)\operatorname{ch}e(x-a_j);$$
$$S_s(x-a_j)=\sin d(x-a_j)\operatorname{sh}c(x-a_j);\qquad \overline{S}_s(x-a_j)=\sin f(x-a_j)\operatorname{sh}e(x-a_j);$$

C_k მუდმივები კომპლექსური სიდიდეებია და განისაზღვრება სასაზღვრო პირობებიდან. ψ_f^*, ψ_f^{**}, ψ_f^{***} ფუნქციების ალგებრული დანამატები (12) განმსაზღვრელში აგრეთვე კომპლექსური სიდიდეებია; თუ მათ წარმოვადგენთ შესაბამისად $\overline{L}_f = i\overline{M}_f$, $\overline{L}'_f = i\overline{M}'_f$, $\overline{L}^*_f = i\overline{M}^*_f$ სახით (11) გამოსახულება ასე გადაიწერება:

$$\varphi=\sum_{k=1}^{4}C_k\varphi_k+\sum_{k=1}^{4}C_k\sum_{j=1}^{n}\left[\left(\overline{L}_j=i\overline{M}_j\right)\psi_j^{*}+\left(\overline{L}'_j=i\overline{M}'_j\right)\psi_j^{**}+\left(\overline{L}^*_j=i\overline{M}^*_j\right)\psi_j^{***}\right] \tag{16}$$

(14) ფორმულის გამოყენებით მივიღებთ:

$$\varphi=\sum_{k=1}^{4}(X_{2k}+iX_{2k})\varphi_k+\sum_{k=1}^{4}(X_{2k-1}+iX_{2k})\varphi_k\sum\{M_jC_s(x-a_j)+$$
$$+L_jS_s(x-a_j)+M'_jC_s(x-a_j)+L'_jS_s(x-a_j)+\overline{M}_j\overline{C}_s(x-a_j)+$$
$$+\overline{L}_j\overline{S}_s(x-a_j)+\overline{M}'_j\overline{C}_s(x-a_j)+\overline{L}'_j\overline{S}_s(x-a_j)+[M'_jC_s(x-a_j)-$$
$$+L'_jC_s(x-a_j)+M'_jS_s(x-a_j)-L'_jC_s(x-a_j)+\overline{M}'_j\overline{S}_s(x-a_j)-$$
$$-\overline{L}'_j\overline{C}_s(x-a_j)+\overline{M}'_j\overline{S}_s(x-a_j)-L'_j\overline{C}_s(x-a_j)]\}H(x-a_j).$$

აქ მიღებულია აღნიშვნების შემდეგი სისტემა:

[7] Shestopalov Y., Kotik N. Approximate decomposition for the solution of boundary value problems for elliptic systems arising in mathematical models of layered structures. In: *Progress in electromagnetics research symposium, Cambridge*, USA, March 26–29, 2006, pp.514–518.

[8] Zirakashvili N. Some Boundary Value Problems of Elasticity for Semi-Ellipses. *Proceeding of I. Vekua Institute of Applied Mathematics* 52, 2002, Tbilisi, pp.49 – 55.

[9] Jeffery G. B. Planes tress and planes train in bipolar coordinates. *Trans. Roy. Soc. London*, 221, A. 1921, pp.265-293.

[10] Ufland Ya. S. *Bipolar coordinates in elasticity*. Gostehteoretizdat, Moscow-Leningrad, 1950, 232 pages (Russian).
[11] Khomasuridze N. Solution of some elasticity boundary value problems in bipolar coordinates. *Acta Mechanica*. 189 (3-4), 2007, pp. 207-224.
[12] Zappalorto M., Lazzarin P., Yates J.R. Elastic stress distributions for hyperbolic and parabolic notches in round shafts under torsion and uniform antiplane shear loadings. *International Journal of Solids and Structures* 45(18–19), 2008, pp. 4879–4901.
[13] Novozhilov V. V. *Elasticityt heory*. Sudpromgiz, Leningrad, 1958, 371 pages (Russian).
[14] Lebedev N.N. *Special functions and their applications*. Gosizdat of Theoretical Technical Literature, Moscow, 1958, 380 pages (Russian).
[15] Bermant A. F. *Mapping, Curvilinear coordinates. Transformations. Green,s forurula*. Fizmatgiz, Moscow, 1958, 308 pages (Russian).

ძირითადი სასაზღვრო-კონტაქტური ამოცანის მიახლოებითი ამოხსნების აგების ახალი მეთოდის შესახებ

ლეკვეიშვილი დ., ჭუმბურიძე მ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია. *ნაშრომში განხილულია მიახლოებითი ამოხსნების აგების ახალი მეთოდი გრინის ტენზორების გამოყენებით. დასაბუთებულია რომ გრინის ტენზორი შეიძლება გამოყენებულ იქნას ამოცანის ამონახსნის რაგინდ ზუსტ რაოდენობრივ შეფასებათა აპროქსიმაციის მისაღებად. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ძირითადი საკონტაქტო ამოცანები. კვლევა ეფუძნება ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდს, გრინის ტენზორებისა და პოტენციალთა მეტოდებს.*

საკვანძო სიტყვები. მიახლოებითი ამოხსნები; გრინის ტენზორი; საკონტაქტო ამოცანები.

შესავალი

უახლესი ტექნოლოგიური მიღწევები ცხადყოფენ, რომ მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების დარგებში, ინჟინერიაში, ბიომექანიკასა და მატემატიკურ ინდუსტრიაში მოვლენების მათემატიკური აღწერის გაცილებით ძლიერი აპარატია რთული კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ცნობილ კანონიკურ ტიპებს. ურთულეს ამოცანას წარმოადგენს ამ განტოლებების რიცხვითი მიახლოებითი ამოხსნების აგება და მათი გადაწყვეტის რაგინდ ზუსტ რაოდენობრივ შეფასებათა ეფექტური ალგორითმების შემუშავება, რაც პირდაპირ კავშირშია ამონახსნის სტრუქტურის სიმარტივესთან. ამასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასვა აპროქსიმაციები[1], რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ამონახსნის აგების სტრატეგიებითა და სიზუსტით.

ნაშრომში შემოთავაზებულია და დამტკიცებულია კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებების ამოხსნის ინოვაციური გამოთვლითი მეთოდები კლასიკური დრეკადობის სასაზღვრო-კონტაქტური ამოცანის მაგალითზე.

ნაშრომის მთავარ არსს წარმოადგენს აპროქსიმაციის ალგორითმების განზოგადებული მეთოდების კვლევა და ახალი ეფექტური მოდიფიკაციების შემოთავაზება გრინის ტენზორების გამოყენებით[3]. კვლევის ობიექტს წარმოადგენს დრეკადობის თეორიის ორგანზომილებიანი სასაზღვრო-კონტაქტური ამოცანების მოდელები სხვადასხვა სასაზღვრო-კონტაქტური პირობებით არაერთგვაროვანი სასრული და უსასრულო არეებისთვის, რომლებიც შემოსაზღვრული არიან ჰოლდერის კლასის შეკრული წირებით[4].

ამოცანის დასმა

ავაგოთ ძირითადი სასაზღვრო-კონტაქტური ამოცანის მიახლოებითი ამოხსნები დრეკადობის თეორიის კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა სტატიკური სისტემებისათვის ცენტრ-სიმეტრიანი არაერთგვაროვანი იზოტროპული წრიული არეებისათვის კოშის ჰიპოთეზის პირობებში [3]:

$$\forall x \in D_r, r = 1,2: \qquad A^{(r)}(\partial x)u^{(r)}(x) = f^{(r)}(x)$$

$$\forall y \in S \in L_2(\alpha), \alpha > 0: \quad \{u^{(1)}(y)\}^+ = \{u^{(2)}(y)\}^-$$

$$\{T^{(1)}(\partial y, n)u^{(1)}(y)\}^+ = \{T^{(2)}(\partial y, n)u^{(2)}(y)\}^-$$

და გამოსხივების პირობებით უსასრულობაში.

სადაც, $D_1 = \{x = (x_1, x_2) \epsilon R^2,\ x_1^2 + x_2^2 \le l^2\}$, $D_2 = \{x = (x_1, x_2) \epsilon R^2,\ x_1^2 + x_2^2 \ge l^2\}$,

$S = \{x = (x_1, x_2) \epsilon R^2,\ x_1^2 + x_2^2 = l^2\} \in \Lambda_2(\alpha), \alpha > 0$ –ლიაპუნოვის წირი ჰოლდერის კლასის(სურ.1), სადაც l – მოცემული რიცხვია. $A^{(r)}(\partial x) = A(\partial x, \mu_r, \lambda_r)$,

$A(\partial x, \mu, \lambda) = \|A_{ij}(\partial x, \mu, \lambda)\|_{2\times 2}$, $A_{ij}(\partial x, \mu, \lambda) = \delta_{ij}\mu\Delta + (\lambda + \mu)\frac{\partial^2}{\partial x_i \partial x_j}$, $i, j = 1,2$; $\Lambda_2(\alpha)$, $\alpha > 0$,

$T^{(r)}(\partial y, n) = T(\partial y, \mu_r, \lambda_r, n)$ – ძაბვის ტენზორი, $T(\partial y, \mu, \lambda, n) = \|T_{ij}(\partial y, \mu, \lambda, n)\|_{2\times 2}$,

$T_{ij}(\partial y, \mu, \lambda, n) = \lambda n_i(y)\frac{\partial}{\partial y_j} + \mu n_j(y)\frac{\partial}{\partial y_i} + \delta_{ij}\mu\frac{\partial}{\partial n(y)}$, $i, j = 1,2$; $n(y)$ - გარე ერთეულოვანი ნორმალია S ზედაპირისადმი y წერტილში, $u^{(r)} = (u_1^{(r)}, u_2^{(r)})$- გადაადგილების ვექტორი, μ_r, λ_r – დრეკადობის მუდმივები, $f^{(r)} = (f_1^{(r)}, f_2^{(r)}) \in C^{2,\alpha}(D_r) \cap C^{1,\alpha}(\overline{D_r}), \alpha > 0$- მოცემული ვექტორ-ფუნქციები.

ნებისმიერი $\varphi(x)$ ფუნქციის შეზღუდვა D_r არეზე აღვნიშნოთ $\varphi^{(r)}(x)$-ით.

კოშის ჰიპოთეზის პირობებში:

$$\frac{\mu_2}{\lambda_2} = \frac{\mu_1}{\lambda_1} \text{ სადაც, } \qquad \mu_1 < \mu_2$$

გვაქვს შემდეგი შეფასებები[3]:

$$L^1(\partial x) = \frac{\mu_1}{\mu_2}L^{(2)}(\partial x),\ T^{(1)}(\partial x, n) = \frac{\mu_1}{\mu_2}T^{(2)}(\partial x, n)$$

როგორც ცნობილია ამ ამოცანას, გააჩნია ერთადერთი ამონახსნი[4]. ვიპოვოთ ის მიმდევრობითი მიახლოების მეთოდით.

ამონახსნის აგება

ნულოვან მიახლოებად ავიღოთ u_0=0 ფუნქცია. ვთქვათ მიმდევრობის $u_0, u_1, u_2, \ldots, u_k$ წევრები უკვე აგებულია. ამ მიმდევრობის შემდეგი წევრი განვსაზღვროთ როგორც ამონახსნი შემდეგი ამოცანებისა:

ნეიმანის ამოცანა:

$$A^{(2)}(\partial x)u_{k+1}^{(2)}(x) = f^{(2)}(x), x \in D_2$$

$$\{T^{(2)}(\partial y, n)u_{k+1}^{(2)}(y)\}^- = \{T^{(1)}(\partial y, n)u_k^{(1)}(y)\}^+, y \in S$$

დირიხლეს ამოცანა:

$$A^{(1)}(\partial x)u_{k+1}^{(1)}(x) = f^{(1)}(x), x \in D_1$$

$$\{u_{k+1}^{(1)}(y)\}^{+} = \{u_{k+1}^{(2)}(y)\}^{-}, y \in S$$

ვაჩვენოთ, რომ ამ სახით აგებული მიმდევრობა კრებადია და მისი ზღვარი u დასმული ამოცანის ამონახსნია.

განვიხილოთ მწკრივი:

$$\sum_{k=1}^{\infty} v_k,$$

სადაც $v_k = u_k - u_{k-1}, k \geq 1$. ცხადია,$v_1$ წარმოადგენს შემდეგი ამოცანების ამონახსნს

ნეიმანის ამოცანა:

$$A^{(2)}(\partial x)v_1^{(2)}(x) = f^{(2)}(x), x \in D_2$$

$$\{T^{(2)}(\partial y, n)v_1^{(2)}(y)\}^{-} = 0, y \in S$$

დირიხლეს ამოცანა:

$$A^{(1)}(\partial x)v_1^{(1)}(x) = f^{(1)}(x), x \in D_1$$

$$\{v_1^{(1)}(y)\}^{+} = \{v_1^{(2)}(y)\}^{-}, y \in S$$

ხოლოv_k, როცა $k > 1$ აკმაყოფილებს ერთგვაროვან დიფერენციალურ განტოლებას :

$$A^{(r)}(\partial x)v_k^{(r)}(x) = 0, x \in D_r, r = 1,2$$

და საკონტაქტო პირობებს:

$$\left\{v_k^{(1)}(y)\right\}^{+} = \left\{u_k^{(1)}(y) - u_{k-1}^{(1)}(y)\right\}^{+} = \left\{u_k^{(1)}(y)\right\}^{+} - \left\{u_{k-1}^{(1)}(y)\right\}^{+} =$$

$$= \left\{u_k^{(2)}(y)\right\}^{-} - \left\{u_{k-1}^{(2)}(y)\right\}^{-} =$$

$$= \left\{u_k^{(2)}(y) - u_{k-1}^{(2)}(y)\right\}^{-} = \left\{v_k^{(2)}(y)\right\}^{-}, y \in S$$

$$\left\{T^{(2)}(\partial y, n)v_k^{(2)}(y)\right\}^{-} = \{T^{(2)}(\partial y, n)(u_k^{(2)}(y) - u_{k-1}^{(2)}(y))\}^{-} =$$

$$= \left\{T^{(2)}(\partial y, n)u_k^{(2)}(y)\right\}^{-} - \left\{T^{(2)}(\partial y, n)u_{k-1}^{(2)}(y)\right\}^{-} =$$

$$= \left\{T^{(1)}(\partial y, n)u_{k-1}^{(1)}(y)\right\}^{+} - \left\{T^{(1)}(\partial y, n)u_{k-2}^{(1)}(y)\right\}^{+} =$$

$$= \{T^{(1)}(\partial y, n)(u_{k-1}^{(1)}(y) - u_{k-2}^{(1)}(y))\}^{+} = \{T^{(1)}(\partial y, n)v_{k-1}^{(1)}(y)\}^{+}, y \in S,$$

ვთქვათ k>1. როგორც ცნობილია,

$$v_k^{(1)}(x) = -\frac{1}{2}\int_S \left[T^{(1)}(\partial z, n)G_1^{(1)}(z,x)\right]' \left\{v_k^{(1)}(z)\right\}^+ d_z S =$$

$$= -\frac{1}{2}\int_S \left[T^{(1)}(\partial z, n)G_1^{(1)}(z,x)\right]' \left\{v_k^{(2)}(z)\right\}^- d_z S. x \in D_1$$

თავის მხრივ,

$$v_k^{(2)}(x) = \frac{1}{2}\int_S G_2^{(2)}(x,y)\left\{T^{(2)}(\partial y, n)v_k^{(2)}(y)\right\}^- d_y S = \frac{1}{2}\int_S G_2^{(2)}(x,y)\left\{T^{(1)}(\partial y, n)v_{k-1}^{(1)}(y)\right\}^+ d_y S,$$

$$x \in D_2.$$

სადაც, $G_1^{(1)}(z,x)$ გრინის პირველი ტენზორია D_1 - შიგა არესათვის[4], ხოლო $G_2^{(2)}(x,y)$ - გრინის მეორე ტენზორი D_2 გარე არესათვის[4].

უკანასკნელ ტოლობაში გადავიდეთ ზღვარზე როცა $D_2 \ni x \to z \in S$, მივიღებთ

$$\left\{v_k^{(2)}(z)\right\}^- = \frac{1}{2}\int_S G_2^{(2)}(z,y)\left\{T^{(1)}(\partial y, n)v_{k-1}^{(1)}(y)\right\}^+ d_y S.$$

რომლის გათვალისწინებით მივიღებთ,

$$v_k^{(1)}(x) = -\frac{1}{4}\int_S \left[T^{(1)}(\partial z, n)G_1^{(1)}(z,x)\right]' \left[\int_S G_2^{(2)}(z,y)\left\{T^{(1)}(\partial y, n)v_{k-1}^{(1)}(y)\right\}^+ d_y S\right] d_z S =$$

$$= -\frac{1}{4}\int_S \left[\int_S \left[T^{(1)}(\partial z, n)G_1^{(1)}(z,x)\right]' G_2^{(2)}(z,y)\, d_z S\right]\left\{T^{(1)}(\partial y, n)v_{k-1}^{(1)}(y)\right\}^+ d_y S$$

გრინის მეორე ტენზორის სიმეტრიულობა წრეწირის მიმართ[3.4] გვაძლევს შესაძლებლობას გრინის მეორე ტენზორი გარე არისათვის შევცვალოთ გრინის მეორე ტენზორით შიგა არისათვის:

$$\int_S \left[T^{(1)}(\partial z, n)G_1^{(1)}(z,x)\right]' G_2^{(2)}(z,y)\, d_z S = G_2^{(2)}(x,y) = -G_2^{(1)}(x^*, y)$$

სადაც $G_2^{(1)}(x^*, y)$ გრინის მეორე ტენზორია D_1 - შიგა არესათვის, $x^*(x_1^*, x_2^*) \in D_1$ არის $x = (x_1, x_2) \in D_2$ წერტილის სიმეტრიული წერტილი S − წრეწირის მიმართ.

მაშინ საბოლოოდ ვღებულობთ:

$$v_k^{(1)}(x) = \frac{1}{2}\int_S G_2^{(1)}(x^*, y)\left\{T^{(1)}(\partial y, n)v_{k-1}^{(1)}(y)\right\}^+ d_y S = \frac{\mu_1}{\mu_2}v_{k-1}^{(1)}(x)$$

აქ უნდა გადავიდეთ ზღვარზე, როდესაც x მიისწრაფვის სასაზღვრო z წერტილისაკენ, მაშინ x^*-იც მიისწრაფვის იმავე z-ისკენ. მიიღება კრებადი მწკრივი წრეწირზე და რადგანაც დირიხლეს ამოცანა კორექტული ამოცანაა, მწკრივი კრებადია მთელ სიბრტყეზე.

დასკვნა

ამრიგად, ნაშრომში დასაბუთებულია მიახლოებითი ამონახსნების აგების ახალი მეთოდი გრინის ტენზორებისა და განზოგადებულ მწკრივთა თეორიის გამოყენებით, ორგანზომილებიანი კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა სტატიკური მოდელებისთვის სასაზღვრო-კონტაქტური ამოცანებისათვის.
არსებობს კლასიკური მომენტური თერმოდრეკადობის თეორიის სხვადასხვა განზოგადებები. ეს მეთოდები შეიძლება განზოგადებულ იქნას სხვა მოდელების შემთხვევაშიც.

ლიტერატურა

[1]. Chumburidze, M., & Lekveishvili, D. (2014). Approximate Solution of Some Mixed Boundary Value Problems of the Generalized Theory of Couple-Stress Thermo-Elasticity. World Academy of Science, engineering and Technology, 6(28), 161-163.
[2]. Chumburidze, M., & Lekveishvili, D. (2017, August). Numerical approximation of basic boundary-contact problems. In ASME 2017 International Design Engineering Technical Conferences and Computers and Information in Engineering Conference(pp. V009T07A021-V009T07A021). American Society of Mechanical Engineers.
[3]. Kupradze, V. et al.: Three-Dimensional Problemsof the Mathematical Theory of ElasticityandThermo Elasticity. North-Holland,Amsterdam-New York (1983)
[4] Chumburidze, M.: Non-classical models of thesome theory of boundary value problems.Saarbrcken, Germany (2014)

About the new method to construct of approximate solution of boundary-contact problem

Lekveishvili D., Chumburidze M.
Akaki Tsereteli State University

This paper is devoted to the development of approximation method for the solution of basic boundary-contact problems of elasticity for isotropic inhomogeneous elastic materials. In particular, we consider a static system with a conditions of Cauchy Hypothesis.
We propose and justify that Green's tensors can be used to improve the efficiency and accuracy in computing the numerical solutions in assumptions that surfaces of materials are sufficiently smooth.
The tools applied in this development are based on boundary integral equations method, Green's tensors and generalized series analysis.

ექსკალატორის სახელურების დამზადება ბაზალტის როვინგისაგან ფორმირებული ქსოვილის კომპოზიტისაგან

ბაკურაძე ე., ზივზივაძე ბ., მოსეშვილი თ., ბაკურაძე კ.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი


ნაშრომში განხილულია ახალი სახის ბაზალტის ღერძულ-გარსული სტრუქტურის ძაფებისაგან გამომუშავებული ტექნიკური ქსოვილის ლენტების გამოყენების პერსპექტიულობა ესკალატორის სახელურების დასამზადებლად, რომელთა გამოყენება გამორიცხავს სახელურის კონსტრუქციაში ფოლადის ბაგირთა სისტემის გამოყენების აუცილებლობას. სახელური გაუმჯობესებული იქნება სამომხმარებლო და საექსპლოატაციო თვისებებით.

კომპოზიტი, ტექნიკური ქსოვილი, ესკალატორი, ჰიბრიდული ძაფი, ღერძულ-გარსული, ბაზალტი

XX საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში მსოფლიოში აღინიშნებოდა კომპოზიციურ მასალებზე მნიშვნელოვანი ზრდა. აშშ-ის მეცნიერები მიუთითებენ, რომ XXI საუკუნე იქნება კომპოზიტთა ერა, სადაც წამყვანი ადგილი მათი უნიკალური თვისებების გამო მოვა საფეიქრო ფუძეზე დამზადებულ კომპოზიტებზე [1].


საფეიქრო ფუძეზე დამზადებულ კომპოზიტებს ფართო გამოყენება აქვს უწყვეტ სატრანსპორტო საშუალებებში: კონვეიერების, ელევატორების ლენტების, სახელურების და სხვა სახით.

სატრანსპორტო საშუალებებში გამოყენებულ ერთერთ რთული კონსტრუქციის კომპოზიტს წარმოადგენს ესკალატორის სახელურები, რომელთა დასამზადებლად ჯერჯერობით ძირითადად გამოიყენება ბამბის ტექნიკური ბრეზენტის ქსოვილი [2]. 90 და 112 მმ სიგანის სახელურებს ამზადებენ 7 და 8 ფენის ბამბის ბელტინგისაგან (ნახ.1).



ნახ.1. რეზინქსოვილოვანი სახელური სიგანით 112 მმ (ა) და 90 მმ (ბ).
1 - რეზინის ფენა; 2 - ბელტინგის ფენა.

ამ სახის სახელურებს აყენებენ ყველა ტიპის ესკალატორზე გარდა ЭТ ტიპის ესკალატორებისა. უნიფიცირებულ დაარმატურებულ 90 მმ სიგანის ფოლადის 10 ბაგირიან, ბამბის ბელტინგის 4 ფენიან, სახელურებს აყენებენ ЭТ ტიპის ესკალატორებზე (ნახ.2).



ნახ.2. რეზინისქსოვილოვანი უნიფიცირებული დაარმატურებული სახელური.
1- ბელტინგის ფენები; 2- ფოლადის ბაგირები; 3- რეზინის ფენა.

სახელურის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ტექნიკური ქსოვილი, რომელიც ქსელის მიმართულებით უნდა ფლობდეს გაჭიმვისადმი დიდ სიმტკიცეს, დარტყმისა და მრავალჯერადი ღუნვისადმი მდგრადობას, მუშა დატვირთვისას მინიმალურ დაგრძელებას და რეზინის მიმართ დაბალ ადჰეზიას, ხოლო მისაქსელის მიმართულებით გაჭიმვაზე საკმარის სიმაგრეს, მჩხვლეტი და დარტყმითი დეფორმაციისადმი წინააღმდეგობას, მოქნილობას და რეზინის მიმართ დაბალ ადჰეზიას.

ЭТ ტიპის უნიფიცირებული სახელურის კონსტრუქციის ძირითად მზიდ ელემენტს წარმოადგენს 2 მმ დიამეტრის 10 ცალი ფოლადის ბაგირი, 0,041 მმ დიამეტრის ფოლადის 49 ელემენტალური სიმით.

ფოლადის ბაგირთა სისტემის რეზინთან და ბელტინგის ფენებთან ადჰეზია არის მაღალი, რის გამოც კომპოზიტი ხანგრძლივად ვერ მუშაობს როგორც ერთიანი სისტემა, იწვევს ბელტინგის ფენების დაზიანებას. აგრეთვე მხოლოდ ბამბის ქსოვილისაგან დამზადებული სახელურების საექსპლოატაციო მახასიათებლებიც არ არის მაღალი.

მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ზემოთ აღნიშნული მახასიათებლების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ახალი თვისებების ნედლეულის გამოყენების გზით [3].

რუსეთში კონვეიერების ლენტების წარმოებაში ფართოდ გამოიყენებოდა პოლიეთერის ძაფებისა და ბამბის ნართის ერთდროული შეგრეხვით მიღებული კომბინირებული ქსელისა და მისაქსელის ძაფებისაგან დამზადებული ტექნიკური ქსოვილები. ბოლო წლებში ისინი შეცვალეს პოლიამიდური (ლავსან-კაპრონი) ძაფებისაგან გამომუშავებული ქსოვილით, რომელიც მოითხოვს გამჟღენთში წინასწარ დამუშავებას.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კონვეიერების ლენტების დასამზადებლად ძირითადად გამოიყენება ქიმიური ბოჭკოებისაგან (პოლიეთერული-პოლიამიდური) დამზადებული ქსოვილები. ქსელში გამოიყენება მაღალი სიმტკიცისა და და დაბალი ადჰეზიის უნარის პოლიეთერის ძაფები - „ტრევირა“და „დიოლენი“, ხოლო მისაქსელში - მაღალი სიმტკიცის ნეილონის ძაფი.

კონვეიერების ლენტების დასამზადებლად პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს არამიდული ბოჭკოს - „კევლარის“ გამოყენება. დამუშავებულია ღრმა შახტებში

გამოსაყენებლად კონვეიერის ლენტები, რომელთა ერთი ფენის კარკასი „კევლარი“-საა და ორმხრივი ცეცხლმედეგი დაფარვა - პოლიქლოროპროპილენისაგან.

იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა დიდი ცვეთამედეგობა, გამოიყენება „კევლარი“-ს ღერძული ძაფებისაგან დამზადებული ლენტები. „კევლარი“-ს ბოჭკოს გამოყენება საშუალებას გვაძლევს უზრუნველვყოთ დაბალი თბოგამტარობა, ლენტის დაგრძელების 0,7%-მდე შემცირება და მაღალი ცვეთამედეგობა. აღნიშნული კომპოზიტების მაღალი საექსპლოატაციო მახასიათებლების მიუხედავად, მათი გამოყენების სფერო შეზღუდულია მაღალი ფასის გამო.

წინამდებარე ნაშრომში შემოთავაზებულია ბაზალტ-პოლიეთერ-ბამბის ჰიბრიდული ძაფების გამოყენებით დამზადებული ტექნიკური ქსოვილის ლენტებისაგან ესკალატორის სახელურების ფორმირების ალტერნატიული მეთოდი.

ახალი სტრუქტურის ქსოვილები აგრეთვე შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული კონვეიერებისა და ელევატორების ლენტების დასამზადებლად.

ღერძულ-გარსული სტრუქტურის მაღალი სიმტკიცის და მცირე დაგრძელების უნარის თერმომდგრადი ძაფებისაგან შექმნილი კომპოზიტი უფრო მეტად მოქნილი, მსუბუქი, გამძლე და მოხერხებული იქნება დამუშავების, შეკეთების და ექსპლოატაციისათვის, ვიდრე არსებული უნიფიცირებული სახელურები.

ЭТ ტიპის უნიფიცირებული ესკალატორის სახელურის მზიდი ელემენტის - ერთი ცალი ფოლადის ბაგირის ზღვრული სიმაგრეა 38 კნ, ხოლო მთლიანი კონსტრუქციისათვის ეს სიდიდე შეადგენს 380-400 კნ-ს.


ახალი სტრუქტურის ესკალატორის სახელურის დასამზადებლად ქსოვილის დაპროექტების მიზანია საჭირო საექსპლოატაციო და სამომხმარებლო მახასიათებლების ქსოვილის მიღება. ტექნიკური ქსოვილების დაპროექტებას უმეტესად აწარმოებენ ქსოვილის გამწყვეტი დატვირთვით, რომელიც შეიძლება განვსაზღვროთ ფორმულით $F=П \cdot Т \cdot К$ კნ [3], სადაც П - ძაფთა რიცხვია ქსოვილის ლენტში, Т - ერთეული ძაფის სიმაგრეა, К - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ხლართის შესაბამისად ქსოვილის სიმტკიცის ზრდას, რაც ტილოს ხლართის ქსოვილისათვის შეადგენს 1,08-1,15.

ალტერნატიული სახელური (ნახ.3) მზადდება ახალი სტრუქტურის და შედგენილობის ქსოვილის ბელტინგის 4 ფენისაგან, რომელთაგან 1-3 ფენის სიგანეა 120 მმ, ხოლო მეოთხე ფენის - 170 მმ, რომლებზედაც უნდა განაწილდეს საერთო 400 კნ დატვირთვა. მხედველობაშია მისაღები ლენტში ქსელის ძაფთა რაოდენობა და მისი ხაზობრივი სიმჭიდროვე, რადგან, როდესაც ვზრდით ძაფთა რაოდენობას და შესაბამისად ვამცირებთ ზღვრულ მნიშვნელობამდე მის ხაზობრივ სიმჭიდროვეს, ლენტის საექსპლოატაციო მახასიათებლები (ელასტიურობა, ხანგამძლეობა, სიმტკიცე) იზრდება.

ზღვრული დეფორმაციის (Δ=0,014-0,018) გარდა ქსოვილი უნდა ფლობდეს გარკვეულ თერმომდგრადობას, რადგანაც ექსპლოატაციის დროს გზის რთულ მონაკვეთებზე დიდი დატვირთვით მუშაობისას ადგილი აქვს დიდ ხახუნს და გაზრდილი რაოდენობით სითბოს გამოყოფას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ნედლეულის შერჩევისას უპირატესობას ვანიჭებთ არამიდულ და მინის ჯგუფის ძაფებს. ვირჩევთ სამამულო წარმოების ბაზალტის როვინგს 200-220 ტექსი ხაზობრივი სიმჭიდროვით.

ელემენტალურ ბოჭკოთა მაქსიმალური სიმტკიცის შენარჩუნებისათვის ვირჩევთ ღერძულ-გარსული სტრუქტურის დაბალი გრეხვის კომპლექსური ძაფების ფორმირების სიტემას - „ბოჭკო-ძაფი“ ბოჭკოს სიმტკიცის შენარჩუნების კოეფიციენტის К=96 რეალიზაციით [5].



ნახ.3. ბაზალტ-პოლიეთერ-ბამბის ბელტინგისაგან დამზადებული სახელური.
1 - ბელტინგის ფენები; 2 - რეზინის ფენა.

200т ხაზობრივინ სიმჭიდროვის ბაზალტის როვინგისაგან ღერძულ-გარსული სტრუქტურის ძაფების ფორმირებას ვახდენთ სართავ-საგრეხ მანქანაზე, სტრუქტურით 200т X 2, 200т X 3, 200т X 4, ღერძული შემადგენელია ბაზალტის როვინგი, ხოლო გარსული - შემომხვევი16,6 ტექსი ხაზობრივი სიმჭიდროვის პოლიეთერის ძაფი. გრეხვის რაოდენობა 1 მეტრზე შეადგენს K=70-100.

ბაზალტ-პოლიეთერის ღერძულ-გარსული სტრუქტურის ძაფების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები მოცემულია ცხრილში.

ძაფის ხაზობრივი სიმჭიდროვე T, ტექსი	გამწყვეტი დატვირთვა P, კნ	ფარდობითი წაგრძელება, %	გრეხვის რაოდენობა K 1 მ-ზე
200 X 2	1	0,5	100
200 X 2	1,5	0,45	80
200 X 2	2	0,40	70

200т X 2 ხაზობრივი სიმჭიდროვის ბაზალტის ძაფის გამოყენებისას $B_т$ = 120 მმ სიგანის ლენტში ძაფთა რაოდენობა ტოლია H_o = 108, ლენტის გამწყვეტი სიმაგრე $P_л = П \cdot T \cdot K = 1 \cdot 108 \cdot 1,15 = 124,2$ კნ.

200т X 3 ხაზობრივი სიმჭიდროვის ბაზალტის ძაფის გამოყენებისას ლენტში ძაფთა რაოდენობა ტოლია H_o = 72, შესაბამისად $P_{л2} = 1,5 \cdot 72 \cdot 1,15 = 162$ კნ.

200т X 4 ხაზობრივი სიმჭიდროვის ბაზალტის ძაფის გამოყენებისას ლენტში ძაფთა რაოდენობა ტოლია H_o = 48, შესაბამისად $P_{л3} = 2 \cdot 48 \cdot 2 = 144$ კნ.

მეოთხე $B_{т4}$ =170 მმ სიგანის ლენტში 200т X 2, 200т X 3, 200т X 4 ხაზობრივი სიმჭიდროვის ბაზალტის ძაფის გამოყენებისას ლენტის გამწყვეტი სიმაგრე ტოლია:

$P_{л4}^{I} = 153 \cdot 1 \cdot 1,15 = 175,95$ კნ.

$P_{л5}^{II} = 102 \cdot 1,15 \cdot 1,15 = 229,5$ კნ.


$P_{л6}^{III} = 153 \cdot 1 \cdot 1,15 = 175,95$ კნ.

კომპოზიტის შემადგენელი ოთხივე ფენის ქსოვილის ერთდროული მუშაობისას მათი ჯამური გამწყვეტი სიმაგრე შეადგენს: P_1=548,5 კნ; P_2=715 კნ; P_3=888 კნ.

ვირჩევთ ლენტს ჯამური P_1=548,5 კნ დატვირთვით, რადგან ეს მნიშვნელობა უფრო ახლოსაა სახელურის საექსპლოატაციო დატვირთვასთან. გარდა ამისა, ქსოვილის მაფორმირებელი ძაფის ხაზობრივი სიმჭიდროვე და შესაბამისი რაოდენობა უზრუნველყოფს

კომპოზიტის მუშაობის საიმედოობას და ელასტიურობას.

კომპოზიტის მაფორმირებელ ქსოვილთა ახალი სტრუქტურები გამომუშავებული იქნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფეიქრო მრეწველობის ლაბორატორიაში. სახელურის ფორმირების სქემა ახალი მეთოდით მოცემულია ნახ.4-ზე.



ნახ.4. კომპოზიტის - ესკალატორის სახელურის ფორმირების სქემა

მოდერნიზებული ქსოვილების რულონებისაგან შემდგარი პარტია - სამი რულონი 120 მმ სიგანით, ხოლო ერთი რულონი 170 მმ სიგანით და ორი რულონი 50 მმ სიგანით (ფოლადის ბაგირთა შემცვლელი ქსოვილის ლენტი) თავსდება სახელურის მაფორმირებელი აგრეგატის თაროზე თანმიმდევრობით: 1 და 2 რულონი 120 მმ სიგანით, 3 და 4 ფოლადის ბაგირთა შემცვლელი ლენტები 50 მმ სიგანით, მე-5 რულონი 120 მმ სიგანით და მე-6 რულონი 170 მმ სიგანით. იმისათვის, რომ ლენტები მიეწოდოს სათანადო დაჭიმულობით, მათზე მოქმედებს სპეციალური სამუხრუჭე მოწყობილობა 7. მიმმართველის 8 გავლით ლენტები მიეწოდება წინასწარი ფორმირების ზონაში 9, სადაც ხდება 3-4 ლენტების ზედაპირებს შორის ნედლი რეზინის ფენის მე-10 ფენის დაფენა. ამგვარი წყობით განლაგებული ქსოვილის ლენტები მიემართებიან საბოლოო ფორმირების თერმიულ პრესფორმაში 11. ლენტის 1 ზედაპირზე ხდება ნედლი რეზინის მე-12 ლენტის დაფენა. წნევის საშუალებით ხდება წნეხფორმის ორი ნახევრის შეერთება და 20 წუთის განმავლობაში 151^{0}C ტემპერატურაზე გახურება. ამ დროს მიმდინარეობს რეზინის ვულკანიზაცია და სახელურის ამ მონაკვეთის ერთიან კომპოზიტად ფორმირება. თერმო და დროის რელის იმპულსის მოქმედებით ხდება წნეხფორმის გაღება და გამომტანი მექანიზმით 13 ვულკანიზირებული მონაკვეთი გამოიტანება მუშა ზონიდან. გამოტანის სიგრძის რეგულირება ხდება გამომრთველი ღილვაკის 14 საშუალებით. გამოტანილი ფორმირებული სახელური აიხვევა ამხვევი მექანიზმით რულონის 15 სახით. სახელურის ფორმირების მეთოდი, ზომები და საექსპლოატაციო მახასიათებლები შეესაბამება სტანდარტს.

სახელურის ექსპერიმენტალური პარტია გამომუშავებული იქნება ქუთაისში შპს „დინა“-ს მიერ და საექსპლოატაციოდ გადაეცემა თბილისის მეტროპოლიტენს.

ლიტერატურა

1. Любина Д. Справочник по композиционным материалам. М.: Машиностроение, 1988. -279 с.
2. Инструкция по техобслуживанию и техремонту поручней эскалаторов метрополитена. М.: Транспорт, 1988. – 80 с.
3. Технология и оборудование для производства технических тканей. Выпуск 2, ЦНИИТЭИ легпром. М.: 1988. – 31 с.
4. Потягалов А.Ф. Технология построения тканей. Ярославль, 1997. – 143 с.
5. Т.В.Чу и Ф.Ко. Тканные конструкционные композиты. М.: 1991. – 427 с.

PRODUCING THE ROLLING STAIRS BANISTERS FROM BASALT ROVING TEXTILE COMPOSITES

E. Bakuradze, B. Zivzivadze, T. Moseshvili, K. Bakuradze
Akaki Tsereteli State University

The paper dwells on prospects of using the technical textile ribbons produced from new-type basalt threads with axial-shell structure for producing the rolling stairs banisters, the use of which excludes the application of the steel rope systems in the design of banisters. The banister's consumer and operating properties will be improved significantly.

საფეიქრო კომპოზიციური მასალებისაგან ელექტროსაკონტაქტო მილების დამზადების ახალი ინოვაციური ტექნოლოგიის დამუშავება

ბაკურაძე ე., ზივზივაძე ბ., ბაკურაძე კ.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი


ნაშრომში განხილულია ფეროშენადნობთა სალღობი ღუმელის მუშაობის გაუმჯობესება ახალი სტრუქტურის კომპოზიციური მასალებიდან დამზადებული ელექტროსაკონტაქტო კვანძის - ყბების გამოყენებით.

ფეროშენადნობი, ღუმელი, კომპოზიციური მასალა, ელექტროდი, ყბა

ფეროშენადნობი – არის რკინის მარგანეცთან ან სხვა ელემენტებთან შუალედური შენადნობი, რომელიც გამოიყენება ფოლადის წარმოებაში, მისი თვისებების გასაუმჯობესებლად. ამ შენადნობში წამყვანი ელემენტი არის მაგნგანუმი Mn, რკინა Fe არის ფუძე ანუ ბაზა. სილიციუმი Si და ნახშირბადი C არასასურველი მინარევებია, რომელთა შემცველობა დიდი არ არის და მკაცრად ლიმიტირებულია, ფოსფორი P და გოგირდი S მიეკუთვნება მავნე მინარევებს.

ფერომანგანუმის შენადნობის ელექტრული სალღობი ღუმელი შეიძლება დავყოთ ორ ძირითად ჯგუფად. დიდ –7500 კვ და მცირე 2500-5500 კვ სიმძლავრით. ყველა ღუმელს აგებენ სამფაზად, სამი ელექტროდით, ისინი არიან უფრო იაფი კაპიტალური დანახარჯების მიხედვით და აქვთ უკეთესი მაჩვენებლები ექსპლუატაციისას [1].

განხილული შრომების ანალიზიდან ნათელია თუ რა უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ფეროშენადნობთა სალღობი ღუმელების ელექტროდებისათვის ელექტრონული კვების გადამცემი ერთადერთი წყარო ელექტრო-საკონტაქტო კვანძი ე.წ. ყბები, რომელთა მუშაობის საიმედოობაზეცაა დამოკიდებული ღუმელის სრულყოფილი მუშაობა. ისინი ღუმელის ექსპლუატაციისას განიცდიან დიდ ელექტრონულ (ათიათასობით ამპერი) და თერმულ დატვირთვას. აღნიშნულის გამო მუშაობის გახანგრძლივების მიზნით მათ აგრილებენ წყლის ნაკადით, რომელიც მიეწოდებათ ყბის ჩამოსხმის პროცესში მასში ჩატანებულ სპეციალურ კონსტრუქციის (45-60 კგ) სპილენძის მილებს (ნახ. 1).




ნახ.1. ელექტროდებზე ელექტრული კვების გადამცემი არსებული კონსტრუქციის ელექტროსაკონტაქტო კვანძი «ყბა».
1-ყბის კორპუსი; 2- სპილენძის მილი; 3- საკონტაქტო მილისები

ღუმელების საექსპლუატაციო დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ ყბის ჩამოსხმის ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფის მიუხედავად მილის და ყბის სხმულის კორპუსს შორის ურთიერთკონტაქტი (კავშირი) ნაკლებია, ვიდრე სხმულის სივრცულ სხვა მონაკვეთებზე, რაც ყბების მაღალი ხანგრძლივად უწყვეტი საექპლუატაციო დატვირთვით მუშაობისას იწვევს მათ დაზიანებას და მწყობრიდან ადრე გამოსვლას. ერთ ღუმელს ემსახურება სამი ელექტროდი, რომელთაგან თითოეული აღჭურვილია 8 ცალი ელსაკონტაქტო ყბით. ე.ი. ღუმელს ჯამურად ემსახურება 24 ყბა. თითოეულის წონა ღუმელის კონსტრუქციის გათვალისწინებით 300-350 კგ. ერთ ღუმელზე ყბების შეცვლისას, რომელიც წელიწადში ორჯერ მაინც ხდება საჭიროა 14420-216000 კგ სპილენძი. გარდა დიდი ფინანსური დანახარჯებისა ყბების შეცვლისას ღუმელიც ჩერდება, რაც წარმოებისათვის დიდი ზარალის მომტანია. ზესტაფონის ს.ს. ფეროშენადნობთა ქარხნის ხელმძღვანელთა შეფასებით ყბები წარმოებისათვის «აქილევის ქუსლია». საკითხი ერთნაირად პრობლემატურია მსოფლიოს ანალოგიური წარმოებებისათვის.

ვითვალისწინებთ, რა პრობლემის აქტუალობას და დარგობრივ მის მსოფლიო მნიშვნელობას, წინამდებარე ნაშრომში შემოთავაზებულია ყბების დამზადების ალტერნატიული ტექნოლოგია (ხერხი) [2-4], სადაც სპილენძის მილები შეცვლილია კომპოზიციური მასალისაგან (საფეიქრო, ლითონური) დამზადებული მილკომპოზიტით, რომლის ზომები სპილენძის მილის იდენტურია. ალტერნატიული მეთოდით ჩამოსხმული ყბები თავიანთი მუშაობის ხანგრძლივობით და ტექნოლოგიური საიმედოობით აღემატება ტრადიციული მეთოდით დამზადებული ყბებს.

აღნიშნული ტექნიკური შედეგი მიიღწევა იმით, რომ ყბის ჩამოსხმის შემდეგ ვახდენთ სხმულიდან კომპოზიციური მილის ფრაქციებად დაშლას და გამოტანას, რის შედეგადაც სხმულის მთელ სივრცეში (მოცულობაში) მიიღება ერთგვაროვანი სტრუქტურის, გაუმჯობესებული თბოცვლის ელექტროსაკონტაქტო კვანძი ყბა 1 (ნახ.2) წყლის სავალი გამაგრილებელი არხით 2, რომელიც ელექტრულ დატვირთვაზე მუშაობს როგორც ერთგვაროვანი მონოლითური კვანძი [4].



ნახ.2. კომპოზიციური მილებისაგან დამზადებული ალტერნატიული ელექტროსაკონტაქტო კვანძი «ყბა».
1-ყბის კორპუსი; 2- წყლის სავალი არხი; 3- ელექტროსაკონტაქტო მილისები

ელექტროთერმული სადნობი ღუმელის ელექტროდების ელექტროსაკონტაქტო კვანძის ყბის ახალი მეთოდით დამზადება ითვალისწინებთ (ნახ.2) წყლის არხის 2 ფორმირებას, U-სებრი მოხრილი კომპოზიციური მილის ყალიბში წინასწარ მოთავსებას, მასზე საკონტაქტო მილისების 3 წამოცმას, გამდნარი ლითონის ყალიბში ჩასხმას. გაცივების შემდეგ სხმულიდან 1 კომპოზიციური მილის ფრაქციებად დაშლას და გამოტანას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად

კომპოზიციური მილის სწორ მონაკვეთებს მის რკალურ ნაწილებთან აქვთ შედარებით სუსტი კავშირი.

აღნიშნული სამუშაოს მაღალეფექტური რეალიზაციისათვის საჭიროა ყბის დამზადების და მისი საექსპლუატაციო ტექნოლოგიური ყველა პარამეტრების გათალისწინებით შერჩეული იქნას კომპოზიციური მილის შემადგენელი საფეიქრო და ლითონური მასალები, მათი სტრუქტურა, ფორმა და კომპოზიციური მასალის ფორმირების მეთოდები.

ყალიბში ყბის ფორმირებისათვის მოთავსებული U-სებრი მილი განიცდის გამღვალი სპილენძის დაწნევას, რისთვისაც ის უნდა ფლობდეს დეფორმაციის მიმართ მაღალ მდგრადობას და ტემპერატურამედეგობას. მილის სწორხაზოვანი მონაკვეთები-ნაწილები უნდა დამზადდეს თერმომდგრადი ლითონის მილისაგან, პერფორირებული ზედაპირით. ზედაპირის პერფორირება აუცილებელია ნამწვი აირების სხმულიდან ატმოსფეროში გამოსატანად, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ჰაერის ბუშტულები დარჩეს სხმულში და გამოიწვიოს ნამზადის დეფექტები.

კომპოზიციური მილის რკალური ნაწილი უნდა დამზადდეს თერმომდგრადი მავთულისაგან სპირალური ფორმით, ხვიების ურთიერთნაკვეთი დაშორებით. რკალური მონაკვეთი უნდა დამზადდეს ორი ნაწილისაგან, მილის მაქსიმალური სიმრუდის მონაკვეთზე ხვიების ურთიერთში ჩასმით. მათი ასეთი ურთიერთკავშირი გაადვილებს სხმულიდან მათ გამოტანას. სპირალთა მეორე ბოლოები სწორხაზოვანი ფორმის მავთულის სახით უნდა გატარდეს ლითონის მილების სწორ მონაკვეთების სიღრუეში და აღემატებოდეს მილის სწორი მონაკვეთების სიგრძეს 15-20 სმ-ით. რაც საჭიროა სხმულიდან სპირალის გამომტან-ამხვევ თაურაზე კარგად ფიქსირებისათვის.

სპირალების პერფორირებულ მილებთან დაკავშირება უნდა მოხდეს მილებში სპირალის მჭიდრო ჩასმით, რის გამოც ისინი უნდა ბოლოვდებოდეს ლითონის მილის შიგა დიამეტრის შესაბამისი ხრახნული-სპირალით ნულოვანი ბიჯის ხვიებით. გათვალისწინებული უნდა იქნეს ლითონის მილის დიამეტრი, სისქე, ნახვრეტების ზომები და რაოდენობა. აგრეთვე მავთულის განივი კვეთის და ხვიების ზომები.

ამგვარად ჩამოყალიბებულია კომპოზიციური მილის შემადგენელი ლითონური ნაწილის პროექტირების ელემენტები. შედარებით უფრო სპეციფიკური და რთულია საფეიქრო ბოჭკოვანი მასალების შერჩევა. ისინი უნდა ფლობდნენ სხვადასხვა დონის თერმო და ფიზიკო-მექანიკურ თვისებებს, რადგანაც ძირითადად მათ თვისებებზეა დამოკიდებულია ყბის ჩამოსხმის და სხმულიდან მილკომპოზიტის ფრაქციებად დაშლის და გამოტანის პირობები, წყლის სავალი მილის ზომები და ზედაპირული სისუფთავე, საბოლოო ანგარიშში კი ყბის მუშაობის ტექნიკური საიმედობა.


კომპოზიციური მილის სხმულში საჭირო სივრცული განლაგება მთელ პერიმეტრზე რეგულირდება ფიქსირებული საყელურების საშუალებით.

კომპოზიციური U-სებრი მილის რკალური და სწორი მონაკვეთები აუცილებელია დაიფაროს თერმომდგრადი ბოჭკოვანი რამოდენიმე ფენით. საჭიროა, რომ პირველადი დამფარი ფენა ფლობდეს 600-700^{0}C თერმომდგრადობას, რადგანაც მან ყალიბში გამდნარი სპილენძის ჩასხმის მომენტში უნდა შეინარჩუნოს მილის საწყისი ზომები, ხოლო შემდგომ ეტაპზე უნდა დაიწვას-დაიშალოს, რის შედეგადაც მილის ლითონის ზედაპირსა და მეორე ბოჭკოვან ფენას შორის წარმოიქმნება 2-3 მმ წრიულ-სივრცული სიცარიელე, რაც აადვილებს პერფორირებული ლითონის მილების სხმულიდან გამოტანას. წინააღმდეგ შემთხვევაში სხმულიდან მილის გამოტანა ვერ განხორციელდება. მომდევნო - შემდეგი ბოჭკოვანი ფენა უნდა ფლობდეს უფრო

მაღალ თერმომდგრადობას, ვიდრე გამღვალი სპილენძი ფლობს (1200°C >). ეს იმისათვისაა საჭირო, რომ დავიცვათ წყლის სავალი არხის საჭირო ზომები. აღნიშნულისათვის მიზანშეწონილია შერჩეული იქნას საჭირო თვისებების თერმომდგრადი როვინგი, რომელიც სპირალურად რამოდენიმე ფენად უნდა დაეხვიოს პირველ ბოჭკოვან ფენას კომპოზიციური მილის სწორ და რეალურ მონაკვეთებზე. მესამე ფენა საჭიროა ფორმირებული იქნას თერმომდგრადი (1200°C >) ბოჭკოვანი პასტის სახით კომპოზიციური მილის გარე ზედაპირის სიგლუვის მისანიჭებლად, რომელიც აუცილებელი ფაქტორია ყბაში წყლის ნაკადის ნორმალური დინებისათვის.

კომპოზიციური მილის დასამზადებლად ასეთი თვისებების მასალების და კონსტრუქციის შერჩევა უზრუნველყოფს ყბის ჩამოსხმის პროცესში მილის ზომების და ფორმის შენარჩუნებას, ჩამოსხმის შემდეგ კომპოზიციური მილის ფრაქციებად დაშლას და ყბის კონსტრუქციიდან მათ თავისუფალ გამოტანას. საბოლოო შედეგად ფორმირდება გაუმჯობესებული თბოცვლის და საექსპლუატაციო მახასიათებლების ერთიანი სტრუქტურის ელექტროსაკონტაქტო კვანძი – ყბა, რომელიც ღუმელის ექსპლუატაციისას იმუშავებს როგორც მონოლითური კვანძი.

კომპოზიციური მილების სწორი მონაკვეთები (ნაწილები) დამზადებული იქნა 2,5 მმ-ის სიქის ლითონის მილებისაგან, რომელთა ზედაპირზე დატანილი იქნა 5 მმ დიამეტრის გამჭოლი ნახვრეტები 30 მმ-ის ბიჯით. მილის სიგრძე ყბის კონსტრუქციის შესაბამისად 20 სმ-ით მეტია ყბის სიგრძეზე, რაც აუცილებელია მასზე ელექტროსაკონტაქტო მილისების ფიქსირებისა და კომპოზიციური მილის ფრაქციებად დაშლა-გამოტანისათვის, მასზე მბრუნავ-გამომქაჩავი გამომტანი ძალის მოდებისათვის. კომპოზიციური მილის შემადგენელი რკალური ნაწილები დამზადდა 2 მმ დიამეტრის ნიქრომის მავთულისაგან ხვიათა ნულოვანი ბიჯით (ფორმირება ხდება სახარატო ჩარხზე), რომლის ზომები პერფორირებული მილის გარე დიამეტრის ტოლია, ხოლო პერფორირებულ მილებთან ურთიერთ შიგა შეერთებისათვის კი შესაბამისი ნაწილის ხვიების გარე ზომები პერფორირებული მილის შიგა დიამეტრის ტოლია. ნახ.3-ზე მოცემულია პერფორირებული ლითონის მილები 1 და რკალური ნაწილებისათვის ფორმირებული ზამბარული ელემენტები 2.



ნახ.3. კომპოზიციური მილის შემადგენელი ლითონის ელემენტები.
1- პერფორირებული ლითონის მილები; 2- ზამბარული ელემენტები

ზემოთ განხილული (დამზადებული) მილისაგან აწყობილი იქნა U-სებრი კომპოზიციური მილის შემადგენელი ლითონის კონსტრუქცია.

კომპოზიციური მილის ფორმირების პირველ ეტაპზე ვიყენებთ ბოჭკოვანი როვინგის დახვევის მეთოდს. საწყის ეტაპზე ხელით განფენის მეთოდით კომპოზიციური მილის შემად-

გენელი ორივე ლითონის პერფორირებულ მილებზე ბრუნვის მეთოდით დაგვაქვს თერმომდგრადი (650-700ºC) ბოჭკო «ლონას» როვინგის ფენა 3 მმ-ის სისქით. მეორე ფენა ფორმირდება (2000ºC თერმომდგრადობით) აზბესტის როვინგისაგან. ბოჭკოვანი ფენებით დაფარულ მილებზე მჭიდრო ჩასმით ვათავსებთ მილის ნახევარ რკალურ ნაწილის ზამბარულ ელემენტებს, რომლებიც ერთმანეთთან კომპოზიციური მილის მაქსიმალური სიმრუდის რადიუსზე დაკავშირებულია ხვიების ერთიმეორეში ჩასმით (ასეთი შეერთება აადვილებს ნამზადიდან მათ ფრაქციებად დაშლა-გამოტანის პროცესს). ზამბარული ნაწილების სწორხაზოვან ბოლოებს ვატარებთ ლითონის მილის სირღრუეში და ვაფიქსირებთ მათ ბოლოებზე. აღნიშნული ტექნოლოგიური პროცესების ერთობლიობით ვღებულობს U-სებრი მილის საწყის სტრქუტურას. რკალურ ნაწილებს ვფარავთ «ლონას» ბოჭკოვანი, ხოლო შემდეგ აზბესტის როვინგის შესაბამისი სისქის ფენებით. კონსტრუქციას ვაძლევთ ვერტიკალურ მდგომარეობას (სწორი მონაკვეთებით ზემოთ). მილზე ვახდენთ ნახევარ ყალიბებით შედგენილ ყალიბების აწყობას, რომლის შიგა ზომები (დიამეტრი) სამაცივრო არხის გარეზომის (დიამეტრის) ტოლია. ყალიბების კედლიდან მილის ზედაპირის (მთელ პერიმეტრზე) დაცილება-დაშორება რეგულირდება ფიქსატორების საშუალებით. ბოჭკოვანი მასალებით დაფარული U-სებრი მილის და ფორმა-ყალიბს შორის სივრცეს – არეს თანდათანობით ვავსებთ აზბესტის ბოჭკოვანი პასტის ფენით გარკვეული წნევითი ზემოქმედებით. კომპოზიციური მილის აზბესტის პასტით შევსებას ვიწყებთ მილის სიმრუდის მაქსიმალური წერტილიდან სწორი მონაკვეთების დასრულებამდე.

მეტალური და ბოჭკოვანი სტრუქტურული კომპოზიციური მილის ფორმირების აღწერილ ტექნოლოგიურ პროცესთა ერთობლიობით საბოლოო ანგარიშში ვღებულობთ საპროექტო მახასიათებელი თვისებების კომპოზიციურ მილს.

ჩვენს მიერ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექსტილის ტექნოლოგიისა და დიზაინის დეპარტამენტის საფეიქრო ტექნოლოგიურ ლაბორატორიაში დამუშავებული იქნა კომპოზიციური მილების მიღების სხვადასხვა მეთოდები და გამომუშავებული იქნა კომპოზიციური მილები (ნახ. 4).

მილკომპოზიტების ყბის კონსტრუქციაში ჩამოსხმისათვის გამოყენებამდე ვატარებთ გაზის ღია ალზე წინასწარი თერმოდამუშავების პროცესს, რა დროსაც მისი კონსტრუქციიდან გამოიდევნება ჭარბი ტენი და გაიტრუსება მის ზედაპირზე მოხვედრილი ბოჭკოვანი ჩანართები. ხოლო ყალიბებში მათ განთავსებამდე საბოლოოდ ვაშრობთ მაღალი ტემპერატურის სპეცღუმელებში (ს.ს. ფეროშენადნობთა ქარხნის სამსხმელო საამქრო) ნარჩენი ტენის ლიკვიდაციის მიზნით.



ნახ.4. სხვადასხვა სტრუქტურის კომპოზიციური მილები
საყალიბე ფორმაში კომპოზიციური მილის საჭირო სივრცული განლაგებისათვის მილზე

ვაგებთ საპროექტო ზომების მქონე სპილენძის საყელურებს, ხოლო სწორი მონაკვეთების რკალურ ნაწილებთან შეერთების ადგილზე კი ვაფიქსირებთ სპილენძის მილისებრი ფორმის ფურცლოვან ფირფიტებს (შეერთების ადგილის დამატებითი სიმტკიცის მინიჭების თვალსაზრისით). მილის სწორი მონაკვეთების ბოლოებზე კი მჭიდროდ ვათავსებთ ელსაკონტაქტო მილისებს ნახ.5.



ნახ.5. ყალიბში კომპოზიციური მილის სივრცითი განთავსება

კომპოზიციური მილის ნახევარ ყალიბში განთავსების შემდეგ ყალიბს ვახურავთ მეორე ნახევარ ყალიბს, ვაფიქსირებთ მათ შეერთებას ყალიბების ზედაპირზე მძიმე წონის ტვირთების განლაგებით და ვახდენთ გამღვალი სპილენძის ჩასხმას ნახ.6.

სხმულის ფორმირების ახალმა მეთოდმა, მისთვის განკუთნილმა კომპოზიციურმა მილის გამოცდამ ცხადყო, რომ ელექტრო საკონტაქტო ყბა და მისი სამაცივრო არხი ფორმირდება სრულფასოვნად. კომპოზიციურ მილში არსებული ტენი და მილის პირველადი «ლონას» ბოჭკოვანი როვინგის ნამწვი აირები ინტენსიურად სრულად გამოიყოფა სხმულიდან ნახ.7, რაც თავიდან გვაშორებს სხმულში ჰაერის ბუშტუკების არსებობის შესაძლებლობას და ყბის კონსტრუქციულ არასრულყოფას.



ნახ.6. ყბის ყალიბში გამდნარი სპილენძის ჩასხმის პროცესი



ნახ. 7. ყბის სხმულიდან ტენის და ნამწვი აირების გამოყოფის პროცესი

ყბის სხმულის გაცივების შემდეგ ვახდენთ კომპოზიციური მილის ფრაქციებად დაშლას და კონსტრუქციიდან მის გამოტანას, რომელიც მიმდინარეობს ეტაპებად შემდეგი თანმიმდევრობით:

პირველად ვახდენთ კომპოზიციური მილის შემადგენელ პერფორირებულზედაპირიანი

ლითონის მილის ყბიდან გამოტანას მილის დაბოლოებაზე ფიქსირებული თაურის ბრუნვით და გამოქაჩვით ნახ.8.



ნახ.8. ყბიდან კომპოზიციური პერფორირებულზედაპირიანი ლითონის მილის გამოტანის პროცესი

აღნიშნული პროცესის შესრულებას გვიადვილებს ჩამოსხმის პროცესის მსვლელობისას პერფორირებულზედაპირიანი მილის და თერმომდგრადი აზბესტის ფენებს შორის მოთავსებული ბოჭკოვანი პირველი ფენის (ბოჭკო «ლონას» როვინგი) დაწვის შედეგად წარმოქმნილი სივრცითი სიცარიელე-ღრეჩო.

მეორე ეტაპზე ვახდენთ სხმულიდან კომპოზიციური მილის მარჯვენა და მარცხენა ზამბარული-რკალური ნაწილების ხვიების ცალ-ცალკე გამოტანას, რისთვისაც ვახდენთ კომპოზიციური პერფორირებულზედაპირიანი მილის სიღრუეში გატარებული სპირალის სწორახაზოვანი მონაკვეთის ამხვევ-გამომტან დოლზე ფიქსირებას. ამხვევი დოლით ვახდენთ გამოქაჩვის და დახვევის მეთოდით ხვიების გასწორხაზებული მავთულის დახვევას.

აღნიშნული პროცესის შესრულებაში გვეხმარება ის გარემოება, რომ მილის მოხრილი ნახევარრკალური მონაკვეთები ურთიერთ დაკავშირებული გვქონდა ხვიების ურთიერთჩასმით და არა მყარი კავშირით.

მესამე ეტაპზე სხმულიდან (ყბიდან) კომპოზიციური მილის აზბესტის ბოჭკოვანი ფენის დაჭუცმაცებას და გამოტანას ვახდენთ ფოლადის გაშლილთავიანი გვარლის საშუალებით ბურღვის მეთოდის გამოყენებით. ხოლო ბოჭკოვანი ნარჩენების გამოტანისათვის ვიყენებთ პნევმო-ჰიდრავლიკურ მეთოდს ნახ.9.



ნახ.9. პნევმო-ჰიდრავლიკური მეთოდით ყბის გამოთავისუფლება ბოჭკოვანი ნარჩენებიდან

აღნიშნულ პროცესთა ერთობლიობით ვაღწევთ ყბის სხმულიდან კომპოზიციური მილის ყველა ფრაქციის სრულად გამოტანას, რის შედეგადც ვღებულობთ ახალი კონსტრუქციის ელსაკონტაქტო ყბას საჭირო ზომების წყლის სავალი არხით, რომელიც ელექტროთერმულ საექსპლუატაციო დატვირთვაზე მუშაობს როგორც ერთგვაროვანი მონოლითური კვანძი.

ჩვენს მიერ შექმნილი კომპოზიციური მილების გამოყენებით ყბების ჩამოსხმა მოვახდინეთ ს.ს. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სამსხმელო საამქროში. ახალი კონსტრუქციის ყბებმა სამრეწველო აპრობაცია გაიარა სხვადასხვა სიმძლავრის ელექტროღუმელებზე. ჩამოსხმის ახალმა მეთოდმა და მისთვის განკუთვნილმა ნამზადის გამოცდამ ცხადყო, რომ საკონტაქტო ყბა და მისი სამაცივრე არხი ფორმირდება სრულფასოვნად, რომ სხმული და მისი მექანიკური დამუშავებით მიღებული ელექტროსაკონტაქტო ყბა სრულად აკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ კონსტრუქციულ და ტექნოლოგიურ მოთხოვნებს. ყბის მუშაობის ხანგრძლივობა გაიზარდა 2-2,5-ჯერ. ს.ს. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ აღნიშნული სამუშაოს დანერგვა წარმოებისათვის მნიშვნელოვანია. მათი დაკვეთით ჩვენს მიერ დამზადებული იქნა 59 ცალი კომპოზიციური მილი, რომლებიდანაც ჩამოისხა რამოდენიმე ელექტროსაკონტაქტო ყბა.

ახალი სტრუქტურის და კონსტრუქციის ელსაკონტაქტო კვანძის ყბის დამზადების ტექნოლოგიაზე მიღებული გვაქვს საქართველოს პატენტი გამოგონებაზე [5].

ფერად ლითონებზე ფასების განუწყვეტელი ზრდის ტენდენციიდან გამომდინარე აღნიშნული სამუშაოს დანერგვა წარმოებისათვის მეტად მნიშვნელოვანია. სამუშაოს რეალიზაციით წლიურად მხოლოდ ზესტაფონის ს.ს. ფეროშენადნობთა ქარხნის მაგალითზე ელექტროთერმული სადნობი ღუმელების ელექტროდების ელექტროსაკონტაქტო კვანძების – ყბებში სპილენძის მილების გამოთავისუფლებით წლიურად იქნება 48000 ლარი, ხოლო ყბების მუშაობის საიმედობის გაზრდით კი 756000 ლარის ეკონომიური ეფექტი მოგება, რომელიც თანდათანობით გაიზრდება ქარხნის სიმძლავრის ზრდასთან ერთად.

ლიტერატურა

1. გ. ქაშაკაშვილი. ფოლადის მეტალურგია. თბილის, მეცნიერება, 2012.
2. ე. ბაკურაძე, კ. ბაკურაძე. „მადნის ელექტროთერმული სადნობი ღუმელების მუშაობის საიმედოობის ამაღლება“. რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „გამოყენებითი ქიმიის და ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევები“, ქუთაისი, 2009,
3. Бакурадзе К. Е., Бакурадзе Е. П. Повышение надежности электротермических рудоплавильных печей с применением композиционных материалов. Международный научный журнал «Научные новости Грузии», №1, Кутаиси, 2009, стр. 20-23.
4. Бакурадзе Е., Зивзивадзе Б., Абесадзе Н., Бакурадзе К. Альтернативный узел электропитания электротермических рудоплавильных печей. მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენერგეტიკა: რეგიონული პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“, ქუთაისი, 2013.
5. ე. ბაკურაძე, კ. ბაკურაძე. გამოგონება აპ 2008 9387 ა . ელექტროთერმული სადნობი ღუმელის ელექტროდების ელექტროსაკონტაქტო კვანძის ყბის დამზადების ხერხი. საქ. პატენტი, ბიულეტინი 7(251), თბილისი, 2008.

DEVELOPING THE INNOVATIVE TECHNOLOGY FOR PRODUCING THE ELECTRO-CONTACT PIPES FROM TEXTILE COMPOSITE MATERIALS

E. Bakurdze, B. Zivzivadze, K. Bakuradze
Akaki Tsereteli State University

The paper dwells on improvement of performance of ferroalloy smelting furnaces by using the electric-contact unit made of novel composite materials.

შედგენილი კონსტრუქციების გაანგარიშების მაგალითი ვარიაციული მეთოდის გამოყენებით

რევაზ კახიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე: განხილულია ბზარების მქონე რკინაბეტონის გარსების დეფორმირების არაწრფივი თეორიის განტოლებები იტერაციული მეთოდებით და ამ განტოლებების გაწრფივებისათვის გამოყენებული ორი მეთოდი: დრეკადი ამოხსნის და თანდათანობითი დატვირთვის, აგრეთვე ამ მეთოდების შეხამება. კონკრეტული ამოცანისათვის მეთოდის შერჩევა ხორციელდება მისი ფიზიკური არსის, ხასიათისა და საანგარიშო პარამეტრების ცვლილების სიჩქარის მიხედვით. მსგავსი განტოლებების ამოხსნის ანალიზით ნაჩვენებია, რომ იტერაციული მეთოდების გამოყენების დროს ცენტრალური პრობლემა არის მდგრადი და კრებადი ალგორითმების კონსტრუირება.

საკვანძო სიტყვები: ავარიული ნაგებობა; აღდგენა; რეკონსტრუქცია; დაპროექტება.

ბზარების მქონე რკინაბეტონის გარსების დეფორმირების არაწრფივი თეორიის განტოლებები მათი სირთულის გამო უნდა გადაწყდეს უმეტეს შემთხვევებში იტერაციული მეთოდებით. ამ განტოლებების გაწრფივებისათვის გამოიყენებოდა ორი მეთოდი: დრეკადი ამოხსნის და თანდათანობითი დატვირთვის [1, 2], აგრეთვე ამ მეთოდების შეხამება. კონკრეტული ამოცანისათვის მეთოდის შერჩევა ხორციელდებოდა მისი ფიზიკური არსის, ხასიათისა და საანგარიშო პარამეტრების ცვლილების სიჩქარის მიხედვით. მაგრამ, ყველა ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღებოდა გამოყენებული მეთოდების შემდეგი თავისებურებანი.

მსგავსი განტოლებების ამოხსნის ანალიზმა აჩვენა, რომ იტერაციული მეთოდების გამოყენების დროს ცენტრალური პრობლემა არის მდგრადი და კრებადი ალგორითმების კონსტრუირება. გამოკვლევებით დადგენილია, რომ ეს განისაზღვრება თვით ან გადამწყვეტი განტოლებების სტრუქტურით და მათი ამოხსნის მეთოდია ეფექტურობით იტერაციის ყოველ ეტაპზე. საკმაოდ რაციონალური აღმოჩნდა ე.წ. საწყისი განტოლებების მეთოდი, რომელიც შემოთავაზებული იყო პროფესორ ი. მილეიკოვსკის [3] მიერ და შემდგომში გამოიყენეს მრავალ შრომაში.

დიფერენციალურ განტოლებათა ამოხსნის პირდაპირი ვარიაციული მეთოდების გამოყენებისას ეფექტურია სხვა ხერხიც. მისი არსი ისაა, რომ სიხისტის კოეფიციენტების დისკრეტული ფუნქციები, როგორც საძიებელი ფუნქციები, შეირჩევა ან მოინახება რაიმე სპეციალური წესით, უფრო ხშირად – ადვილად წარმოებადი უწყვეტი ფუნქციების გამოყენებით. ამ ფუნციებზე ამოცანის დაყვანის ყველაზე მეტად გავრცელებული ვარიანტია უმცირესი კვადრატების მეთოდის გამოყენება განუსაზღვრელი კოეფიციენტების მეთოდთან შერწყმით [4, 5].

ცვლადკოეფიციენტებიანი განტოლებების ამოხსნის აღნიშნული ხერხი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ მთელი რიგი გამარტივებანი, რომლებიც აუმჯობესებს ამოხსნათა კრებადობას. ერთ-ერთი ხერხი, რომელიც გამოყენებულია ქვემოთ, ეფუძნება ამოცანის ფიზიკურ მხარეს: ნაცვლად ცვლადკოეფიციენტებიანი დიფერენციალური განტოლებების დაყვანისა მუდმივკოეფიციენტებიანზე. ეს შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ ვარიაციული მეთოდის განტოლებები საშუალებას იძლევა მივიღოთ საძიებელი ფუნქციებისა და სიხისტის კოეფიციენტების ხარისხიანი სურათი იტერაციის ყოველ ბიჯზე. განტოლებათა ამოხსნა ხდება ტრადიციული მეთოდებით [3]:

1) ტრიგონომეტრიული მწკრივების გამოყენებით;
2) კოჭოვანი ფუნდამენტური ფუნქციების გამოყენებით, რომლებსაც ხშირად მ. კრილოვის ფუნქციებსაც უწოდებან;
3) ჩაკეტილი ანალიზური ფორმით (განტოლებების შეზღუდული რიგის შემთხვევაში).

ცვლადკოეფიციენტებიანი დიფერენციალური განტოლებების სისტემის ამოხსნის ასეთი ხერხის მიზანშეწონილობას ადასტურებს კიდევ ის გარემოება, რომ სიხისტის კოეფიციენტებისა და საძიებელი ფუნქციების ანალოგიური აპროქსიამცია პოლინომების, კოჭური ან ტრიგონომეტრიული ფუნქციების სახით აღმოჩნდა გამოსადეგი არა მარტო დაძაბული მდგომარეობის ამოცანების ანალიზისათვის, არამედ კონსტრუციათა სინთეზის ამოცანებისთვისაც. ამ ამოცანებში კონფიგურაციისა და ელემენტების კვეთების სტრუქტურის კორექტირებისათვის უცნობ ფუნქციათა წარმოდგენის ასეთი ფორმა აღმოჩნდა ყველაზე მეტად მარტივი.

შედგენილი კონსტრუქციის გაანგარიშების მაგალითად ვარიაციული მეთოდის გამოყენებით განხილულია ერთმალიანი სახსროვნად დაყრდნობილი კოჭი, რომლის შედგენილი კვეთი მოიცავს ორ ძელს და თანაბრად განაწილებული დატვირთვას (ნახ. 1).

განივ დატვირთვაზე მომუშავე ამ კონსტრუქციებისათვის საანგარიშო მოდელები და შესაბამისი ვარიაციული მეთოდების განტოლებები შეიძლება მივიღოთ ცხრილის 1 პირველი და მეორე ჯგუფის განტოლებებიდან გამომდინარე. ერთეულოვანი ფუნქციის სახე მოყვანილია ნახ. 1-ზე მათი მნიშვნელობები შემდეგია:


$\xi_0 = z; \xi_1 = 1; \xi_2 = 1.$

ξ_0 და ξ_1 ფუნქციები ახასიათებს გადაადგილებათა ცვლილებას მონოლითური ღეროებისათვის და ვრცელდება მთელს განკვეთზე, ხოლო ξ_2 ფუნქციები ახასიათებს შედგენილი ღეროს ზედა და ქვედა ელემენტების ურთიერთძვრას და ვრცელდება მხოლოდ ზედა ელემენტების სიმაღლეზე.

ცხრილი 1

	$\overline{U}_i(x)$	$V_i(x)$	$\overline{V}_i(x)$	$W_i(x)$	$M_m(x)$	
I	$\sum(\bar{k}_n n) - \sum b_k$	$-\left(\sum_i \bar{k}_i D^2 + k_\delta \sum_i \bar{\alpha}_m\right)'$	$-\left(\left(k_\delta \sum_n \bar{\theta}_m\right)' + \sum_\gamma \bar{\sigma}_\gamma'\right)$	$-\left(\sum_\gamma k_\delta \bar{\beta}_n + \sum_\gamma \bar{\alpha}_n\right)'$	0	$-\bar{F}$
II	$\left(k_2 \sum_n \bar{\alpha}_n + \sum_m \bar{\delta}_m\right)'$	$\left[\left(\sum_i \bar{I}_n D^2\right)'' + k_2^2 + \left(k_2 \sum_n \bar{c}_n\right)'' + k_2 \sum_\gamma \bar{c}_\gamma D^2 - \left(\sum_i \bar{p}_n D\right)'\right]$	$-\left[k_0^2 \sum_n \bar{\beta}_n + \left(k_2 \sum_n \bar{\varepsilon}_n\right)'' - \left(\sum_i \bar{p}_n D\right)'\right]$	$-\left(\left(\sum_i \bar{e}_i D^2\right)'' + k_0^2 \sum_n \bar{\beta}_n' + k_2 \sum_i \bar{c}_{ik} + \left(k_2 \sum_n \bar{\sigma}_{nk}' + \sum_n \bar{\delta}_{nk}'\right)' - \left(\sum_i \bar{p}_n D\right)'\right]$	$\sum_n \bar{S}_n + \sum_m \bar{a}_m D^2$	$-(\bar{q}' + \bar{q})$
III	$\left(k_2 \sum_n \bar{\alpha}_n + \sum_m \bar{\delta}_m\right)'$	$-\left[k_1^2 \sum_i \bar{\beta}_{ni} + \left(k_2 \sum_i \bar{\varepsilon}_{ni}\right)'' - \left(\sum_i \bar{p}_{ni} D\right)'\right]$	$-\left[k_0^2 \sum_n \bar{\beta}_n + \left(\sum_n \bar{\tau}_{ni} D\right)' - \left(\sum_i \bar{p}_n D\right)'\right]$	$-\left[\left(\sum_i \bar{e}_{ip} D^2\right)'' + k_0^2 \sum_n \bar{\beta}_n' + k_2 \sum_i \bar{e}_{ip} + \left(\sum_i \bar{p}_{ip}' D\right)'\right]$	$\sum_n \bar{S}_m + \sum_m \bar{a}_m D$	$-\bar{q}$
IV	$\left(k_2 \sum_n \bar{\alpha}_n + \sum_m \bar{\delta}_m\right)'$	$-\left[k_1^2 \sum_i \bar{\beta}_{ni}' + k_2 \sum_i \bar{c}_{in} - \left(\sum_i \bar{\varepsilon}_n D^2\right)'' + \left(k_2 \sum_i \bar{c}_{in}' + \sum_i \bar{\varepsilon}_m\right)'' - \left(\sum_i \bar{p}_n' D\right)'\right]$	$-\left[\left(\sum_i \bar{\varphi}_{ip} D^2\right)'' + k_1^2 \sum_i \bar{\beta}_{ni}' + \sum_i \bar{\varphi}_{ip} + k_2 \sum_i \bar{\varphi}_{ip}'' - \left(\sum_i \bar{p}_{ip} D\right)'\right]$	$-\sum_n \bar{S}_n' - \sum_i \bar{a}_n D^2$	$-\bar{\tau}$	
V	0	$-\sum_n \bar{S}_\delta - \sum_i \bar{a}_n D^2$	$-\sum_n \bar{S}_{n\delta} - \sum_i \bar{a}_n' D^2$	$-\sum_n \bar{\theta}_{im}$	$-\sum_n \bar{\delta}_n$	$-\Theta_i$

განსახილველი მაგალითის რიცხვით რეალიზაციას ვახდენთ შემდეგი საწყისი მონაცემებით (ნახ. 1,ა). კოჭის საერთო სიმაღლე h=100 მმ; მალი 2ℓ=1200 მმ; თანაბრად განაწილებული დატვირთვის ინტენსიურობა $q_0 = \ell$ კნ/მ². კოჭი შედგება ორი ელემენტისაგან. ზედა ელემენტის განივი კვეთია $h_1 \times b_1$ =50×50 მმ, ქვედასი $h_2 \times b_2$ =60×40 მმ. ბეტონის კლასი ზედა ელემენტისათვის არის B30, ქვედასი − B20. პირველი ელემენტის დეფორმაციის მოდული $E_{b1} = 3.25 \times 10_4$ მპა, მეორისა − $E_{b2} = 3{,}25 \times 10^4$ მპა; ელემენტებისნ ღერძებს შორის მანძილი ℓ=60 მმ. კოჭი დაარამატურებულია ერთი კარკასით მთელი განიკვეთის სიმაღლეზე. განივი ღეროების არმატურის კლასია $B_q 1$, დიამეტრი − 4 მმ, ბიჯი − 50 მმ. ელემენტების ურთიერთმიმართება განხორციელებულია დრეკად-დამყოლი ნაკერით, რომლის სისქე $t_0 = 0.4$ მმ.გაანგარიშებისას იგულისხმება, რომ ძვრაზე მუშაობს მხოლოდ განივი არმატურის ღერო − ნაგელები. კოჭის ელემენტები მუშაობს დრეკად სტადიაში და ბზარები არ არ არსებობს.



ნახ. 1. შედგენილი კოჭი: ა − საანგარიშო სქემა; ბ − $\tau(x)$, $T(x)$, $M(x)$ და $V(x)$ ეპიურები

ცხრილი 1 გამოსახულების სიხისტის კოეფიციენტების გამოთვლა ხდება ერთეულოვანი ფუნქციების ეპიურების ინტეგრირებით.

კოჭის ელემენტებს შორის ძვრის კავშირების დაყვანილი გრძივი სიხისტე განისაზღვრება ფორმულით

$$G_0 \frac{12EJ\Delta}{(2\bar{t}_0 + t_0)S_w b} = 1.4 \cdot 10^5.$$

b_{22} სიხისტის კოეფიციენტი, რომელიც დაკავშირებულია ძვრასთან, განისაზღვრება შემდეგნაირად

$$b = b_{22} = G_0\left(\bar{\xi}_2^H - \bar{\xi}_2^B\right) = 4G_0 = 5.6 \cdot 10^5.$$

განტოლების A_1, q_1, A_2, q_2, α, q და λ კოეფიციენტებს გამოვთვლით შესაბამისი ფორმულებით. გაანგარიშებების საფუძველზე მიღებულია ამ სიდიდეების შემდეგი მნიშვნელობები:

$$A_1 = 0.362;\ q_1 = 1.398 \cdot 10^5;\ A_2 = 21.406;\ q_2 = -5.844 \cdot 10^{-3};$$
$$\alpha = 43.687 \cdot 10^3;\ q = 21.406;\ \lambda = 3.580.$$

A, q, A_2, Q_2, α, q და s მხები ძაბვების, $T(x)$ ჯამური ძვრის ძალას ნაკერში, მღუნავ მომენტებსა და ჩაღუნვების მნიშვნელობებს განვსაზღვრავთ შემდეგი ფორმულებით:

$$\tau(x) = -\frac{-21.406}{2}\left[x - \frac{sh(3.580x)}{3.580x \cdot ch(3.580 \cdot 0.6)}\right];$$

$$x = \ell, \tau(\ell) = -3.512 \text{ კნ/მ};$$

$$T(x) = -\frac{-21.406}{2}\left[\frac{x^2}{2} - \frac{ch(3.580x)}{(3.580)^2 \cdot ch(3.580 \cdot 0.6)} + \frac{1}{(3.580)^2} - \frac{0.6^2}{2}\right];$$

$$x = 0, T(0) = 1.284 \text{ კნ};$$

$$M(x) = \frac{q_0(\ell^2 - x^2)}{2} + T(x)\omega;$$

$$x = 0, M(0) = 0.18 + 1.284 \cdot 0.06 = 0.257 \text{ კნ·მ};$$

$$V_0(x) = \frac{21.406 \cdot 21.406 \cdot ch(3.580x)}{5.6 \cdot 10^5 \cdot 3.580^2 \cdot ch(3.580 \cdot 0.6)} +$$
$$+\left(-\frac{21.406 \cdot 21.406}{5.6 \cdot 10^5} - \frac{21.406 \cdot 0.6^2}{2}\right) \cdot \frac{x^2}{2} + \frac{5.844 \cdot 10^{-3}}{24}\ (x^4 + 5 \cdot 0.6^4) -$$
$$-\frac{21.406 \cdot 21.406}{5.6 \cdot 10^5}\left(\frac{1}{3.580^2} - \frac{0.6^2}{2}\right) = 1.47 \cdot 10^{-5} \cdot ch(3.58x) -$$
$$-1.927 \cdot x^2 + 2.435 \cdot 10^{-4} \cdot x^4 + 2.412 \cdot 10^{-4};$$

$$x = 0, V_0(x) = 1.47 \cdot 10^{-5} + 2.412 \cdot 10^{-4} \cong 2.6 \cdot 10^{-4} \text{ მ}.$$

$\tau(x), T(x), M(0)$ ეპიურები ნახ. 1,ბ ზუსტ ხაზითაა წარმოდგენილი.

აქვე, შედარებისათვის, წყვეტილი ხაზითაა წარმოდგენილი მომენტებისა და ჩაღუნვების ეპიურები იმ შემთხვევისათვის, როდესაც ელემენტები ხისტადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ე.ი. მოქნილი კოჭისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

[1] Петров В.В. Метод последовательных нагружений в нелинейной теории пластинок и оболочек. *Изд. Саратовского университета, Саратова, 1975. -119 с.*
[2] Ржаницин А.Р. Составные стержни и пластинки. *Стройиздат, Москва, 1986. -316 с.*
[3] Милейковский И.Е., Кулар А.К. Расчет и проектирование пологих оболочек покрытий в форме гиперболических параболоидов. *Стройиздат, Москва, 1982.*
[4] Михайлов Б.К., Кипиани Г.О. Деформированность и устойчивость пространственных пластинчатых систем с разрывными параметрами. *Стройиздат СПб, С.-Петербург, 1996. -442 с.*

EXAMPLE OF ANALYSIS OF COMPOUND STRUCTURES BY APPLICATION OF VARIATION METHOD

Revaz Kakhidze
Batumi Shota Rustaveli State University

Abstract: The equations of the nonlinear theory of deformation of the reinforced concrete shells with cracks are considered by the iteration methods and the two methods are applied for the generation of these equations: elasticity and gradual loading and combinations of these methods. The method for selection of a specific task is carried out according to the rate of change of physical nature, character and design parameters. Analysis of similar equations shows that the central problem of using iterating methods is to construct stable and convergence algorithms.

კომპოზიტური სამშენებლო კონსტრუქციები და მათი გაანგარიშების თავისებურებანი ანიზოტროპიის გათვალისწინებით

ხმელიძე თ.*, ყიფიანი გ**., ქრისტესიაშვილი ე.*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

განხილულია სამშენებლო სივრცეში ახლად დამკვიდრებული კომპოზიტური მასალების ძირითადი შემადგენელი ბოჭკოებისა და მატრიცული მასალების მრავალფეროვნება. დასაბუთებულია კომპოზიტური მასალების უნიკალური თვისება – საჭიროებისამებრ არეგულიროს სიმტკიცე, სიხისტე, თბოგამტარობა და სხვ. თვისებები კომპონენტების თანაფარდობისა და მაკროსტრუქტურის ცვლილებების ხარჯზე. წარმოდგენილია ხის კომპოზიტური კოჭების გაანგარიშების შედეგები და მათი შედარება ჩვეულებრივ ხის კონსტრუქციებთან. მოცემულია კომპოზიტური არმატურით დაარმირებული ბეტონის სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშების საფუძვლები, რომელიც ეყრდნობა ამერიკულ, ევროპულ, იაპონურ სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს.

ზოგადი ნაწილი

თანამედროვე სამშენებლო ინდუსტრიის განვითარების ანალიზი ნათლად აჩვენებს ახალი ტექნოლოგიებით მიღებული საშენი მასალების (მოდიფიცირებული მერქანი, ნანომასალები, კომპოზიტები და სხვ.) საფუძველზე დამზადებული მზიდი და შემომღობავი კონსტრუქციების წილის განუხრელად ზრდას. ამ მასალებიდან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კომპოზიტურს, მიღებულს პოლიმერების საფუძველზე.

მშენებლობაში კომპოზიტური მასალების გამოყენებით შესაძლებელია გადაიჭრას ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: შენობა-ნაგებობათა საექსპლუატაციო ხარჯებისა და მასის შემცირება, კონსტრუქციების ტექნიკური მახასიათებლების, საექსპლუატაციო, სიმტკიცის, დეფორმაციულობის, თბოსაიზოლაციო და საექსპლუატაციო თვისებების გაუმჯობესება და სხვ.

კომპოზიტების უმნიშვნელოვანესი უპირატესობაა მისგან დამზადდეს სამშენებლო კონსტრუქციები, ელემენტები, დეტალები წინასწარ განსაზღვრული თვისებებით, რომლებიც შეესაბამება მუშაობის პირობებსა და წაყენებულ მოთხოვნებს. ბოჭკოებისა და მატრიცის მასალების მრავალფეროვნება, დაარმირების სქემების ოპტიმიზაცია გამოყენებული კომპოზიტური კონსტრუქციების შესაქმნელად, სრულ თავისუფლებას აძლევს ინჟინრებს საჭიროებისამებრ არეგულირონ კომპოზიტური მასალის სიმტკიცე, სიხისტე, თბოგამტარობა და სხვა თვისებები კომპონენტების თანაფარდობისა და მაკროსტრუქტურის ცვლილებების ხარჯზე.

თანამედროვე სამშენებლო ინდუსტრიის განვითარების დონე საშუალებას იძლევა შენობების სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას, ტრადიციული მასალისგან დამზადებული ზოგი ელემენტი შევცვალოთ უმნიშვნელოდ მოდიფიცირებული კომპოზიტური ელემენტით.

ამჟამად, წარმოების ყველა მიმართულებით შეინიშნება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სწრაფი განვითარება., რაც მოითხოვს დიდი რაოდენობით ახალ მასალებს წინასწარ განსაზღვრული თვისებებით. იზრდება მოთხოვნები ზემაღალი სიმტკიცის, სიმაგრის, მხურვალმედეგ, კოროზიამედეგ მასალებზე, აგრეთვე მასალებზე, სადაც ეს

თვისებები ერთმანეთთან არის შეთავსებული. დღესდღეობით ცნობილია ასი ათასობით ბუნებრივი (არაკომპოზიტური) და ხელოვნური მასალები, რომლებიც ვეღარ პასუხობენ გაზრდილ მოთხოვნებს. ამასთანავე, ახალი მასალის აღმოჩენა იშვიათად ხდება. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ „ჩვეულებრივი“ მასალების უმეტესობა უკვე აღმოჩენილია და ამ მიმართულებით რაიმე ახლის მოლოდინი პრაქტიკულად განულებულია. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი კი მოითხოვს ახალ კონსტრუქციულ მასალებს, ამიტომ, ბუნებრივია დღის წესრიგში დგას უკვე არსებული მასალების გამოყენებით შეიქმნას თანამედროვე კომპოზიტური მასალები. ეს ეხება როგორც ლითონურ, ისე პოლიმერულ მასალებს.

არსებული პოლიმერების მოდიფიკაცია და კომბინირება ერთმანეთთან ან სხვა ნივთიერებებთან ახალი პოლიმერული მასალების მიღების ძირითადი მეთოდია. მრეწველობის მსოფლიო პრაქტიკა კი გვაჩვენებს პოლიმერული კომპოზიტური მასალების წილობრივ ზრდას სხვა მასალებთან (ლითონი, კერამიკა, მერქანი და სხვ.) მიმართებაში, რასაც განაპირობებს კომპოზიტების რიგი უპირატესობები: უნიკალური ერთობლიობა თვისებებისა, რომელიც არა აქვთ სხვა მასალებს (სიმტკიცე, დეფორმატულობა, დარტყმითი, ტემპერატურული, რეოლოგიური, ადჰეზიური, ელექტრული, ფრიქციული, თბოგამტარული და სხვ.); მასალის თვისებების მართვის შესაძლებლობა შედგენილობის მარტივი ცვლით; პოლიმერების ძირითადი დადებითი თვისებების (გადამუშავების სიმარტივე, დაბალი სიმკვრივე) შენარჩუნება და სხვ. მართალია ერთი რომელიმე თვისებით კომპოზიტი ვერ ჯობს სხვა, ანალოგიური თვისების მქონე მასალას, მაგრამ საუკეთესოა მრავალი თვისების ერთობლიობით.

კომპოზიტური მასალების მიღების პროცესებს შეისწავლის XX საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბებული მეცნიერება კომპოზიტური მასალების შესახებ. მას საფუძველი ჩაეყარა აშშ-ში, როცა დაიწყეს ავიამშენებლობასა და კოსმონავტიკაში მასალების ახალი კლასის – ბორისა და ნახშირბადის მაღალი სიმტკიცის მქონე ბოჭკოების ბაზაზე წარმოებული კომპოზიტური მასალების გამოყენება. მოკლე დროში მიღებული იქნა სრულიად ახალი მასალები, დამუშავდა ტექნოლოგიები და მათ საფუძველზე დამზადებული კონსტრუქციების გაანგარიშების მეთოდები და თეორიები.

კომპოზიტი ხელოვნურად შექმნილი არაერთგვაროვანი უწყვეტი მყარი მასალაა, რომელიც შედგება ორი ან მეტი კომპონენტისაგან, რომლებიც ზუსტი საზღვრებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული. კომპოზიტების უმრავლესობაში კომპონენტები იყოფა მატრიცად (შემკვრელი) და მაარმირებელ ელემენტებად (შემვსები). კონსტრუქციული დანიშნულების კომპოზიტებში მაარმირებელი ელემენტები უზრუნველყოფს მასალის მექანიკურ მახასიათებლებს (სიმტკიცე, სიხისტე და ა.შ.), ხოლო მატრიცა – დაარმირებული ელემენტების ერთობლივ მუშაობას და მათ დაცვას მექანიკური დაზიანებისა და ქიმიურად აგრესიული გარემოსაგან.

კომპოზიციის შესაქმნელად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის მაარმირებელი შემვსები და მატრიცები. ესენია: გეტინაქსი და ტექსტოლითი (ფენოვანი პლასტიკები ქაღალდისა და ქსოვილისაგან შეწებებული თერმორეაქტიული წებოთი), მინა და გრაფიტოპლასტი (ქსოვილი ან დახვეული ბოჭკო მინისა და გრაფიტისგან შეერთებული ეპოქსიდური წებოთი), ფანერა, ბულატი (ერთ-ერთი უძველესი კომპოზიტური მასალა, რომელშიც მაღალნახშირბადიანი ფოლადის უთხელესი ფენები ან უწვრილესი ძაფები "შეწებებულია" რბილ მცირენახშირბადიან რკინასთან). არსებობს აგრეთვე მასალები, რომლებშიც მაღალი სიმტკიცის შენადნობების წვრილი ბოჭკოები ამოვსებულია თხევადი ალუმინის მასით.

სტრუქტურის მიხედვით კომპოზიტები იყოფა რამდენიმე კლასად: ბოჭკოვანი, ფენოვანი, დისპერსიულად განმტკიცებული, გაძლიერებული ნაწილაკებითა და ნანოკომპოზიტები. ბოჭკოვანი კომპოზიტები დაარმირებულია ბოჭკოებით ან ძაფისებრი კრისტალებით. ასეთი ტიპის კომპოზიტში შემავსებლის მცირე რაოდენობაც კი, მოგვცემს ხარისხობრივად ახალი მექანიკური თვისებების მასალას, ხოლო ბოჭკოების ორიენტაციისა და კონცენტრაციის ცვლილება, შესაბამისად, შეცვლის მასალის თვისებებს. გარდა ამისა, ბოჭკოებით დაარმირება ერთგვაროვან მასალას აძლევს ანიზოტროპიულ თვისებებს. თუ დაარმირებისათვის გამოვიყენებთ ლითონის ბოჭკოებს, მაშინ ასეთი კომპოზიტური მასალა გახდება ელექტროგამტარი ბოჭკოების მიმართულებით.

ფენოვან კომპოზიტურ მასალებში მატრიცა და შემავსებელი განლაგებულია შრეებად, ისევე როგორც, მაგალითად, განსაკუთრებულად მაგარ მინაში, სადაც მინა დაარმირებულია რამდენიმე ფენა პოლიმერული აფსკით.

დანარჩენი კლასის კომპოზიტური მასალების მიკროსტრუქტურა ხასიათდება იმით, რომ მატრიცა ივსება მაარმირებელი ნივთიერების ნაწილაკებით და განსხვავდებიან ისინი მხოლოდ ამ ნაწილაკების ზომებით.

გამოყენების სფერო: რკინაბეტონის კონსტრუქციები, მინაპლასტიკის ნაკეთობები, საავტომობილო საბურავები, ლითონ-კომპოზიტები, სპორტული ველოსიპედები, თხილამურები, ჰოკიჯოხები (ჰოკეის), ციგურები, კანოე, ბაიდარკები, სარბოლო ავტომობილებისა და მოტოციკლების ძარის დეტალები, მუზარადები, შიგაწვის ძრავის დგუშები, ბარბაცები და სხვ.

კომპოზიტის მექანიკური თვისებები განისაზღვრება სამი ძირითადი პარამეტრით: მაარმირებელი ბოჭკოს მაღალი სიმტკიცით, მატრიცის სიხისტითა და მატრიცა–ბოჭკოს საზღვარზე კავშირის სიმტკიცით. ამ პარამეტრების თანაფარდობა ახასიათებს მასალის მექანიკური თვისებებისა და რღვევის მექანიზმის მთელ კომპლექსს.

ბოჭკოვანი სტრუქტურის უმარტივესი შემთხვევაა, როცა პლასტიკურ მატრიცაში განლაგებულია ერთგვაროვანი (ერთი მიმართულების) ბოჭკოები და შესაბამისად, ასეთი კომპოზიტი თვისობრივად ანიზოტროპიულია. მისი სიმტკიცე და სიხისტე მაქსიმალურია სწორედ ბოჭკოების განლაგების მიმართულებით, ხოლო მეორე მიმართულებით – მინიმალური.

მატრიცასა და მაარმირებელ ელემენტებს შორის გამყოფის საზღვრის არსებობა მნიშვნელოვნად ამაღლებს მასალის მზარმედეგობას. ცნობილია, რომ ნებისმიერი მყარი ტანის მდგრადობა მზარების გავრცელების მიმართ, განისაზღვრება მზარდი მზარის წვეროში ენერგიის შთანთქმის მექანიზმით. კომპოზიტებში განივმა გამჭიმავმა ძაბვებმა მზარდი მზარების ბოლოში შეიძლება გამოიწვიოს ბოჭკოების განშრევება მატრიცისაგან, ხოლო ძვრის ძაბვებმა გაყოფის საზღვარზე – განშრევებული ფენის ზრდა ბოჭკოების გასწვრივ. განშრევებაზე იხარჯება გარკვეული ენერგია, რადგან ბოჭკო გადაადგილდება მატრიცის მიმართ. გარდა ამისა, დატვირთვის ზრდისას ბოჭკოების რღვევა შეიძლება მოხდეს მზარებისაგან მოშორებით მატრიცაში. ამიტომ დაარმირებული მასალებისთვის დამახასიათებელია ბლანტი რღვევის მექანიზმი, განსხვავებით ჰომოგენური (შემადგენლობით, წარმოშობით, თვისებებით ერთგვარი) მასალებისგან.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე კონსტრუქციული კომპოზიტების დაარმირებისათვის გამოყენებული ძირითადი მასალებია მინის, ნახშირბადის, ორგანული და ბორის ბოჭკოები. მათ საფუძველზე მუშავდება, აგრეთვე, მრავალკომპონენტიანი მასალები, რომლებშიც გამოიყენება სხვადასხვა არმატურა (მაგ., ორგანული და ბორის, მინისა და ნახშირბადის და სხვა კომბინაციები), რაც ართულებს კლასიფიკაციას არმატურის ტიპის მიხედვით.

მაარმირებელი კომპონენტის სახეობაზე დამოკიდებულებით კომპოზიტები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: დისპერსიულად განმტკიცებული და ბოჭკოვანი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან სტრუქტურითა და მაღალი სიმტკიცის მასალის შექმნის მექანიზმით.

დისპერსიულად განმტკიცებული კომპოზიტი ისეთი მასალაა, რომლის მატრიცაში თანაბრად განაწილებულია მეორე მასალის წვრილდისპერსიული ნაწილაკები. ასეთ კომპოზიტებში მთელ დატვირთვას ღებულობს მატრიცა, რომელშიც პრაქტიკულად გაუხსნელი მეორე ფაზის ნაწილაკების სიმრავლით იქმნება სტრუქტურა, რომელიც ეფექტურად ეწინააღმდეგება პლასტიკურ დეფორმაციებს.

ბოჭკოვანი პლასტიკური კომპოზიტის მატრიცის დაარმირება ხდება ბოჭკოებით, მავთულით ან ძაფისებრი კრისტალებით. ბოჭკოებით დაარმირებული სტრუქტურის შექმნის იდეა ითვალისწინებს არა მატრიცულ მასალაში პლასტიკური დეფორმაციების გამორიცხვას, არამედ დეფორმაციის პროცესში ბოჭკოების მაქსიმალურ დატვირთვას და მისი მაღალი სიმტკიცის გამოყენებას.

ბოჭკოვანი კომპოზიტური სტრუქტურის განსაკუთრებულობა ისაა, რომ პლასტიკურ მატრიცაში თანაბრადაა განაწილებული მაღალი სიმტკიცის, მაღალმოდულური ბოჭკოები, რომელთა მოცულობითმა წილმა შეიძლება მიაღწიოს 75%-ს. მეორე განსხვავებული თვისებაა – ანიზოტროპიულობა, რასაც იწვევს ბოჭკოების ორიენტაცია ერთი მიმართულებით. დისპერსიულად განმტკიცებულ მასალებს კი ერთნაირი თვისებები აქვთ ყველა მიმართულებით.

არმატურის ტიპი და მისი განლაგების სახე იძლევა დიდ ინფორმაციას კომპოზიტური მასალების თვისებებზე, რადგან არმატურის ბოჭკოების სიხისტისა და სიმტკიცის მახასიათებლები სხვადასხვა ტიპის არმატურის ბოჭკოებისათვის (მინა, ნახშირბადი, ბორი) მნიშვნელოვნად განსხვავებულია, შესაბამისად, განსხვავებულია კომპოზიტების თვისებები არმატურის განლაგების მიმართულებით.

ზემოთჩამოთვლილზე დამოკიდებულებით კომპოზიტური სტრუქტურები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ფენოვან და სივრცითად დაარმირებულად.

ერთ სიბრტყეში დალაგებული მაარმირებელი ბოჭკოების ორიენტაციაზე დამოკიდებულებით ფენოვანი სტრუქტურები იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად: ერთმიმართულებიანი, ორთოგონალურად დაარმირებული, ჯვარედინად დაარმირებული და ქაოტურად (უწესრიგოდ) დაარმირებული. თუ ერთმიმართულებიან მასალაში ბოჭკოები განლაგებულია თანაბრად, მაშინ მას ეწოდება ტრანსვერსალურად იზოტროპიული (მონოტროპიული) სიბრტყეში, რომელიც მართობულია დაარმირების მიმართულების. თუ მასალას აქვს მკვეთრად გამოხატული ფენოვანი სტრუქტურა, მაშინ ის არის ორთოტროპიული კომპოზიტური მასალა.

ორთოგონალურად დაარმირებული კომპოზიტი ორთოტროპიულია ღერძებში, რომლებიც ემთხვევა დაარმირების მიმართულებას. გრძივი და განივი ფენების რიცხვი შეიძლება იყოს შემდეგი თანაფარდობით: (1:1, 1:3, 1:5, 2:5 და სხვ.).


ჯვარედინად დაარმირებულ მასალაში ორივე მიმართულებით ფენების რაოდენობა ერთნაირია. ქაოტურად დაარმირებულ მასალაში გამოიყენება ერთ სიბრტყეში ქაოტურად განლაგებული მოკლე ბოჭკოები. თუ არმატურის დანიშნულებით გამოყენებულია ერთფენიანი ქსოვილი, მაშინ მიიღება კომპოზიტი ფენოვანი სტრუქტურით (ტექსტოლითი). მასში ფენების მიმართულების კუთხე და მასალის სისქეში ფენების რაოდენობა შეიძლება ცვალებადი იყოს. ამის მიხედვით არსებობს ფენოვანი სტრუქტურის სამი სახე: სიმეტრიული, ანტისიმეტრიული და არასიმეტრიული. პირველს მიეკუთვნება მასალები, რომლებსაც აქვთ ფიზიკური და გეომეტრიული თვისებების სიმეტრია შუა სიბრტყის მიმართ, მეორეს – მასალები, რომლებსაც აქვთ ერთნაირი სისქის ფენების განაწილების სიმეტრია, მაგრამ ბოჭკოების (ფენის) განლაგების (განფენის) კუთხე ეცვლება საწინააღმდეგოდ შუა სიბრტყიდან თანაბარ მანძილზე. არასიმეტრიულ სტრუქტურებს მიეკუთვნება მასალები, რომლებსაც არა აქვთ ზემოთჩამოთვლილი თვისებები.

მშენებლობაში გამოიყენება შემდეგი სახის კომპოზიტები: ბოჭკოვანი, დისპერსიულ-განმტკიცებული, მერქან-პოლიმერული, ტიტან-ტანტალ-ვოლფრამის, ბამბუკის, მინატექსტოლიტი, მინაპლასტიკი, ქაფპლასტი, პოლიურეთანი, პოლისტირენი, პოლიკარბონატი, პოლივინილქლორიდი და სხვ. ამ კომპოზიტების მატრიცები არსებობს პოლიმერული, ლითონური, ნახშირბადოვანი და კერამიკული, ხოლო მაარმირებლები – ბოჭკოვანი (ძაფი, მონობოჭკო, ორგანული, ნახშირბადის, მინის, ბორის, ბაზალტის, სილიციუმის კარბიდის, ლითონური ბოჭკოები, მავთული, ფიბრა, ჩალიჩი, ბადე, ღენტი, ქსოვილი, ტილო, ქაღალდი), ფურცლოვანი (ქსოვილური, ნაქსოვხლართული ტექსტილი, ტრიკოტაჟი) და ღეროვანი (სხვადსხვა სახის არმატურა).

კომპოზიტური კონსტრუქცია შეიძლება იყოს ხის, პლასტმასის, ლითონის ან ბეტონის.

ხის მთლიანკვეთიანი, ხე-ფანერის და ხის დაწებებული კონსტრუქციების (ძირითადად კოჭების) გაანგარიშება (ძაბვების გამოთვლა და განივკვეთების დანიშვნა) წარმოებს ტრადიციული მეთოდებით და მოყვანილია ლიტერატურაში [2, 3].

ავტორების მიერ გაანგარიშებული იყო გადახურვის ორქანობიანი ხის კოჭი მალით 12 მ. მასალა – **ულტრალამი** (Ultralam Rs) II ხარისხის (ნახ. 1).



ნახ. 1. ხის დაწებებული ორქანობიანი კოჭი

გაანგარიშებული კოჭის მასალის ხარჯი გამოვიდა:

$$[(h_0+h)/2]\cdot\ell\cdot b = [(0,3+0,8)/2]\cdot 12\cdot 0,165 = 1,09\ მ^3$$

შევადაროთ მიღებული შედეგები ლიტერატურულ მონაცემებს ([2], თავი 6, მაგალითი 6.5). ანალოგური მალისა და დატვირთვების ქვეშ, ჩვეულებრივი ფიცრებისგან შედგენილი დაწებებული კოჭის მასალის ხარჯია:

$$[(h_0+h)/2]\cdot\ell\cdot b = [(0,5+1)/2]\cdot 12\cdot 0,165 = 1,48\ მ^3$$

რაც იმაზე მიუთითებს, რომ ულტრალამისგან დამზადებულ დაწებებულ კოჭში მასალის პირდაპირი ხარჯი 36%-ით ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივ ფიცრულ დაწებებულ კოჭში.

შევადაროთ ღირებულებები:

საქართველოს ბაზარზე 1 მ³ წიწვოვანი მშრალი ხის მასალის ფასია 550 ლარი (2018 წლის მონაცემებით), ე. ი. ერთი კოჭის მასალის ღირებულებაა – 1,48×550 = 814 ლარი. 1 მ³ კომპოზიტური ხის მასალა ულტრალამის საერთაშორისო ფასია 488 ამერიკული დოლარი, ანუ 1195 ლარი, ე. ი. ერთი კოჭის მასალის ღირებულებაა – 1,09×1195 = 1300 ლარი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ულტრალამისგან დამზადებულ დაწებებულ კოჭში მასალის ღირებულება 38%-ით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივ ფიცრულ დაწებებულ კოჭში.


მიღებული შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ულტრალამისგან დამზადებული კონსტრუქცია უფრო ძვირია ჩვეულებრივ კონსტრუქციასთან შედარებით, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ კომპოზიტური კონსტრუქციების ხანგამძლეობას, რომელიც 2...3-ჯერ აჭარბებს ჩვეულებრივი ხის დაწებებული კონსტრუქციების ხანგამძლეობას, თვალნათლივ დავინახავთ კომპოზიტების დიდ უპირატესობას.

ანალოგური შედეგები დაფიქსირდა ხე-ფანერის კოჭების (ნახ. 2) გაანგარიშებითაც ([1], მაგალითი 7.2).

კომპოზიტური პლასტმასის კონსტრუქციების გაანგარიშების საფუძვლები განხილულია ლიტერატურაში [1, 3].

ლითონის კონსტრუქციებში კომპოზიტების გამოყენება ჩვეულებრივ უკავშირდება გაძლიერებას გარე დაარმირებით, რისთვისაც გამოიყენება ნახშირბადის, მინის, ბაზალტის და არამიდის ბოჭკოებით დაარმირებული კომპოზიტური მასალები. ასეთ მასალებს აქვს უფრო მაღალი სიმტკიცე, ვიდრე ფოლადს, მცირე წონა (ანუ დიდი კუთრი სიმტკიცე), კოროზიამედეგია, ადვილად მუშავდება და მონტაჟისა და ტრანსპორტირების პროცესში არ საჭიროებს მძიმე მანქანა-მექანიზმებს. თუმცა გასათვალისწინებელია ის, რომ ლითონის კონსტრუქციების გაძლიერება კომპოზიტური მასალებით ნაკლებ ეფექტურია, ვიდრე ბეტონის, რკინაბეტონის და ქვის კონსტრუქციების. გაანგარიშებას I ჯგუფის ზღვრული მდგომარეობის მიხედვით ექვემდებარება ბოჭკოებით დაარმირებული პლასტიკატებით გაძლიერებული ყველა კონსტრუქცია, ხოლო II ჯგუფის ზღვრული მდგომარეობის მიხედვით გაანგარიშება ხდება იმ შემთხვევაში, თუ გაძლიერების შემდეგ გაიზარდა კონსტრუქციაზე მოქმედი საანგარიშო დატვირთვა.

მშენებლობაში გამოყენებული კომპოზიტური ბეტონების სახეებია: პოლიმერბეტონი, ბეტონპოლიმერი, პოლისტირენბეტონი, ფიბრობეტონი, მინაფიბრობეტონი, ბაზალტფიბრობეტონი, ბეტონი გოგირდიანი, ბეტონი პოლიმერსილიკატური, ბეტონი სპეციალური, ბეტონი წვრილმარცვლოვანი კომპოზიტური, ბეტონი მრავალკომპონენტიანი, ბეტონი პოლიმერცემენტის და სხვ.



ნახ. 2. კოლოფისებრი განივკვეთის კომპოზიტური შედგენილი დაწებებული ხის კოჭი: 1 - ზედა სარტყელი; 2 - ქვედა სარტყელი; 3 - კედელი OSB ფილის δ = 15 მმ; 4 - განივი სიხისტის წიბოები; 5 - საყრდენი წიბო (ზომები მმ-ში)

განვიხილოთ ასეთი ბეტონებით დამზადებული და კომპოზიტური ღეროვანი პოლიმერული არმატურით (მინაკომპოზიტური, ბაზალტკომპოზიტური, ნახშირბადკომპოზიტური, არამიდკომპოზიტური და ორგანოპლასტიკური ანუ კომბინირებული) დაარმირებული სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშების ზოგიერთი ასპექტი.



ნახ. 3. მინაპლასტიკის კომპოზიტური არმატურა

კონსტრუქციები კომპოზიტური არმატურით (ნახ. 3) მინაპლასტიკის კომპოზიტური არმატურა) გაანგარიშდება I და II ჯგუფის ზღვრული მდგომარეობის მეთოდით (შესაბამისად საანგარიშო და ნორმატიული დატვირთვების მოქმედებისას). I ჯგუფის ზღვრულ მდგომარეობაში (ULS – Ultimate Limit State) შედის გაანგარიშება: სიმტკიცეზე; ფორმის მდგრადობაზე (თხელკედლიანი კონსტრუქციები); მდგომარეობის მდგრადობაზე (ამოყირავება, გასრიალება, ამოტივტივება). II ჯგუფის ზღვრული მდგომარეობაში (SLS – Second Limit State) შედის გაანგარიშება: ბზარწარმოქმნაზე; ბზარების გახსნაზე და დეფორმაციებზე.

გაანგარიშების მიმდინარეობის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას: 1) სხვადასხვა საანგარიშო სიტუაციები ([3]), კერძოდ: დამზადების, ტრანსპორტირების, აგების, ექსპლუატაციის, ავარიის, ხანძრის სტადიები; 2) ძალოვანი ფაქტორები – მღუნავი და მგრეხი მომენტები, გრძივი და განივი ძალები, აგრეთვე ადგილობრივი (შეყურსული) დატვირთვები.

ასაწყობი კონსტრუქციების გაანგარიშებისას აწევის, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და მისი მასის გათვალისწინებით, დინამიკურობის კოეფიციენტის მნიშვნელობა მიიღება: 1,6 – ტრანსპორტირებისას; 1,4 – აწევის და მონტაჟისას. დასაშვებია ამ კოეფიციენტების სიდიდის შემცირება, მაგრამ არანაკლები 1,25-ისა.

ზოგადად, კონსტრუქციები კომპოზიტური არმატურით გაანგარიშდება ნორმალური (მღუნავი მომენტისა და გრძივი ძალის გათვალისწინებით), დახრილი (განივი ძალების გათვალისწინებით), სივრცითი (მგრეხი მომენტების გათვალისწინებით) კვეთების და ადგილობრივად მოქმედი (ადგილობრივი კუმშვა, ჩაჭყლეტა) დატვირთვების მიხედვით.

არსებული სამშენებლო ნორმები და რეკომენდაციები კონსტრუქციების გასაანგარიშებლად კომპოზიტური პოლიმერული არმატურით, უმეტეს შემთხვევებში, წარმოადგენს ფოლადის არმატურით დაარმირებული რკინაბეტონის კონსტრუქციების გაანგარიშების ნორმების მოდიფიკაციას. ცვლილებები დაკავშირებულია არმატურის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმირებასთან და ემპირიულ მონაცემებთან, რომლებიც მიღებულია ექსპერიმენტული კვლევების შედეგად.

არსებობს გაანგარიშებისადმი ორი მიდგომა:

ევროპული – ზღვრული მდგომარეობის პირობა ჩაიწერება ფორმულით:

$$R \geq \qquad (1)$$

სადაც R – ღეროს განივკვეთის საანგარიშო წინაღობა, როგორც მასალის საანგარიშო მახასიათებლების ფუნქცია (ნორმატიული მნიშვნელობა გაყოფილი მასალის უსაფრთხოების კოეფიციენტზე); S – ძალვა განივკვეთში, აღძრული გარე საანგარიშო დატვირთვებისა და ზემოქმედებისაგან.

(1) ფორმულა მიგვანიშნებს იმას, რომ ელემენტის განივკვეთში წარმოშობილი ძაბვის სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს ამ ელემენტის მასალის საანგარიშო წინაღობას. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მასალის (ელემენტის) რღვევა.

ჩრდილოამერიკული – ზღვრული მდგომარეობის პირობა ჩაიწერება ფორმულით:

$$\varphi \cdot Rn \geq S, \qquad (2)$$

სადაც Rn – განივკვეთის ნომინალური წინაღობა, რომელიც მასალის ნორმატიული მახასიათებლის ფუნქციაა (მოცემული უზრუნველყოფით); φ – უსაფრთხოების

განზოგადებული კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია რღვევის სახეზე (ამერიკის ბეტონის ინსტიტუტის მონაცემებით φ = 0,5...0,7); S – ძალვა განივკვეთში, აღძრული გარე საანგარიშო დატვირთვებისა და ზემოქმედებისაგან.

ამგვარად, კომპოზიტური არმატურიანი სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშებებს შორის განსხვავება მდგომარეობს უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრინციპებში. ევროპულ ნორმებსა და რეკომენდაციებში ([4], [5], [6]) გაანგარიშების უსაფრთხოება (უტყუარობა) უზრუნველყოფილია მასალებისა და დატვირთვების კერძო კოეფიციენტების მეშვეობით, ხოლო ამერიკულ და კანადურ სამშენებლო ნორმებში ([7], [8], [9]) – უსაფრთხოების (მარაგის) განზოგადებული კოეფიციენტებით მზიდუნარიანობის მიხედვით და დატვირთვის უსაფრთხოების კოეფიციენტებით. იაპონური სამშენებლო ნორმებით [10] მიღებულია უსაფრთხოების ორი პრინციპი – მასალის უსაფრთხოება კერძო კოეფიციენტებით და მზიდუნარიანობა მარაგის დამატებითი კოეფიციენტებით.

უსაფრთხოებაზე გაანგარიშების რუსული ნორმები ისეთივეა, როგორც ევროპული, იმ განსხვავებით, რომ მასში დამატებულია სიმტკიცეზე გაანგარიშება ხანგრძლივი და მრავალციკლური დატვირთვების ზემოქმედების პირობებში, ანუ I ზღვრული მდგომარეობის დროს გაანგარიშებისას სიმტკიცეზე განიხილება ორი საანგარიშო სქემა: გაანგარიშება ხანგრძლივ და მუდმივ ძალებზე და გაანგარიშება ხანმოკლე და ხანგრძლივი ჯამური ძალების მოქმედებაზე. ორივე შემთხვევაში დატვირთვები მიიღება დატვირთვის უსაფრთხოების კოეფიციენტების გათვალისწინებით.

დასავლეთის და ამერიკულ ნორმებში სიმტკიცეზე შემოწმება წარმოებს დატვირთვების ხანგრძლივი და მრავალციკლური ზემოქმედების გათვალისწინებით დასაშვები ძაბვების მეთოდით II ჯგუფის ზღვრული მდგომარეობით გაანგარიშების ჩანჩოში. იგი ითვალისწინებს ძალვების განსაზღვრას ხანგრძლივი ნორმატიული დატვირთვებისაგან და მასალაში შესაბამისი ძაბვების გამოთვლას. დასაშვები ძაბვები განისაზღვრება მასალის უსაფრთხოების კოეფიციენტების გათვალისწინებით II ჯგუფის ზღვრული მდგომარეობის მეთოდით გაანგარიშებისას (γ = 1) და შესაბამისი მუშაობის პირობების კოეფიციენტის მხედველობაში მიღებით.

პოლიმერული არმატურისათვის უსაფრთხოების კოეფიციენტი მასალის მიხედვით დადგენილია მხოლოდ ევროპულ ნორმებში. იტალიურ ნორმებში [9] დადგენილია γ = 1,5 – I ჯგუფის ზღვრული მდგომარეობისათვის და γ = 1 II ჯგუფისათვის. შვეიცარიული ნორმებით ([6], [11]) პირველი ზღვრული მდგომარეობისათვის უსაფრთხოების კოეფიციენტის მნიშვნელობა უნდა აღემატებოდეს 1,25-ს.

კომპოზიტური არმატურის სიმტკიცესა და დეფორმატულობაზე გარემო პირობების გათვალისწინება ხდება მუშაობის პირობების კოეფიციენტით. ამერიკულ ნორმებში ACI 440 ([12], [13]) მოცემულია გარე პირობების ორი ტიპი: ექსპლუატაციის პირობები მშრალ და ტენიან გარემოში. ანალოგურია იტალიურ ნორმებშიც. იაპონურ [10] და ევროპული რეკომენდაციების უმეტეს ნაწილში [15, § 3.2] განიხილება მუშაობის პირობების განზოგადოებული კოეფიციენტები. კანადური ნორმები ითვალისწინებს მასალის კლასს ხარისხის მიხედვით. ზოგიერთი ნორმა ითვალისწინებს მუშაობის პირობების კოეფიციენტს, დაკავშირებულს ელემენტის დატვირთვის ხასიათზე. ლიტერატურაში ([1], ცხრ. 10.7) მოცემულია კომპოზიტური პოლიმერული არმატურის მუშაობის პირობების კოეფიციენტის მნიშვნელობები გარემოს პირობებისა და დატვირთვის სახეების მიხედვით.

ბეტონის კონსტრუქციების გაანგარიშება კომპოზიტური პოლიმერული არმატურით მოცემულია ლიტერატურაში ([1], თავი 10).

ლიტერატურა

1. თ. ხმელიძე, გ. ყიფიანი, დ. გურგენიძე. სამშენებლო კონსტრუქციები კომპოზიტების გამოყენებით. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018. -509 გვ.
2. თ. ხმელიძე. ხის კონსტრუქციები. საგ. სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2015. -531 გვ.
3. თ. ხმელიძე. ხისა და პლასტმასის სამშენებლო კონსტრუქციები. საგ. სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2008. -210 გვ.
4. IstructE, Interim guidance on thedesign of reinforced concrete structures using fibre composite reinforcement, London, UK, 1999.
5. CNR-DT 203/2006, Guide for the Design and Construction of Concrete Structures Reinforced with Fiber-Reinforced Polymer Bars, Rome, Italy, 2006.
6. fib bul.40, FRP reinforcement in RC structures. Technical report TG9.3., Lausanne, Switzerland: fib, 2007.
7. CAN/CSA-S6-00, Canadian High Bridge Design Code, Canadian Standards Association, 2000.
8. CAN/CSA-S6-02, Design and Construction of Building Components with Diber-Reinforced Polymers, Canadian Standards Association, 2002.
9. 25. ACI 440.1R-06, Guide for the Design and Construction of Structural Concrete Reinforced with FRP Bars, American Concrete Institute, 2006.
10. **СНиП 2-01. 07-85.** Нормы проектирования. Нагрузки и воздеиствия. – М.: Стройиздат, 2007.
11. fib bul. 55, ModelCode 2010. First complete draft, Lausanne, Switzerland: fib, 2010.
12. ACI 440.1R-03, Guide for the Design and Construction of Concrete Reinforced with FRP Bars, American Concrete Institute, 2003.
13. ACI 440.4R-04, Prestressing Concrete Structures with FRP tendons, American Concrete Institute, 2004.

გარემოსდაცვითი და გეომორფოლოგიური პრობლემები ქალაქ ფოთის შავი ზღვისპირა რეგიონში და მათი აღმოფხვრის გზები

საღინაძე ი. ს., ფხაკაძე მ. დ.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში გაანალიზებულია ქალაქ ფოთის შავიზღვისპირა რეგიონში არსებული გარემოსდაცვითი და გეომორფოლოგიური ხასიათის დღემდე გადაუჭრელი პრობლემები. პრობლემების არსებობა განაპირობა ამ რეგიონში სხვადასხვა წლებში და სხვადასხვა მიზნით წარუმატებლად დაპროექტებულმა და განხორციელებულმა ჰიდროსაინჟინრო მშენებლობებმა. ფოთის რეგიონში არსებული ეროზირებული უბნებისა და ნგრევის პირას მისული ჰიდროტექნიკური ნაგებობების სარეაბილიტაციოდ შემოთავაზებულია მსოფლიოში საკმარისად აპრობირებული, მაგრამ საქართველოში ჯერ კიდევ დაუნერგავი ტექნოლოგია, რაც გულისხმობს წყალქვეშ ტალღმტეხებად ქვიშით შევსებული გეოტექსტილის მილების (გეოტუბების) გამოყენებას. შემუშავებულია წყალქვეშა გეოტუბზე ტალღების გადავლებისას გადავლების კოეფიციენტისა და ნაპირის მორფოლოგიური რეაქციის საანგარიშო ფორმულები. გამოთვლილია ისეთი გეოტუბების პარამეტრები, რომლის განთავსებისას მოხდება ნაპირის ხაზის სტაბილიზაცია და პლაჟის ზრდა.

საკვანძო სიტყვები: ზღვა, ტალღა, ნაპირი, ეროზია, გეოტუბი.

შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული აზიისა და ევროპის კონტინენტებს შორის სატრანსპორტო და საკაბელო კავშირების ინტენსიფიკაციასთან, რაშიც ქალაქი ფოთი, თავისი პორტითა და საზღვაო წყალქვეშა კავშირგაბმულობის კაბელებით უკვე ასრულებს მნიშვნელოვან როლს. მაგრამ, ამავე დროს, ქალაქ ფოთსა და მის საზღვაო რეგიონში რამდენიმე ათეული წელია არსებობს გარემოსდაცვითი და გეომორფოლოგიური ხასიათის დღემდე გადაუჭრელი პრობლემები (იხ. პრობლემათა სიტუაციური რუკა, სურ. 1), რაც განაპირობა ამ რეგიონში, სხვადასხვა წლებში და სხვადასხვა მიზნით წარუმატებლად დაპროექტებულმა და განხორციელებულმა ჰიდროსაინჟინრო მშენებლობებმა [1].



სურ. 1. ქალაქ ფოთის სანაპირო ზოლის სქემა.

გეომორფოლოგიური ხასიათის ეს პრობლემები ქალაქ ფოთის სანაპირო ზოლში დაიწყო მას შემდეგ, რაც 1939 წელს მდ. რიონი მთლიანად იქნა გადაგდებული ქალაქის ჩრდილოეთით. ამ ღონისძიებამ მართალია თვით ქალაქი იხსნა ხშირი დატბორვებისგან, მაგრამ ქალაქის ნაპირზე შექმნა პლაჟწარმომქმნელი ნატანის აუნაზღაურებელი დეფიციტი. ზღვამ კატასტროფულად წარეცხა ფოთის სანაპირო ზოლი და ასეულობით მეტრით დაახევინა უკან [1].

2010-2018 წლებში, ფოთის რეგიონში თავი იჩინა ახალმა პრობლემამ: - დაიწყო ზღვის ნაპირის ინტენსიური წარეცხვები "საქალაქო არხის" შესართავის სამხრეთით. ქალაქ ფოთში მდინარე რიონის "საქალაქო არხის" შესართავის სამხრეთით, 250 მეტრის დაშორებით

გადის ფოთი-ნოვოროსიისკის შემაერთებელი წყალქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი. 2012-2017 წლების ძლიერმა შტორმებმა და მდინარე რიონის"საქალაქო არხის" შესართავში წარმოქმნილმა სანაპირო დინებებმა გამოიწვია ამ ზონაში ნაპირის ინტენსიური წარეცხვები და ნაპირმა ბოლო 5-6 წლის განმავლობაში 70-80 მეტრით დაიხია უკან. შედეგად წყალქვეშ გაშიშვლდა კაბელი, ზღვა მიუახლოვდა გამანაწილებელ ჭას და საფრთხე შეექმნა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ფუნქციონირებას, (სურ. 2).




ა) ბ)

სურ. 2. წარეცხილი ნაპირი „საქალაქო არხის" შესართავთან და ამ უბნის გეოტუბებით დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი. ა) სურათზე წითელი ისრით ნაჩვენებია ფოთი-ნოვოროსიისკის წყალქვეშა ინტერნეტ კაბელის მიმართულება, ხოლო ბ) სურათზე წითელ ხაზებში ნაპირდაცვისათვის საჭირო გეოტუბების განთავსების ერთ-ერთ ვარიანტია წარმოდგენილი.

ფოთის რეგიონში არსებული ეროზირებული უბნებისა და ნგრევის პირას მისული ჰიდროტექნიკური ნაგებობების სარეაბილიტაციოდ ჩვენს მიერ შემოთავაზებულია მსოფლიოში საკმარისად აპრობირებული, მაგრამ საქართველოში ჯერ კიდევ დაუნერგავი ტექნოლოგია, რაც გულისხმობს წყალქვეშა ტალღმტეხებად ქვიშით შევსებული გეოტექსტილის მილების (გეოტუბების) გამოყენებას. მაგრამ წყალქვეშა გეოტუბების არასწორად დაპროექტების გამო, მის მიერ გამოწვეულმა დინებების ცირკულაციებმა შეიძლება გამოიწვიოს საწინააღმდეგო ეფექტი. ნაშრომში [2] ნაჩვენებია, რომ წყალქვეშა ტალღმტეხების განთავსების 10-დან 7-მა შემთხვევამ გამოიწვია ნაპირის მოულოდნელი ეროზია.

ნახ. 3-ზე ნაჩვენებია ზღვის ფსკერზე გეოტუბის განთავსების ვარიანტი და და მასზე ტალღების დამსხვრევისას წყლის დონის აწევა.



ნახ. 3. წყალქვეშა გეოტუბზე წყლის დონის აწევა

ნახ. 3-ზე ნაჩვენებია: 1 - გეოტუბი; 2 – საანკერე გეოტუბები; 3 - გეოტექსტილის საფენი; η - ნაპირისკენ წყლის საშუალო დონის აწევა.

წყალქვეშა გეოტუბის ეფექტურობა და შესაბამისად სანაპირო ხაზის მორფოლოგიური რეაქცია დამოკიდებულია გეოტუბის გადავლებისას ტალღების გადაცემაზე. ტალღების გადაცემის კოეფიციენტი განისაზღვრება ფორმულით [3]:

$$K_t = \frac{H_t}{H_i}, \qquad (0 < K_t < 1)$$

ქალაქ ფოთის სანაპიროსათვის წყალქვეშა გეოტუბზე ტალღების გადავლებისას გადაცემის კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით [4]:

$$K_t = -0{,}4 \cdot \frac{h_t}{H_i} + 0{,}8 \cdot \left(\frac{B}{H_i}\right)^{-0{,}31} \cdot \left(1 - e^{-0{,}5\xi}\right), \qquad \xi = \frac{\tan\alpha}{\sqrt{\frac{H_i}{L}}},$$

სადაც ξ – ირიბარენის კოეფიციენტია; L – ტალღის სიგრძეა გეოტუბთან, $L = \frac{gT^2}{2\pi}$; T – ტალღის პერიოდი.

ძირითადი პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავენ წყალქვეშა ტალღმტეხის ეფექტურობას არის ტალღმტეხის სიგრძე – L_b და მისი ნაპირიდან დაშორება – x_b და გეოტუბებს შორის შუალედის სიგრძე - L_g. რამდენიმე გეოტუბის შემთხვევაში ქალაქ ფოთის ნაპირის გეომორფოლოგიური რეაქციის განსაზღვრისათვის შერჩეულ იქნა შემდეგი დამოკიდებულება [5]:

ტომბოლო	სალიენტი	განუსაზღვრელი
$\frac{1}{1-K_t} < \frac{L_b}{x_b} < \frac{1{,}5}{1-K_t}$	$\frac{L_b}{x_b} < \frac{1}{1-K_t}$	$\frac{L_b}{x_b} < 0{,}5$

რამდენიმე ტალღმტეხის შემთხვევაში სალიენტის ფორმირებისათვის შუალედის სიგრძის პარამეტრი L_g აკმაყოფილებს პირობას [5]:

$$\frac{L_g}{L_b^2} > 0{,}5\frac{(1-K_t)}{x_b}.$$

ფოთის სანაპირო ზოლისათვის რიცხვითი გაანგარიშებების შედეგები ნაჩვენებია შემდეგ ცხრილში.

$L_b = 150მ$	$L_g = 60მ$	$L_g = 80მ$	$L_g = 100მ$	$L_g = 120მ$
$x_b = 120მ$	-	-	+	+
$x_b = 180მ$	-	-	0	+

ცხრილში შემოღებულია შემდეგი აღნიშვნები: „-„ - ეროზია, „+“ - აკრეცია, „0“ - ნეიტრალური. გაანგარიშებები გაკეთებულია, როცა თითოეული წყალქვეშა გეოტუბების სიგრძეა 150მ. ცხრილიდან ჩანს, როცა ნაპირიდან გეოტუბების დაშორებაა 120მ, მთ შორის არსებული შუალედების სიგრძეების სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის ორ შემთხვევაში ნაპირის მორფოლოგიური რეაქცია აკრეციულია, ხოლო ორ შემთხვევაში - ეროზიული. ანალოგიურად 180მ დაშორებისას ორ შემთხვევაში ეროზიულია, ერთში - ნეიტრალური და ერთში - აკრეციული.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემული ემპირიული ფორმულები ვარგისია ტალღმტეხის პროექტირებისას ნაპირის რეაქციის განსაზღვრის პირველადი შეფასებისათვის. იმისათვის, რომ გეოტუბის განთავსების შემდეგ ნაპირი რეაქცია იყოს დადებითი, საჭიროა დამატებითი დეტალური გამოკვლევები.

ლიტერატურა

[1] გაგოშიძე შ., კოდუა მ., საღინაძე ი., ქადარია ი. სამდინარო ჰიდრომშენებლობა და საქართველოს შავიზღვისპირეთის გეომორფოლოგიური პროცესები. მონოგრაფია. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი, 2017. 191 გვ.

[2] Bellotti, G. 2004. A simplified model of rip currents systems around discontinuous barriers. *Coastal Engineering.* 51, 323 –335pp.

[3] Ranasinghe, R., I.L. Turner and G. Symonds. 2006. Shoreline response to multi-functional artificial surfing reefs: A numerical and physical modeling study. *Coastal Engineering 53*, 589-611pp.

[4] D'Angremond, K., van der Meer, de Jong, R.J.: "Wave transmission at low crested structures"; ASCE, Proc. ICCE, Orlando,1996, Florida, 3305-3318pp.

[5] Krystian W. Pilarczyk K.W., Design of low-crested (submerged) structures – an overview. 6th International Conference on Coastal and Port Engineering in Developing Countries, Colombo, Sri Lanka, 2003. 19p. k.w.pilarczyk@dww.rws.minvenw.nl.

Ecological and geomorphological problems of the Poti Black Sea region and ways of their elimination

Saghinsdze I., Pkhadze M.
Akaki Tsereteli State University

The article analyzes ecological and geomorphological problems of the Poti, Black Sea, region. The existence of problems is caused by hydrotechnical constructions, which were unsuccessfully designed. For rehabilitation of eroded sections and disintegrating hydraulic constructions in Poti region we propose the well-known, but not used in Georgia, technology providing the use of geotextile tubes (geotubes) filled by the sand. The formulas for determining the transmission coefficient of waves after passage of geotubes and morphological responses of the shoreline are developed. The parameters of such geotubes have been calculated and their location will lead to stabilization of the shoreline and the build-up of the beach.

იმიტაციური მოდელირება პროექტირების ეტაპზე და მისი პრაქტიკული რეალიზაცია

ბერაძე ც. გ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
cira.beradze.65@mail.ru

ნაშრომში აღნიშნულია, რომ იმიტაციური მოდელის პროექტირება წარმოადგენს ძალზე რთულ პროცესს, მაგრამ ახალი ობიექტების შექმნა თუ უკვე არსებული ობიექტების გამოცდა თუნდაც მეტროლოგიურ მახასიათებლებზე, დიდი ღირებულების ამოცანაა და მისი იმიტაცია აუცილებლად უნდა ჩატარდეს თანამედროვე გამთვლითი ტექნიკის გამოყენებით.

იმიტაციური მოდელის გამოცდის დროს ძირითად მომენტს წარმოადგენს იმის დასაბუთება, რომ იმიტაციური მოდელი მუშაობს ისე, როგორც ეს გათვალისწინებული იყო პროექტირების დროს. გამოცდის პროცესში საჭიროა პროგრამირების შეცდომების გასწორება, უნდა მოხდეს რეალური სისტემის და იმიტაციური მოდელის განსხვავებების აღმოფხვრა.

ნაშრომში წარმოდგენილია, რომ მოდელში ყოველი ალგორითმი ახდენს რაიმე მოვლენის რეალიზებას, ხოლო თვით ალგორითმი ამ შემთხვევაში წარმოადგენს მოვლენის ქვეპროგრამას. მოვლენების წრფივ მიმდევრობას შეესაბამება ერთი დროის მომენტი, მიუხედავად იმისა, თუ ამ დროის მომენტში რამდენი ალგორითმი სრულდება.

საკვანძო სიტყვები: ალგორითმი, იმიტაცია, ნავიგაცია, გრაფი, ტრეკი.

იმიტაციური მოდელირება გამოიყენება იდეალიზირებული პროცესის აღსაწერად, როცა გათვალისწინებულია პროცესის ფუნქციონალური დანიშნულება. სისტემა მასში მიმდინარე პროცესების მიმდინარეობის მიხედვით იყოფა ფუნქციონალურ ობიექტებად, რომლებშიც პროცესი მიმდინარეობს მიმდევრობით ან პარალელურად.

ვთქვათ მოცემულია დროის მომენტის სიმრავლე, რომლის მდგომარეობის ცვლილება სასრულია და წარმოდგენილია სახით:

$$T =< t_1, t_2, \dots, t_i, \dots, t_n >$$

სადაც i დროის მომენტია, როცა იცვლება სისტემის მდგომარეობა; n სისტემაზე დაკვირვებათა რაოდენობა.

დროის ყოველ მომენტს შეესაბამება ოპერატორი H_i , მდგომარეობა s_i , სადაც $s_i \in S$; ოპერატორი H_i, ასრულებს დროის ასახვას S სიმრავლის რომელიმე ერთ ელემენტზე მაინც.

საერთო შემთხვევაში ოპერატორი H შეიძლება წარმოვადგინოთ სახით: s=H(A,t,w), სადაც $s_i \in S - Z$ პროცესის მდგომარეობაა; A - არგუმენტების სიმრავლე; t - დროის მიმდინარე მნიშვნელობა; w -შემთხვევითი სიდიდე, რომელიც იცვლება თანაბრად ან გარკვეული კანონით $[0,1]$ შუალედში და ყოველთვის იღებს ახალ მნიშვნელობას ოპერატორის ყოველ შესრულებაზე.

აქედან გამომდინარე t_1 დროის მომენტისათვის $s_i = H_i(A_i, t_i, w)$ თუ ორი განსხვავებული დროის მომენტისთვის t_i და $\in A_i$ მაშინ ამბობენ, რომ H_i დაკავშირებულია და აღინიშნება $H_i \infty H_j$ სადაც ∞ დაკავშირების ნიშანია. პრაქტიკულად ეს ნიშნავს რომ t_j დროის მომენტში s_i პროცესის გამოსათვლელად საჭიროა t_i დროის მომენტში s_i პროცესის მდგომარეობის ცოდნა.

დაუშვათ რომ მიმდინარე დროის მომენტში გვაქვს ისეთი ქვეოპერატორების $< \frac{h'}{1}, m_i >$ მიმდევრობა, რომ $s' = h(A'tw)$; $h^k \infty h'$ ყველა 1>k-თვის, მაშინ H ოპერატორის და $< h' >$ ქვეოპერატორების მიმდევრობის შესრულების შემდგომ სისტემა იღებს s

მდგომარეობას. ასე რომ H ოპერატორი შეიძლება განვიხილოთ როგორც $<h'>$ ქვეოპერატორების კომპოზიცია. მათი გამოყენებით შეიძლება დანაწევრებული აღწერის მირება. H ოპერატორის დანაწევრება არ არის ერთადერთი და განისაზღვრება მოდელირებული სისტემის და ფუნქციონალური აღწერის სტრუქტურით. სხვადასხვა სახის დანაწევრების კომპოზიცია ფარავს H ოპერატორების მრავალსახეობას.

სისტემის ფუნქციონირებაში იგულისხმება ისეთი პროცესი, როცა იცვლება სისტემის მდგომარეობა დროის მიხედვით. სისტემის ფუნქციონირება გამოისახება ფორმულით:

$$Z=<T,S,F,a>,$$

სადაც, Z -სისტემის ფუნქციონირებაა;

S-მდგომარეობათა სივრცე;

F-პროცესის ტრაქტორია;

a-წრფივი დონის კავშირი T სიმრავლეზე.

პროცესის ტიპიდან გამომდინარე პროცესის დროის მომენტთა სიმრავლე T პროცესის დროის მომენტთა სიმრავლე შეიძლება იყოს როგორც დისკრეტული, ასევე უწყვეტიც. თუ T

მოცემულია დალაგებულ რიცხვთა სიმრავლის სახით, მაშინ a შეიძლება (1) -დან ამოვიღოთ.

სისტემის მდგომარეობათა სიმრავლე S განისაზღვრება P სისტემის პარამეტრებით. ვთქვათ W- პარამეტრთა სიმრავლეა P სისტემისათვი, მაშინ სისტემის პარამეტრად გაიგება რაღაც სკალარული ცვლადი რომელსაც გააჩნია სახელი და მნიშვნელობათა სიმრავლე

$$P =< W_P\sigma(W_P) >$$

სადაც, W_P-პარამეტრის სახელია;

$\sigma(W_P)$-მნიშვნელობათა სიმრავლეა;

ამ პირობების დროს მდგომარეობის სიმრავლე $S = \Pi\sigma(W_P)$ ყველა w∈ W-თვის, სადაც Π- დეკარტული ნამრავლის სიმბოლოა. აქედან გამომდინარე S სივრცის განზომილება ტოლია სისტემის პარამეტრების რაოდენობისა.

სისტემაზე შეიძლება გამოყენებული იქნას პროექციის და შეკრების ოპერაციები. S სივრცის Z სისტემის პროექციას აღნიშნავენ pr_sZ და განიმარტება როგორც F-ის ტრაექტორია S' ქვესისტემაზე. თუ $S' = \Pi\sigma(W')$, სადაც W∈ W მაშინ ეს ოპერაცია აღწერს პროცესს W' ქვესისტემაში. Z პროცესის პროექცია დროის $[t_1, t_2]\epsilon T$ შუალედში აღწერს ქვეპროცესს . $Z_1 = pr_{[t1,t2]}$. პროექციების შებრუნებულ ოპერაციას შეკრებას უწოდებენ $Z=Z_1.+Z_2$ რადგან ხშირა შემთხვევაში პროცესის ანალიზურად აღწერა შეუძლებელია, გამოიყენებენ Sუფრო რთულ მოდელს. ასეთი მოდელები, როგორც ყოველთვის, აღწერენ არასრულყოფილ და არაუნივერსალურ მოდელებს.

პროცესის ალგორითმულ მოდელს აქვს სახე

$$< \{h_i, \beta, I\} >,$$

სადაც,

$\{h_i\}$ -ელემენტარული ოპერატორების ერთობლიობაა;

β -წრფივი რიგია $\{h_i\}$-ზე;

I -ინიციატორია.

ყოველ პროცესს შეესაბამება ერთი და მხოლოდ ერთი ინიციატორი, ახალ ოპერატორთან მიერთების შემდგომ ინიციატორი ან არის ამ ოპერატორში, ანდა გადის პროცესის ალგორითმული მოდელიდან. განსაზღვრული დროის გასვლის შემდგომ ინიციატორმა უნდა შეძლოს მომდევნო ოპერატორთან მიერთება, მაშინ ელემენტარული ოპერატორის სტრუქტურას ექნება სახე.

$$h_i =< h_i^c.h_i^y >,$$

სადაც, $h_i^c.h_i^y$ –i მდგომარეობის და პირობის ელემენტარული ოპერატორია. ასევე $h_i^y \in h_i^t h_{i,}^l$ სადაც h_i^t დროის მომენტთა სიმრავლეა, ხოლო $h_{i,}^l$ ლოგიკურ პირობათა სიმრავლე, აქედან გამომდინარე პროცესის ალგორითმული მოდელი სრულად აღწერს პროცესს.

$< \{h_i\}, \beta >$ ერთობლიობა აღწერს ინიციატორის ტრეკს (ნახ.1.)


h_i ოპერატორების ანალიზის შედეგად გამოიყოფა რაიმე ოპერატორთა სიმრავლე $\{h^d\}$. დაუშვათ, რომ ნებისმიერი h_i -თვის შეიძლება მოიძებნოს , $\{h^d\}$ რომელსაც შეუძლია იგივე მდგომარეობის გამოთვლა, მაშინ ტრეკი$< \{h_i\}, \beta >$ შეიკვრება გრაფის სახით (ნახ.2.), რომელიც შეესაბამება ერთი და იგივე საბაზისო ოპერატორს. აღნიშნულ გრაფს ვუწოდოთ ინიციატორის სტრუქტურული ოპერატორის გრაფი. ტრეკის სტრუქტურა შეიძლება არაერთგვაროვანი იყოს, ამ პრობლემის მოსახსნელად შემოტანილია ოპერატორის ახალი ტიპი, ეგრეთ წოდებული ნავიგაციური ოპერატორი, რომელიც სრულდება მყისიერად, ოპერატორის მიერთებისთანავე. შედეგი არის შეკავშირების ნომერი 1,… ,n რომლის შესაბამისად ოპერატორი გამოითვლის მხოლოდ მდგომარეობას, ხოლო ლოგიკური ნაწილი ამ შემთხვევაში არ იგულისხმება.

შეიძლება გამოიყოს ოპერატორთა შემდეგი სტრუქტურები: წრფივი, რომელიც სტრუქტურით ტრეკს ემთხვევა და არ საჭიროებს ნავიგაციური ოპერატორების შემოტანას; საერთო სახის, რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს ნავიგაციური, ოპერატორები და სრულსტრუქტურიანი, რომელიც მიიღება ყველა ნავიგაციური ოპერატორის გაერთიანების შედეგად. უკანასკნელის გამოყენებით შეიძლება პროცესის მრავალდონიანი სახით წარმოდგენა; ე.ი. შეიძლება პროცესის დაყოფა უფრო მარტივ ქვეპროცესებად. დაყოფის პროცესი წყდება, როცა მიიღწევა ელემენტარული ოპერატორის დონე.


განვიხილოთ მიერთების სხვადასხვა სახე (ნახ. 3.) რომლებიც სრულდება პროცესის



ნახ. 1. ინიციატორის ტრეკი.




ნახ.2. გრაფის შეკვრა ტრეკის სახით.



ძირითადი ელემენტების საშუალებით: პარამეტრებით, ოპერატორებით და

ინიციატორებით. პარამეტრი P_1 შეიძლება მიერთდეს P_2 პარამეტეთან რაც უზრუნველყოფს 1 პარამეტრის კავშირს 2 პარამეტრთან (a).

ნახ.3. მიერთების სხვადასხვა სახე.



ნახ. 4. ორი დაკავშირებული პროცესორის შემთხვევა.

ასევე შესაძლებელია პარამეტრის მიერთება ინიციატორთან. (b); ამ შემთხვევაში ინიციატორთან კავშირი უზრუნველყოფს პარამეტრთან კავშირსაც. ინიციატორის კავშირი პარამეტრთან უზრუნველყოფს ოპერატორის შესრულებას და ოპერატორის დაშვებას სხვა ოპერატორთან; მიერთების მესამე სახეს წარმოადგენს ოპერატორის მიერთება A, B, C პარამეტრებთან (d). აქ A - შემავალი პარამეტრია, B - გამომავალი და C - მუშა ოპერატორი. მოცემულ სქემებს ოპერატიულ-პარამეტრული ქემები ეწოდებათ. ოპერატორების ან პარამეტრების არსებობის გამო, შეიძლება სქემა იყოს ოპერატიული ან პარამეტრული. ოპერატოპები პარამეტრებთან ერთიანდებიან ბლოკების სახით, რომლებშიც შეიძლება ჩართული იყოს როგორც ელემენტარული, ისე შედგენილი ოპერატორები. ბლოკები შეიძლება დაკავშირებული იყოს ერთმანეთთან საერთო პარამეტრებით ან ინიციატორებით. თუ მოცემულია ოპერატორების და პარამეტრების დაყოფა, მაშინ შეიძლება ყოველ დონეზე მიღებულ იქნას საკუთარი ბლოკური სქემა. განირჩევა შემდეგი სახის ბლოკური სქემები:

- A - ბლოკი, აგრეგატი. აღწერს ჩაკეტილ პროცესს, რომლის ინიციატორი არ ტოვებს ბლოკს. გარე ფაქტორებთან ის დაკავშირებულია მხოლოდ პარამეტრებით. მისი საშუალებით აღიწერება მოწყობილობა, მანქანები, აგრეგატები, რომლებიც ფუნქციონირებენ შიგა ლოგიკიდან გამომდინარე.
- P - ბლოკი, პროცესორი. აღწერს ინიციატორის ქვეპროცესს, რომელიც არის მასთან მიერთებული. მიერთების შემდგომ ინიციატორი ტოვებს ბლოკს და აგრძელებს გზას ბლოკური სქემის შესაბამისად. თუ ბლოკს მხოლოდ ერთი ინიციატორი აქვს, მაშინ იგი წარმოადგენს მონოპროცესორს, ხოლო თუ რამოდენიმე, მაშინ P ბლოკი შეიცავს რამოდენიმე ქვებლოკს, რომლებიც თავისთავად წარმოადგენენ მონოპროცესორს და გაერთიანებული არიან ერთ P ბლოკში. P გამოიყენება იმიტაციური მოდელირების დროს, რომელიც საშუალებას იძლევა საკმაოდ ეკონომიურად აღწერილ იქნას პარალელურად დაკავშირებული პროცესების ერთობლიობა.

- K- ბლოკი, მაკონტროლებელი. არის A ბლოკის სახეობა და გამოიყენება პარამეტრების დასამუშავებლად, რომლებიც იყვნენ ან გახდებიან ინიციატორებად. აქედან გამომდინარე K - ბლოკის გამოყენება შეიძლება პროცესში ქმედების დასაშვებად.
- Ф - ბლოკი, გამომთვლელი. გამოიყენება მხოლოდ მდგომარეობის გამოსათვლელად. ინიციატორი მიერთდება K - ბლოკთან მყისეულად. ეს ბლოკი განიხილება როგორც ტიპიური პარამერტების გარდაქმნის პროცედურასთან კავშირში.

კონფლიქტური სიტუაციის აღმოსაფხვრელად, რომელიც წარმოიშობა ერთი რესურსის რამოდენიმე პროცესით დაკავების კოლიზით, გამოიყენება ორი ძირითადი მეთოდი:

- პირველი მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ თუ ყველა პროცესი მოცემულია P - ბლოკის საშუალებით, მაშინ მიერთების რეგულირება შესაძლებელია ყველა კონფლიქტური ოპერაციებისათვის საერთო ლოგიკური ცვლადის გამოყენებით. თუ ლოგიკური ცვლადი იღებს მნიშვნელობას „1“-ს, მაშინ რესურსი თავისუფალია და შეიძლება მისი გამოყენება. ხოლო თუ ლოგიკური ცვლადი მიიღებს მნიშვნელობა „0“-ს, მაშინ რესურსი დაკავებულია და საჭიროა მოცდა, რომ რესურსი განთავისუფლდეს. ყველა პროცესი თავის ქმედების დაწყებისას იწყებს ლოგიკური ცვლადის შემოწმებას თუ პროცესმა რესურსი მიიერთა, ლოგიკური ცვლადი იღებს მნიშვნელობა „0“-ს, ხოლო ქმედების დამთავრების შემდეგ ლოგიკური ცვლადი ისევ მიიღებს მნიშვნელობა „1“-ს;
- მეორე მეთოდი, მდგომარეობს იმაში, რომ რესურსი გამოიყოფა ცალკე ობიექტად. პროცესი რესურსში აღიწერება P - ბლოკის საშუალებით, ხოლო ინიციატორის დაშვების რეგულირებისათვის იქმნება K - ბლოკი. ყველა ინიციატორი P - ბლოკიდან რესურსთან მიერთების მცდელობის დროს მიდის K - ბლოკში და რესურსის მიერთებისათვის ირჩევს ახალ ინიციატორს.

მუშაობის ეფექტურობის გადიდებისათვის საჭიროა რეალიზირებულ იქნას მოდელირების პროგრამა VFP ინტეგრირებული პროგრამირების პაკეტში. ამ შემთხვევაში მოვლენა იქნება პროცედურის ნაწილი და არა ცალკე პროცედურები, რაც ამცირებს ერთი მოვლენიდან, მეორე მოვლენაზე გადასვლის დროს.

მოვლენების დალაგება ხდება აქტიური დროის სიის გამოყენებით, სადაც საჭიროა განსაზღვრულ იქნას მოვლენის სახელი, ან მისი ნომერი, მოვლენის დრო ან ტრანზაქციის დრო. დროის სია ყოველთვის დალაგდება დროის მნიშვნელობის გაზრდასთან ერთად.

ახალი მოვლენის ამორჩევა ხდება სიის დასაწყისიდან. ამ დროს მართვა გადაეცემა მოვლენის სექციას, რომლის ნომერი მითითებულია სიის ელემენტში. მოდელირების ასეთი პრინციპი საშუალებას იძლევა მოდელირებულ იქნას როგორც პროექტირების, ასევე პირობითი გამოძახების ამოცანა. მომხმარებლის პროგრამა ფორმდება ვიზუალური ელემენტების ფრეიმების საშუალებით. მომხმარებელს შეუძლია შექმნას თავისი ფრეიმი, მიანიჭოს მას უნიკალური სახელი, აღწეროს მისი ფუნქციონალური და მეტროლოგიური მახასიათებლები, მიანიჭის გრაფიკულად გამოსახული ცალკე ფორმა პიქტოგრამის სახით.

ძირითად შიგა ორგანიზატორად წარმოსდგება ფრეიმი MAIN რომელიც საშუალებას იძლევა აღიწეროს აქტიური დროის ცხრილი და მომხმარებლის მონაცემთა სტრუქტურა. ფრეიმის ლოგიკური ელემენტი ტოლია „0“-ის თუ იგი იმყოფება ბოლო ელემენტზე, ან მომდევნო ელემენტის რიგის ნომერისა და ელემენტი არ არის საბოლოო. აგრეთვე „0“ მნიშვნელობას იღებს ისეთი ფრეიმების ლოგიკური ელემენტები, რომლებიც

მიმდინარე მოვლენის დროს არ არის ჩართული ობიექტში ან ამ შემთხვევაში არ გამოიყენება, ასევე ახლად შექმნილი ობიექტის ფრეიმის ლოგიკური მნიშვნელობა „0“-ის ტოლია. საკმარისია ობიექტი აღებულ იქნას ფრეიმთა სიიდან და მიერთებულ იქნას ობიექტზე, რომ მისი ლოგიკური მნიშვნელობა იღებს „1“-ის ტოლ მნიშვნელობას. ანალოგიური აღებულ იქნას ფრეიმთა სიიდან და მიერთებულ იქნას ობიექტზე, რომ მისი ლოგიკური მნიშვნელობა იღებს „1“-ის ტოლ მნიშვნელობას. ანალოგიური ელემენტის გამოსაყენებლად საჭიროა ელემენტის ფრეიმის რიგი გაზარდოს გამოყენების რაოდენობას დამატებული ერთი ერთეულით, რათა შესაძლებელი იყოს ელემენტის კიდევ ერთხელ გამოყენება. შესაძლებელია ელემენტის რაოდენობის მაჩვენებელს დაენიშნოს რაოდენობის შეზღუდვის მაჩვენებელი. ელემენტის ჩართვა ხდება საჭირო პოზიციასთან მიტანით და „თაგვის“ ორჯერადი აქტივაციით. ჩართული ელემენტის შემდგომ ძირითადი ფრეიმი ამატებს ერთ ჩანაწერს და აღიწერება დრო, მოქმედების ნომერი და ტრანზაქტი.

მოდელში ყოველი ალგორითმი ახდენს რაიმე მოვლენის რეალიზებას, ხოლო თვით ალგორითმი ამ შემთხვევაში წარმოადგენს მოვლენის ქვეპროგრამას. მოვლენების წრფივ მიმდევრობას შეესაბამება ერთი დროის მომენტი, მიუხედავად იმისა, თუ ამ დროის მომენტში რამდენი ალგორითმი სრულდება. მაგალითად, ორი დაკავშირებული პროცესორის შემთხვევა (ნახ.4.)

განვიხილოთ ერთდროულად სიმრავლის გენერაციის ალგორითმები. მათ შორის ერთდროული დროით სიმრავლის გენერაციის წრფივი მოდელირების ალგორითმი. ამ ალგორითმში ქვეპროგრამები თვითონ ანგარიშობენ საჭირო პირობებს, ორგანიზებას უკეთებენ მართვის გადაცემას და მმართავ ალგორითმს, ინფორმაციას მოიხმარენ მხოლოდ წასაკითხად და ჩასაწერად. ამ ალგორითმის მანქანური ბრძანებების რიცხვი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$N = n(mC + B_k + mB_p)$$

სადაც, n - მოვლენათა რიცხვია რომელიც უნდა მოხდეს სისტემაში;

m-ერთ შეტყობინებაზე მოსული მოვლენათა საშუალო რიცხვია;

C- მანქანურ ბრძანებებში მოვლენის ქვეპროგრამის საშუალო სიგრძეა;

B_p-მანქანურ მოვლენათა რიცხვია, რომელიც სრულდება შემდგომი გადასვლის ერთი მანქანური პირობის გამოსათვლელად.

იმიტაციური მოდელის პროექტირება წარმოადგენს ძალზედ რთულ პროცესს, მაგრამ ახალი ობიექტების შექმნა თუ უკვე არსებული ობიექტების გამოცდა თუნდაც მეტროლოგიურ მახასიათებლებზე, დიდი ღირებულების ამოცანაა და მისი იმიტაცია აუცილებლად უნდა ჩატარდეს თანამედროვე გამთვლითი ტექნიკის გამოყენებით.

მოდეელირების ალგორითმი რამოდენიმე ძირითად ეტაპს შეიცავს:

-ტექნიკური ამოცანის ფორმულირება. იმიტაციურ მოდელზე მუშაობის მიზანია პროექტირების ამოცანის ჩამოყალიბება და მუშა ქვეპროგრამების ორგანიზაცია. ამისათვის საჭიროა რეალიზებული იყოს ტექნიკური ცოდნის ბაზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შემდგომში შესაბამის სპეციალისტთან ერთად გამოვიმუშაოთ ტექნიკური ამოცანა.

ტექნიკური წინადადების ჩამოყალიბება. ამ ეტაპზე საჭიროა ამორჩეულ იქნას მოცემული პრობლემის ოპტიმალური ამონახსნი უნდა შეიქმნას ყველა სამუშაოს შესრულების გეგმის ქვეპროგრამა.

ესკიზური პროექტირება. ამ ეტაპზე იწყება ინიტაციური მოდელის პირველი ვარიანტის რეალიზაცია. ამ დროს საჭიროა უკვე გვქონდეს ელემენტთა კონკრეტული აღწერა და მახასიათებლების მნიშვნელობები, ასევე საჭიროა გვქონდეს ფიზიკური მოდელირების ერთი მოდელი მაინც.

- იმიტაციური მოდელის გამოცდა. ამ ეტაპზე ძირითად მომენტს წარმოადგენს იმის დასაბუთება, რომ იმიტაციური მოდელი მუშაობს ისე, როგორც ეს გათვალისწინებული იყო პროექტირების დროს. გამოცდის პროცესში საჭიროა პროგრამირების შეცდომების გასწორება. უნდა მოხდეს რეალური სისტემის და იმიტაციური მოდელის განსხვავებების აღმოფხვრა.
- ტექნიკური პროექტირება. ტექნიკური პროექტირების დროს საჭიროა კომპონენტების და ელემენტების დაზუსტება და დეტალიზაცია, მათი იმიტაციურ მოდელში ფუნქციონირების დაზუსტება.
- მუშა პროექტირება. ეტაპი დამახასიათებელია იმირაციური მოდელის შექმნით. ამ დროს საჭიროა ტექნიკური დოკუმენტაციის ჩამოყალიბება. ტექნიკურია მონახსენთა ყველა ჩამონათვალის მიღება.

ლიტერატურა

16. Сахвадзе Г.Ж., Пугачев М.С., Киквидзе О.Г. Технология двухсторонней лазерно-ударно-волновой обработки материалов // *Вестник машиностроения*. 2016. № 10. С. 71-76.
17. Sakhvadze G., Shokhin A, Kikvidze O. Residual Stresses distribution in Ti–6Al–4V titanium alloys during Laser Shock Processing // *Vibroengineering PROCEDIA*. 2016. V. 8. P. 422-427.
18. Achintha M., Nowell D., Shapiro K., Withers P.J. Eigenstrain modelling of residual stresses generated by arrays of laser peening shots and determination of the complete stress field using limited strain measurements // *J. Surf. & Coating Tech*. 2013. V.216. P 68-77.
19. DeWald A.T., Hill M.R. Eigenstrain-based model for prediction of laser peening residual stresses in arbitrary three-dimensional bodies Part 1: model description // *J. Strain Anal. Eng. Des*. 2009. V. 44. P. 1–11.
20. Попович В.А., Сахвадзе Г.Ж. Комбинированная лазерно-водородная технология упрочнения поверхностей деталей из металлов и сплавов // *Патент РФ на изобретение № 2660485*. Опубликовано: 06.07.2018. Бюл. № 19. Заявка № 2016150665 от 22.12.2016. Патентообладатель: ИМАШ РАН.
21. Воронин Н.А., Сахвадзе Г.Ж. Способ определения физико-механических характеристик модифицированного поверхностного слоя материала изделия и устройство для его осуществления // *Патент РФ на изобретение № 2646442* от 05.03.2018. Бюл. № 7. Заявка № 2016139028 от 04.10.2016. Патентообладатель: ИМАШ РАН.
22. Sakhvadze G.Zh. Features of Finite Element Modeling of Residual Stresses Arising in Material under Laser Shock-Wave Processing Using the Intrinsic Deformations Method // *Journal of Machinery Manufacture and Reliability*, 2018, Vol. 47, No. 4, pp. 373–379. DOI: 10.3103/S105261881804012X.
23. Sakhvadze G.Zh. Finite element modeling of the technology of multiple laser shock processing of materials with use of the eigenstrains method // *Journal of Machinery Manufacture and Reliability*, 2018, Vol. 47, No. 5, pp. 469–474. DOI: 10.3103/S1052618818050114.
24. Sakhvadze G. Zh., Kavtaradze R.Z., Nikabadze M.U. Eigenstrain Modeling of Laser–Shock Processing of Materials // *Russian Engineering Research*. - 2018. - Vol. 38. № 10. pp. 755–760. DOI: 10.3103/S1068798X18100143.

FINITE ELEMENT MODELING OF MATERIAL STRETCHING DURING LASER SHOCK PROCESSING, USING THE METHOD OF EIGENSTRAINS

Sakhvadze G.Zh.
Institute of Machine Sciences named after A.A. Blagonravov
of Russian Academy of Sciences, Moscow, Russia

Abstract. *Laser shock processing (LSP) of materials is an effective modern technology for processing metallic materials, in which significant compressive residual stresses (CRS) are generated in the near-surface region, which contribute to increasing their strength, tribological and operational characteristics. In the present work, finite element modeling of the LSP technology using the method of eigenstrain is carried out. Specificity of its use consists in the following: first the dynamic problem is solved on the impact of the shock load, the distribution of the stabilized plastic deformations (the so-called "eigenstrain") is determined, after which the static problem is solved, like the elastic response of the system to the introduced intrinsic deformations.*

დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის მეორე სასაზღვრო ამოცანის ელიფსურ არეში ეფექტურად ამოხნის ერთი ხერხის შესახებ

კოსტა სვანაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ქუთაისი, საქართველო
kostasvanadze@yahoo.com

შრომაში დრეკად ნარევთა წრფივი თეორიის სტატიკის ერთგვაროვანი განტოლებისათვის, ორგანზომილებიან მარტივადბმული სასრული არეს შემთხვევაში, მეორე სასაზღვრო ამოცანის (როცა საზღვარზე მოცემულია ძაბვის ვექტორი) ამონახსნის გამოყენებით იგივე ამოცანის ამონახსნი, როცა არეს საზღვარი ელიფსია მიღებულია აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივის სახით, რომელიც ერთადერთია ნებისმიერი ხისტი გადაადგილების ვექტორის სიზუსტით.

საკვანძო სიტყვები: დრეკადნარევთა თეორიის სტატიკის მეორე სასაზღვრო ამოცანა, ფრედჰოლმის ტიპის ინტეგრალური განტოლება, კოლოსოვ-მუსხელიშვილის სახის განზოგადებული ფორმულები, ელიფსით შემოსაზღვრული სასრული არე.

1^0. დრეკად ნარევთა წრფივი თეორიის სტატიკის ერთგვაროვანი განტოლება კომპლექსური ფორმით ასე ჩაიწერება [3]

$$\frac{\partial^2 U}{\partial z \partial \bar{z}} + K\frac{\partial^2 \overline{U}}{\partial \bar{z}^2} = 0, \qquad U = \left(u_1 + iu_2, u_3 + iu_4\right)^T, \tag{1}$$

სადაც $u' = (u_1, u_2)^T$ და $u'' = (u_3, u_4)^T$ კერძო გადაადგილებებია $z = x_1 + ix_2$,

$$\frac{\partial}{\partial z} = \frac{1}{2}\left(\frac{\partial}{\partial x_1} - i\frac{\partial}{\partial x_2}\right), \qquad K = -\frac{1}{2}em^{-1}, \qquad e = \begin{bmatrix} e_4 & e_5 \\ e_5 & e_6 \end{bmatrix},$$

$$m^{-1} = \frac{1}{\Delta_0}\begin{bmatrix} m_3 & -m_2 \\ -m_2 & m_1 \end{bmatrix}, \qquad \Delta_0 = m_1 m_3 - m_2^2 > 0,$$

$$m_k = e_k + \frac{1}{2}e_{3+k}, \qquad k = 1,2,3, \qquad e_1 = a_2/d_2, \qquad e_2 = -c/d_2, \qquad e_3 = a_1/d_2,$$

$$d_2 = a_1 a_2 - c^2 > 0, \; a_1 = \mu_1 - \lambda_5, \; a_2 = \mu_2 - \lambda_5, \; c = \mu_3 + \lambda_5,$$

$$e_1 + e_4 = \frac{a_2 + b_2}{d_1}, \qquad e_2 + e_5 = -\frac{c+d}{d_1}, \qquad e_3 + e_6 = \frac{a_1 + b_1}{d_1},$$

$$d_1 = \left(a_1 + b_1\right)\left(a_2 + b_2\right) - \left(c + d\right)^2 > 0, \quad b_1 = \mu_1 + \lambda_1 + \lambda_5 - \alpha_2\frac{\rho_2}{\rho},$$

$$b_2 = \mu_2 + \lambda_2 + \lambda_5 + \alpha_2\frac{\rho_1}{\rho},$$

$$\rho = \rho_1 + \rho_2, \quad \alpha_2 = \lambda_3 - \lambda_4, \quad d = \mu_2 + \lambda_3 - \lambda_5 - \alpha_2\frac{\rho_1}{\rho} = \mu_3 + \lambda_4 - \lambda_5 + \alpha_2\frac{\rho_2}{\rho}.$$

$\mu_1, \mu_2, \mu_3,$ $\lambda_p,$ $p=\overline{1,5}$ დრეკადი მუდმივებია, ხოლო ρ_1 და ρ_2 მუდმივებს აქვთ სიმკვრივის განზომილება. აღნიშნული მუდმივები აკმაყოფილებენ კონკრეტულ პირობებს [1].

მ. ბაშელეიშვილის მიერ შრომაში [3] მიღებულია კოლოსოვ-მუსხელიშვილის ანლოგიური ფორმულები:

$$U=\begin{pmatrix} u_1+iu_2 \\ u_3+iu_4 \end{pmatrix}=m\varphi(z)+\frac{1}{2}ez\overline{\varphi'(z)}+\overline{\psi(z)},\ z=x_1+ix_2 \qquad (2)$$

$$TU=\begin{pmatrix} (Tu)_2-i(Tu)_1 \\ (Tu)_4-i(Tu)_3 \end{pmatrix}=\frac{\partial}{\partial S(x)}\left[(A-2E)\varphi(z)+Bz\overline{\varphi'(z)}+2\mu\overline{\psi(z)}\right] \qquad (3)$$

სადაც $\varphi=(\varphi_1,\varphi_2)^T$ და $\psi=(\psi_1,\psi_2)^T$ ნებისმიერი ანალიზური ვექტორ-ფუნქციებია, $(Tu)_p,$ $p=\overline{1,4}$ ძაბვის ვექტორის კომპონენტებია [1],

$\frac{\partial}{\partial S(x)}=n_1\frac{\partial}{\partial x_2}-n_2\frac{\partial}{\partial x_1},$ $\bar{n}=(n_1,n_2)^T$ გარე ნორმალის მგეზავია

$$A=\begin{bmatrix} A_1 & A_2 \\ A_3 & A_4 \end{bmatrix}=2\mu m, \qquad B=\begin{bmatrix} B_1 & B_2 \\ B_3 & B_4 \end{bmatrix}=\mu e, \qquad \mu=\begin{bmatrix} \mu_1 & \mu_3 \\ \mu_3 & \mu_2 \end{bmatrix}$$

$$m=\begin{bmatrix} m_1 & m_2 \\ m_2 & m_3 \end{bmatrix}, \qquad E=\begin{bmatrix} 1 & 0 \\ 0 & 1 \end{bmatrix} \qquad \Delta_0=\det|m|>0,$$

$\Delta_1=\det|\mu|>0,$ $\Delta_2=\det|A-2E|>0.$

2^0. დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის მეორე ბრტყელი შიგა სასაზღვრო ამოცანა შემდეგი შინაარსისაა: $S\in C^{K+\beta},$ $k=1,2,$ $0<\beta\le 1$ შეკრული მარტივი წირით შემოსაზღვრული ორგანზომილებიან D^+ სასრულ არეში, რომელიც $z=0$ წერტილს შეიცავს, ვიპოვოთ (1) განტოლების ისეთი $C^2(D^+)\cap C^{1,\alpha}(D^+\cup S),$ $0<\alpha<\beta\le 1$ კლასის ამონახსნი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ სასაზღვრო პირობას

$(TU(t))^+=f(t),$ $t\in S,$ $t=t_1+it_2,$ $(II)_f^+$ ამოცანა, სადაც $f=(f_1,f_2)^T$ საზღვარზე მოცემული $C^{1,\alpha}$ კლასის კომპლექსური ვექტორ-ფუნქციაა და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

$$\int_S f\,dS=0, \qquad \mathrm{Re}\int_S \bar{t}(f_1+f_2)\,dS=0 \qquad (4)$$

(4) ფორმულებში პირველი და მეორე ტოლობები შესაბამისად გამოსახავს მთავარი ვექტორის და მთავარი მომენტის ნულის ტოლობის პირობას.

შრომაში [3] დამტკიცებულია, რომ ხისტი გადაადგილების $a^0+i\varepsilon\begin{pmatrix}1\\1\end{pmatrix}z$ ვექტორის სიზუსტით $(II)_f^+$ ამოცანის ერთადერთი ამონახსნი მოიცემა ფომრულით

$$U(x)=\frac{m(A-2E)^{-1}}{2\pi i}\int_S \ln(z-\varsigma)g(y)d_yS-$$

$$-\frac{\mu^{-1}}{4\pi i}\int_S \ln(\bar{z}-\bar{\varsigma})g(y)d_yS-\frac{e(A-2E)^{-1}}{4\pi i}\int\frac{z-\varsigma}{\bar{z}-\bar{\varsigma}}\overline{g(y)}d_yS,$$

სადაც $a^0=(a_1^0,a_2^0)^T$ ნებისმიერი მუდმივი კომპლექსური ვექტორია, ε ნებისმიერი ნამდვილი მუდმივია, $z=x_1+ix_2$, $\varsigma=y_1+iy_2$, $x=(x_1,x_2)\in D^+$ $y=(y_1,y_2)\in S$ 7 ხოლო $g=(g_1,g_2)^T$ უცნობი კომპლექსური ვექტორია და წარმოადგენს ფრედჰოლმის ტიპის შემდეგი ინტეგრალური განტოლების

$$-g(t)+\frac{1}{2\pi}\int_S\frac{\partial}{\partial S(t)}\ln\frac{t-\varsigma}{\bar{t}-\bar{\varsigma}}g(y)d_yS-\frac{H}{2\pi i}\int_S\frac{\partial}{\partial S(t)}\frac{t-\varsigma}{\bar{t}-\bar{\varsigma}}\overline{g(y)}d_yS=f(t)\text{ 7}\quad(6)$$

ამონახსენს, $t=(t_1,t_2)\in S$ 8

$$H=\begin{bmatrix}H_1 & H_2\\ H_3 & H_4\end{bmatrix}=B(A-2E)^{-1}\text{ 8}\qquad(7)$$

3^0. ვთქვთ S კონტური ელიფსია a და b ($a>b$) ნახევარი ღერძებით. მოცემულ შემთხვევაში ელიფსის $t=t_1+it_2$ და $\varsigma=y_1+iy_2$ წერტილებისათვის დავწერთ

$$y_1=a\cos\theta_0,\qquad y_2=b\sin\theta_0,\qquad 0\le\theta_0\le 2\pi,$$

$$t_1=a\cos\theta,\qquad t_z=b\sin\theta,\qquad 0\le\theta\le 2\pi,$$

$$d_yS=\sqrt{a^2\sin^2\theta_0+b^2\cos^2\theta_0}\,d\theta_0,\qquad d_tS=\sqrt{a^2\sin^2\theta+b^2\cos^2\theta}\,d\theta\text{ 8}$$

გარდა ამისა შევნიშნოთ,რომ ამ ფორმულების გამოყენებით მარტივად მივიღებთ:

$$\frac{t-\varsigma}{\bar{t}-\bar{\varsigma}}=-\frac{1-\lambda e^{-i(\theta+\theta_0)}}{1-\lambda e^{i(\theta+\theta_0)}}e^{i(\theta+\theta_0)},\qquad\lambda=\frac{a-b}{a+b},\quad 0<\lambda<1,$$

$$\frac{\partial}{\partial S(t)}\frac{t-\varsigma}{\bar{t}-\bar{\varsigma}}dyS=-i\frac{(1-\lambda^2)e^{i(\theta+\theta_0)}\sqrt{a^2\sin^2\theta_0+b^2\cos^2\theta_0}}{\left(1-\lambda e^{i(\theta+\theta_0)}\right)^2\sqrt{a^2\sin^2\theta+b^2\cos^2\theta}}d\theta_0=$$

$$=i(\lambda-\lambda^{-1})\frac{\sqrt{a^2\sin^2\theta_0+b^2\cos^2\theta_0}}{\sqrt{a^2\sin^2\theta+b^2\cos^2\theta}}\sum_{n=1}^{\infty}n\lambda^n e^{in(\theta+\theta_0)}d\theta_0,\qquad(8)$$

$$\frac{\partial}{\partial S(t)}\ln\frac{t-\varsigma}{\bar{t}-\bar{\varsigma}}dyS=i\left\{1+\sum_{n=1}^{\infty}\lambda^n\left[e^{in(\theta+\theta_0)}+e^{-in(\theta+\theta_0)}\right]\right\}*$$

$$*\frac{\sqrt{a^2\sin^2\theta_0+b^2\cos^2\theta_0}}{\sqrt{a^2\sin^2\theta+b^2\cos^2\theta}}d\theta_0.$$

შემოვიღოთ აღნიშვნები:

$$h(\gamma)=g(\gamma)\sqrt{a^2\sin^2\gamma+b^2\cos^2\gamma},\qquad\overline{h(\gamma)}=\overline{g(\gamma)}\sqrt{a^2\sin^2\gamma+b^2\cos^2\gamma},$$

$$F(\gamma)=f(\gamma)\sqrt{a^2\sin^2\gamma+b^2\cos^2\gamma},\qquad 0\le\gamma\le 2\pi,\qquad(9)$$

$$h_0=\frac{1}{2\pi}\int_0^{2\pi}h(\gamma)d\gamma,\qquad h_n=\frac{1}{2\pi}\int_0^{2\pi}h(\gamma)e^{in\gamma}d\gamma$$

$$h_{-n}=\frac{1}{2\pi}\int_0^{2\pi}h(\gamma)e^{-in\gamma}d\gamma,\qquad \overline{h_{-n}}=\frac{1}{2\pi}\int_0^{2\pi}\overline{h(\gamma)}e^{in\gamma}d\gamma.$$

(10)

(8), (9) და (10) ფორმულების გათვალისწინებით (6) ინტეგრალური განტოლება ჩაიწერება შემდეგი სახით

$$h_0-h(\theta)+\sum_{n=1}^{\infty}\lambda^n\left(h_ne^{in\theta}+h_{-n}e^{-in\theta}\right)-H\left(\lambda-\lambda^{-1}\right)\sum_{n=1}^{\infty}n\lambda^n\overline{h_{-n}}e^{in\theta}=F(\theta)\text{ 8}\qquad(11)$$

ელემენტარული გამოთვლებით (11)-დან h_0, h_n, h_{-n} და $\overline{h_{-n}}$ კოეფიციენტების მიმართ მივიღებთ შემდეგ განტოლებებს:

$$\begin{aligned}&h_0-h_0=F_0=\frac{1}{2\pi}\int_0^{2\pi}F(\theta)d\theta,\\&\lambda^nh_{-n}-h_n=F_n=\frac{1}{2\pi}\int_0^{2\pi}F(\theta)e^{in\theta}d\theta,\end{aligned}\qquad(12)$$

$$\lambda^nh_n-h_{-n}+n\lambda^{n-1}\left(1-\lambda^2\right)H\overline{h_{-n}}=F_{-n}=\frac{1}{2\pi}\int_0^{2\pi}F(\theta)e^{-in\theta}d\theta\text{ 8}\qquad(13)$$

(12) დან გამომდინარეობს, რომ როცა მთავარი ვექტორი (იხ. (4)-ს პირველი ფორმულა) ნულის ტოლია, მაშინ h_0 ანუ g_0 (იხ. (9)-ის პირველი ფორმულა) ნებისმიერი მუდმივი ვექტორია და ძაბვის მნიშვნელობაზე გავლენას არ ახდენს.

(13) სისტემიდან h_n -ის გამორიცხვის შედეგად h_{-n} და $\overline{h_{-n}}$ მიმართ მივიღებთ შემდეგ განტოლებებს:

$$\begin{aligned}&\left(1-\lambda^{2n}\right)h_{-n}-n\lambda^{n-1}\left(1-\lambda^2\right)H\overline{h_{-n}}=P_n=-\lambda^nF_n-F_{-n},\\&n\lambda^{n-1}\left(1-\lambda^2\right)Hh_{-n}-\left(1-\lambda^{2n}\right)\overline{h_{-n}}=-\overline{P_n}=\lambda^n\overline{F_n}+\overline{F_{-n}},\end{aligned}\qquad(14)$$

ახლა (14) სისტემის ამოხსნადობის შესწავლისათვის გავნიხილოთ შემდეგი ორი სისტემა

$$\begin{aligned}&\left(1-\lambda^{2n}\right)\overset{(j)}{R}_{-n}-n\lambda^{n-1}\left(1-\lambda^2\right)\left(H_1+X_jH_3\right)\overline{\overset{(j)}{R}_{-n}}=\begin{pmatrix}1\\X_j\end{pmatrix}P_n,\\&n\lambda^{n-1}\left(1-\lambda^2\right)\left(H_1+X_jH_3\right)\overset{(j)}{R}_{-n}-\left(1-\lambda^{2n}\right)\overline{\overset{(j)}{R}_{-n}}=-\begin{pmatrix}1\\X_j\end{pmatrix}\overline{P_n}\end{aligned}\qquad\overset{(j)}{(15)}_n$$

სადაც $j=1,2;$ H_1,H_2,H_3 და H_4 (7) მატრიცის ელემენტებია, $\overset{(j)}{R}_{-n}=\left(h_{-n}\right)_1+X_j\left(h_{-n}\right)_2,\quad j=1,2$ ხოლო X_1 და X_2

$$H_3X^2-\left(H_1-H_4\right)X-H_2=0$$

განტოლების ფესვებია

ამას გარდა შევნიშნოთ, რომ [3]

$$H_1+H_3=H_2+H_4=1,\quad H_1-H_2\neq 1,\quad X_1=1,\quad X_2=-\frac{H_2}{H_3}\neq 1. \qquad (16)$$

$\overset{(1)}{D}_n$-ით და $\overset{(2)}{D}_n$-ით აღვნიშნოთ შესაბამისად $\overset{(1)}{(15)}_n$ და $\overset{(2)}{(15)}_n$ სისტემის დეტერმინანტი. მარტივად მივიღებთ:

$$\overset{(1)}{D}_n=\left(1-\lambda^{2n}\right)^2-n^2\left(1-\lambda^2\right)^2\lambda^{2(n-1)} \quad 7 \qquad \sim!*`$$

$$\overset{(2)}{D}_n=\left(1-\lambda^{2n}\right)^2-n^2\left(1-\lambda^2\right)^2\left(H_1-H_2\right)^2\lambda^{2(n-1)}\ 8 \qquad \sim!(`$$

ახლა (17) და (18)-ში, თუ გავითვალისწინებთ (16)-ს, მაშინ ელემენტარული გამოთვლებით მივიღებთ:

$$D_1^{(1)}=0,\qquad D_n^{(1)}\neq 0\ 7\ \texttt{hjwf}\ \ n\geq 2\ 7\quad D_n^{(2)}\neq 0,\quad \texttt{hjwf}\ \ n\geq 1$$

ამრიგად, გამომდინარე აღნიშნულიდან მარტივად დავასკვნით, რომ $\overset{(1)}{(15)}_n$ სისტემა ცალსახად ამოხსნადია, როცა $n\geq 2$ ხოლო $\overset{(2)}{(15)}_n$ სისტემას აქვს ერთადერთი ამონახსნი, როცა $n\geq 1$. ამასთან ერთად შევნიშნოთ, რომ (4)-ს მეორე ტოლობის თანახმად $\overset{(1)}{(15)}_1$ სისტემა

$$\left(1-\lambda^2\right)\left(\overset{(1)}{R}_{-1}-\overline{\overset{(1)}{R}}_{-1}\right)=\begin{pmatrix}1\\1\end{pmatrix}P_1,$$

$$\left(1-\lambda^2\right)\left(\overset{(1)}{R}_{-1}-\overline{\overset{(1)}{R}}_{-1}\right)=-\begin{pmatrix}1\\1\end{pmatrix}\overline{P_1},$$

თავსებადია და დავწერთ

$$\overset{(1)}{R}_{-1}-\overline{\overset{(1)}{R}}_{-1}=\frac{1}{1-\lambda^2}\begin{pmatrix}1\\1\end{pmatrix}P_1\ 8 \qquad (19)$$

ამრიგად, ჩატარებული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ h_n, h_{-n} და $\overline{h_{-n}}$ კოეფიციენტები ცალსახად განისაზღვრება, როცა $n\geq 2\ 7$ ხოლო $\mathrm{Re}\left[\left(h_{-1}\right)_1+\left(h_{-1}\right)_2\right]$ მნიშვნელობის სიზუსტით, როცა $n=1$ (იხ. (19))

სახელდობრ, როცა $n\geq 2$ მაშინ გვაქვს:

$$h_n=\frac{\lambda^n}{X_2-1}\begin{pmatrix}X_2q_n-\delta_n\\ \delta_n-q_n\end{pmatrix}-F_n,\qquad h_{-n}=\frac{1}{X_2-1}\begin{pmatrix}X_2q_n-\delta_n\\ \delta_n-q_n\end{pmatrix},$$

$$\overline{h_{-n}}=\frac{1}{X_2-1}\begin{pmatrix}X_2\overline{q_n}-\overline{\delta_n}\\ \overline{\delta_n}-\overline{q_n}\end{pmatrix}, \qquad (20)$$

$$q_n=\frac{1}{D_{(n)}^{(1)}}\begin{pmatrix}1\\1\end{pmatrix}\Big[\left(\lambda^{2n}-1\right)P_n+n\lambda^{n-1}\left(\lambda^2-1\right)\overline{P_n}\Big],$$

$$\delta_n=\frac{1}{D_{(n)}^{(2)}}\begin{pmatrix}1\\X_2\end{pmatrix}\Big[\left(\lambda^{2n}-1\right)P_n+n\lambda^{n-1}\left(\lambda^2-1\right)\left(H_1-H_2\right)\overline{P_n}\Big],$$

$$P_n=-\lambda^n F_n-F_{-n},\quad F_n=\frac{1}{2\pi}\int_0^{2\pi}f\left(\theta_0\right)e^{in\theta_0}\sqrt{a^2\sin^2\theta_0+b^2\cos^2\theta_0}\,d\theta_0\ 8$$

n=1 მნიშვნელობისათვის $\mathrm{Re}\Big[\left(h_{-1}\right)_1+\left(h_{-1}\right)_2\Big]=0$ სიზუსტით ადგილი აქვს შემდეგ ტოლობებს:

$$h_1=\frac{\lambda}{X_2-1}\begin{pmatrix}X_2\nu_1-\nu_2\\ \nu_2-\nu_1\end{pmatrix}-F_1,$$

$$h_{-1}=\frac{1}{X_2-1}\begin{pmatrix}X_2\nu_1-\nu_2\\ \nu_2-\nu_1\end{pmatrix},\qquad \overline{h}_{-1}=\frac{1}{X_2-1}\begin{pmatrix}X_2\overline{\nu_1}-\overline{\nu_2}\\ \overline{\nu_2}-\overline{\nu_1}\end{pmatrix}\ 7 \tag{21}$$

$$\nu_1=\begin{pmatrix}1\\1\end{pmatrix}\frac{P_1}{2\left(1-\lambda^2\right)},\qquad \nu_2=\begin{pmatrix}1\\X_2\end{pmatrix}\frac{P_1+\left(H_1-H_2\right)\overline{P}_1}{\left(\lambda^2-1\right)\Big[\left(H_1-H_2\right)^2-1\Big]}$$

აგრეთვე შევნიშნოთ რომ (იხ. (4)-ს პირველი ტოლობა და (12))

$$h_0=\frac{1}{2\pi}\int_0^{2\pi}h\left(\theta_0\right)d\theta_0=\frac{1}{2\pi}\int_0^{2\pi}g\left(\theta_0\right)\sqrt{a^2\sin^2\theta_0+b^2\cos^2\theta_0}\,d\theta_0=C\ 7\qquad\text{~@@`}$$

სადაც C ნებისმიერი მუდმივი კომპლექსური ვექტორია.

4^0. ახლა (5) გამოვსახოთ h_n, h_{-n} და $\overline{h_{-n}}$ $\left(n\ge 0\right)$ კოეფიციენტების საშუალებით. ვისარგებლოთ ელიფსის პარამეტრული განტოლებით $y_1=a\cos\theta_0,\qquad y_2=b\cos\theta_0,$ და შემდეგი ცნობილი ფორმულებით (იხ. [2])

$$\eta_1=\frac{z+\sqrt{z^2-a^2+b^2}}{a+b},\qquad \eta_2=\frac{z-\sqrt{z^2-a^2+b^2}}{a+b},$$

$$\eta_1\cdot\eta_2=\frac{a-b}{a+b}=\lambda,\qquad z\in D^+,\qquad |\eta_1|<1,\qquad |\eta_2|<1.$$

აღნიშნული ფორმულების გამოყენებით და ელემენტარული გამოთვლების ჩატარებით მივიღებთ:

$$\ln\left(z-\varsigma\right)=\ln\frac{a+b}{2}+i\left(\pi+\theta_0\right)-\sum_{n=1}^{\infty}\frac{\eta_1^n+\eta_2^n}{n}e^{-in\theta_0},$$

$$\ln\left(\overline{z}-\overline{\varsigma}\right)=\ln\frac{a+b}{2}-i\left(\pi+\theta_0\right)-\sum_{n=1}^{\infty}\frac{\overline{\eta_1^n}+\overline{\eta_2^n}}{n}e^{in\theta_0}, \tag{23}$$

$$\frac{z-\varsigma}{\overline{z-\varsigma}}=\lambda^{-1}+\sum_{n=1}^{\infty}\left(A_0\overline{\eta_1^n}+B_0\overline{\eta_2^n}\right)e^{in\theta_0},$$

სადაც

$$A_0=\frac{\left(1-\eta_1\bar{\eta}_1\right)\left(\bar{\eta}_1^{-1}-\eta_2\right)}{\bar{\eta}_1-\bar{\eta}_2},\qquad B_0=\frac{\left(1-\eta_2\bar{\eta}_2\right)\left(\eta_1-\bar{\eta}_2^{-1}\right)}{\bar{\eta}_1-\bar{\eta}_2},\quad A_0+B_0=\lambda-\lambda^{-1}.$$

(10), (22) და (23) ფორმულების გათვალისწინებით დავწერთ

$$U(x)=C^0+\frac{\mu^{-1}}{4\pi i}\sum_{n=1}^{\infty}\frac{\bar{\eta}_1^n+\bar{\eta}_2^n}{n}h_n-\frac{m\left(A-2E\right)^{-1}}{2\pi i}\sum_{n=1}^{\infty}\frac{\eta_1^n+\eta_2^n}{n}h_{-n}-$$
$$-\frac{e\left(A-2E\right)^{-1}}{4\pi i}\sum_{n=1}^{\infty}\left(A_0\bar{\eta}_1^n+B_0\bar{\eta}_2^n\right)\bar{h}_{-n},\qquad(24)$$

სადაც C^0 ნებისმიერი მუდმივი კომპლექსური ვექტორია.

ახლა შევნიშნოთ, რომ (20) და (21) ფორმულების და $|\eta_1|<1,\quad |\eta_2|<1,\quad f\in C^{1,\alpha}(S)$ პირობების საფუძველზე, როცა $\alpha>\frac{1}{2}$ (24) მწკრივი აბსოლუტურად და თანაბრად კრებადია.

ამრიგად, ელიფსურ D^+ არეში სტატიკის მეორე სასაზღვრო ამოცანის ამოხსნა მოიცემა შემდეგი აბსოლუტურად და თანაბრად მწკრივის

$$U_0(x)=\frac{\mu^{-1}}{4\pi i}\sum_{n=1}^{\infty}\left[\frac{\bar{\eta}_1^n+\bar{\eta}_2^n}{n}h_n-A\left(A-2E\right)^{-1}\frac{\eta_1^n+\eta_2^n}{n}h_{-n}-\right.$$
$$\left.-H\left(A_0\bar{\eta}_1^n+B_0\bar{\eta}_2^n\right)\bar{h}_{-n}\right]$$

სახით, რომელიც ერთადერთია ხისტი გადაადგილების ვექტორის სიზუსტით.

შენიშვნა 1. შრომაში [2] მოცემულია განსხვავებული მეთოდი ელიფსურ არეში სტატიკის ძირითადი ამოცანების ამოხნისათვის

ლიტერატურა

1. M.O. Basheleishvili, Two-dimensional boundary value problems of statics of the theory of elastic mixtures. Mem. Differential Equations Math. Phys. 6(1995), 59-105.
2. M.O. Bashelesivili, Solutions of the basic boundary value problems of elastic mixtures for the interior and exterior elliptic domains. Reports of Enlarged Session of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics Vol. 14, N2, 1999, 3-6.
3. M.O. Basheleishvili and K. N. Svanadze, A new method of solving the basic plane boundary value problems of statics of the elastic mixture theory. Georgian J 8, N3. 2001, 427-446.

On one way of effective solution of the second boundary value problem of statics of the theory of elastic mixture in an elliptic domain.

Kosta Svanadze
Akaki Tsereteli State university
Kutaisi, Georgia
kostasvanadzew@yahoo.com

Owing to solution of second boundary value problem (when on the boundary is given a stress vector) of statics of the linear theory of elastic mixture for a finite two-dimensional simply connected domain (see [3]), we obtain a solution of the problem for elliptic domain by absolutely and uniformly convergent series, which is defined modulo an arbitrary rigid of displecement vector.

ანალიზის მონათესავე საკითხები

Related Problems of Analysis

სამშენებლო დარგის მეცნიერების განვითარების პროცესები საქართველოში

ბედიაშვილი მ.*, ყიფიანი გ.**, სულაშვილი ვ.**
*საქართველოს საინჟინრო აკადემია;
**საქართელოს საავიაციო უნივერსიტეტი

საქართველო საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა სტიქიის შემოტევას. შემორჩენილია VIII-IX საუკუნეების მონაცემები კატასტროფული ზარზმის მიწისძვრის შესახებ, თმოგვის, მცხეთის და ა.შ. ჩვენი წინაპრები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქმნიდნენ სეისმომედეგი შენობების კონსტრუქციებს და მეთოდებს, ისეთებს, რომლებსაც ჩვენი კოლეგები XX საუკუნეშიც იყენებდნენ. გადმოცემულია ანტისეისმოიზოლაციის გამოყენება ნაგებობებში და ასევე მშენებლობაში დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზები

საკვანძო სიტყვები: *მიწისძვრა; სეისმომედეგი შენობა; კონსტრუქცია; დაპროექტება.*

ცნობილია, რომ მსოფლიოში ცნობილმა მეცნიერმა კირიაკ ზავრიევმა ჯერ კიდევ 1927 წელს განავრცო იაპონელი მეცნიერის ნ. მონონობეს 1920 წელს წარმოდგენილი რეზონანსული რხევითი თეორია. ამას მოყვა საქართველოში სეისმური მოვლენების და სეისმომედეგობის მეცნიერული შესწავლის სპეციალისტთა მთელი გუნდის ჩამოყალიბება.

საბჭოთა კავშირში მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის ტემპების გასაძლიერებლად, ადამიანთა საცხოვრისის, საზოგადოებრივი დაწესებულებებით დაკმაყოფილების, სოფლად კულტურული დონის ამაღლების მიზნით, მთავრობის დადგენილებით 11 ყოფილ სეისმოაქტიურ საბჭოთა რესპუბლიკაში გამოცხადდა 1962-1967 წლებში სოფლად და ქალაქად კონკურსები, იმ პერიოდისათვის ყველაზე უფრო პროგრესული, ეკონომიური და რაც მთავარია, სეისმომედეგი კონსტრუქციების და მათ საფუძველზე სათანდო პროექტების შესაქმნელად.

ამ კონკურსებში გაიმარჯვეს ქართველმა სპეციალიტებმა. კონკრეტულად "საქსოფლმშენსახპროექტმა" და თბილისის ზონალურმა სამეცნიერო-საკვლევმა ტიპობრივი და ექსპერიმენტალური პროექტირების ინსტიტუტმა (თბილზნიიეპი). და აი მომდევნო 30 წლის განმავლობაში სავალდებულო წესით ინერგებოდა ამ კონსტრუქციებით ნაგები 6, 7, 8 და 9 ბალიან სეისმურ რაიონებში, ერთიდან 18 სართულამდე შენობები და გამოიყენებოდა მათი ამგები კონსტრუქციები.

ეს კარკასული ელემენტები ინერგებოდა აგრეთვე მრავალსართულიან სამრეწველო ნაგებობებში 2,5 ტონამდე კვ. მ. სასარგებლო დატვირთვებისათვის. მრავალსართულიან შენობებში სეისმურ რაიონებში გამოყენებული იქნა ჩარჩო-კავშირიანი სისტემები სიხისტის დიაფრაგმები უკვე, როგორც ტიპობრივი კონსტრუქციები. დაინერგა პროფესორ ჟეჟელის ე.წ. იუგოსლავური სისტემით, წინასწარ დაძაბული კარკასული ნაგებობები არმატურის დაძაბვით მშენებლობის პირობებში, რომლებიც გამოირჩეოდნენ მაღალი სეისმომედეგობით და ეკონომიურობით.

ავითვისეთ "მონოლითმშენი"-ს წინადადებით დამუშავებული 16 სართულიანი საცხოვრებელი სახლები მონოლითურ რკინაბეტონში ინდუსტრიალური მეთოდების გამოყენებით. სისტემატურად მიმდინარეობდა ექსპერიმენტლური მუშაობა "თბილზნიიეპის", საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ლილოს ბაზებში, აგრეთვე ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-

საკვლევ ინსტიტუტებში და საშენ მასალათა ინსტიტუტში. დამუშავდა და დაინერგა სეისმურ ზემოქმედებაზე გაანგარიშებული მზიდი კონსტრუქციების კვანძები. მიღებული გვქონდა ასამდე საავტორო მოწმობა.

ერთერთი მათგანის, რ/ბეტონის ჩარჩოს კვანძის კოლონების და რიგელების ჭდობის გაძლიერება, ჩვენი მეთოდით, რომ შესრულებულიყო, ამ სურათზე აღბეჭდილი კატასტროფა არ მოხდებოდა, ეს კვანძი გათვლილი და დაკონსტრუირებული უნდა ყოფილიყო ნიშანცვლად სეისმურ მომენტებზე.

დიდი მუშაობა მიმდინარეობდა ლითონკონსტრუქციების დახვეწაზე, მათ გამოყენებაზე სამრეწველო და საზოგადოებრივ მშენებლობაში. გამოყენებული იყო წინასწარდაძაბული წერტილოვანი საძირკვლები, ხიდების და სხვა დანიშნულების ობიექტების კონსტრუქციები და ა.შ. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენი კონსტრუქციები ზოგიერთ, იმ ხანად სოციალისტურ ქვეყნებშიც, დაინერგა. განსაკუთრებით გამახარა 2007 წელს ჩემი იაპონიაში ყოფნის დროს "მშობლიური", ზედა ზონაში გაშიშვლებული რიგელების ხილვა, რომლებსაც იაპონელები 60 სართულიანი შენობის მონტაჟის დროს იყენებდნენ.

ჩვენს მიერ დანერგილი კარკასული კონსტრუქციები იის-04 სერიის, იმითაც იყვნენ ორიგინალური, რომ ისინი უნიფიცირებული იყვნენ, ანუ მათი გამოყენება ფორმების შეუცვლელად შეიძლებოდა სხვადასხვა დატვირთვის და გაბარიტების, სხვადასხვა სეისმური ზემოქმედების დროს. ამან ხელი შეუწყო ინდუსტრიული ბაზების შრომის ნაყოფიერების ზრდას, წარმოების ეფექტურობას. ჩვენში 10-მდე ქარხანა და სახლმშენებელი კომბინატი აშენდა ამ კონსტრუქციების საწარმოებლად. აშენდა ინდუსტრიალური რკინაბეტონის მწარმოებელი ქარხნები ყველა სეისმოაქტიურ რესპუბლიკაში.

ყველაფრის დამაგვირგვინებელი იყო უნიკალური 271 მ სიმაღლის კაშხალი ენგურზე.

სეისმომედეგ კვლევებს, მეცნიერული პრობლემების გადაწყვეტას, პროექტირებას, მშენებლობას საქართველოში სათავეში ედგა კ. ზავრიევის სახელობის მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის, თბილისის ზონალური სამეცნიერო-საკვლევი და ექსპერიმენტალური პროექტირების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საშენ მასალათა ინსტიტუტები. მშენებლობას და კოორდინირებას აწარმოებდა საქართველოს მშნებლობის სამინისტრო.

ჩვენი სპეციალისტები მრავალჯერ დაჯილდოვდნენ საბჭოთა კავშირის და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდებით. ვმონაწილეობდით მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სამეცნიერო კონფერენციებში მოხსენებებით და ა.შ. უნდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირის მშენებლობის მინისტრის გიორგი კარავაევის ბრძანებით მალხაზ ბედიაშვილი გახლდათ საბჭოთა კავშირის ყველა 11 სეისმურ რესპუბლიკის მაშტაბით კარკასულ პანელური მრავალსართულიანი საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სამრეწველო ექსპერიმენტალური საპროექტო და სამშენებლო საქმიანობის საკოორდუნაციო საბჭოს თავმჯდომარე 1977 წლიდან.

დამუშავებული გვაქვს საკავშირო და რეგიონალური-ყველა რესპუბლიკისათვის, სამრეწველო ნაკეთობების კატალოგები. ვაწვდიდით ინფორმაციას და კონსულტაციას ვუწევდით და ვთანამშრომლობდით 400-მდე საპროექტო ორგანიზაციასთან და მშენებელობის სამინისტროსთან, 130 სამშენებლო ტრესტთან და 80-ზე მეტ რკინაბეტონის ქარხანასთან სსრკ მთელ ტერიტორიაზე. ნაყოფიერად ვთანამშრომლობდით და ვუწევდით დახმარებას მიწისძვრით დაზარალებულ რეგიონებს დაღესტანში, სომხეთში, უზბეკეთში, თბილისში, საჩხერეში და ა.შ.

პირველ რიგში უნდა შევეხო ჩვენთვის ყველაზე მტკივნეულ საკითხს, მეცნიერული კვლევის, ექსპერიმენტალური მუშაობის, ექსპერიმენტალური მშენებლობის, ახლის ძიების არარსებობას.

გაუქმდა კ. ზავრიევის სახელობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის, თბილისის ზონალური სამეცნიერო-საკვლევი, ტიპობრივი და ექსპერიმენტალური პროექტირების ინსტიტუტები, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საშენ მასალათა და სხვა ინსტიტუტები. მოკლედ აღარ გვაქვს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები. და უფრო მეტი: განადგურდა წლობით, რუდუნებით შექმნილი სამეცნიერო-ექსპერიმენტალური ბაზები, სადაც იქმნებოდა ახალი სამშენებლო-ექსპერიმენტალური სისტემები საზოგადოებრივი, საცხოვრებელი და მსოფლიოში ცნობილი ჰიდროტექნიკური ნაგებობებისათვის, ახალი მასალები და ა.შ. გაუქმდა და გაიყიდა ინდუსტრიალური ქარხნები. ახლა იქ ნაყინის ბრიკეტებს ამზადებენ. გაიფანტა ცნობილი სამეცნიერო კადრები. ახალგაზრდები უხალისოდ ეკიდებიან ჩვენს "არაპრესტიჟულ" სპეციალობას-მშენებლობას.

მაშინ, როცა წინა წლებში შევქმენით და დავნერგეთ ექვსი ახალი სამშენებლო სისტემა, ბოლო თითქმის 30 წლის განმავლობაში არც ერთი არ შექმნილა. "შექმნას" თავი დავანებოთ – არც ერთ სხვა ქვეყანაში ახალი და პროგრესული გადაწყვეტა არ გადმოღებულა და არ დანერგილა. საქართველოს მშენებელთა ფედერაციამ, ევროპის მშენებელ ინჟინერთა საზოგადოებამ, არაერთხელ მიმართა როგორც ქვეყნის მთავრობის თავმჯდომარეს, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ქ. თბილისის მერიის ხელმძღვანელობას, მაგრამ მშენებლები დღემდე არიან ყურადღების გარეშე.

მშენებლები, რომელთა წილადაც საერთო სახალხო პროდუქციის 25% მოდიოდა, ახლა ათკაციან ჯგუფის ხელმძღვანელობის იმედად არიან. არა გვაქვს მშენებლობის მაკოორდინირებელი, ხელმძღვანელი სამინისტრო. არა და მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში სხვდასხვა სახით ასეთი სამინისტროები არსებობენ. "ზემდგომები" ჩვენს, მშენებელების წინადადებებს ეცნობოდნენ, მაგრამ არ რეაგირებდნენ. (რადგან არავინ არ არის მშენებელი და მშენებელთა პრობლემებს არ იცნობენ). მაშინ, როცა წინა წლებში საქართველოში ჩამოდიოდნენ საბჭოთა კავშირში შემავალი, სეისმოაქტიური რესპუბლიკების სპეციალისტები გამოცდილების გასაზიარე-ბლად, ახლა ჩვენ ჩავდივართ სეისმომედეგი სისტემების გასაცნობად და დასანერგად, ჩვენ ვცდილობთ გავეცნოთ იმ "ახალს", რომელიც ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებში შეიქმნა და დაინერგა.

ქვეყნის ხელმძღვანელ ინსტანციებში არც ერთი მშენებელი ან არქიტექტორი არ არის რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს – არც პარლამენტშია ვინმე. ჩვენ ძველები, რომლებმაც ავაშენეთ ეს ქვეყანა, რასაკვირველია არ ვისვენებთ. ჩვენს წინადადებებს ვაგზავნით მთავრობაში, მაგრამ ყველაფერი ძველებურად მთავრდება: უფროსი მოადგილეს დააწერს, მოადგილე დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ის განყოფილების უფროსს, ის კი "მეისრეს", რიგით მუშაკს. მას კი სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტა არ ძალუძს.

ვინაიდან სამეცნიერო-საძიებო მუშაობის საშუალება მოგვისპეს, გავიხედეთ ქვეყნის გარეთ. აღმოჩნდა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანა გამალებული მუშაობს ნაგებობათა, სახალხო დოვლათის გადასარჩენათ კატასტროფული მიწისძვრებისაგან. გავეცანით იაპონიის, იტალიის, სომხეთის, რუსეთის, აშშ, საფრანგეთის სამეცნიერო შრომებს და პრაქტიკულ მაგალითებს.

ცნობილია, რომ საანგარიშო მიწისძვრის შედეგად ნაგებობაში ჩნდება სხვადსხვა სიდიდის ბზარები. შემდგომი განმეორებითი ბიძგების დროს ბზარების რაოდენობა იზრდება, ამავდროულად შენობის სიხისტე მცირდება და შედეგად მცირდება სეისმური დატვირთვის სიდიდეც. მაგრამ, თუ ვიცით, რომ შენობის სიხისტის შემცირებით

შეგვიძლია შევამციროთ მასზე მოსული სეისმური ზეგავლენაც, მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, როგორ შეიძლება ამ გზით გადავარჩინოთ ნაგებობა.

სწორედ ამ გარემოებამ უბიძგა მეცნიერებს დაეწყოთ სეისმური ზემოქმედებისაგან დაცვის სისტემების ძიება. უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში შეიქმნა რამოდენიმე პრაქტიკაში დანერგილი მეთოდი: სეისმოიზოლაციური სისტემები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ყველა სეისმურ რაიონში, საქართველოს გარდა.

ამიტომ ევროპის სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოების საქართველოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოებამ, რომელიც შეიქმნა 2011 წელს, დაიწყო გზების ძებნა, თუ როგორ შეიძლება ამ უახლესი, უკვე საზღვარგარეთ გამოცდილი და ათვისებული სისტემის გაცნობა და დანერგვა ჩვენს ქვეყანაში [1-4].

სეისმოიზოლაციური სისტემების გამოყენების მიზანშეწონილობა, განპირობებულია იმით, რომ ის უზრუნველყოფს მიწისძვრისაგან გამოწვეული ძალვების შემცირებას 1-2 ბალით, რაც პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია განივკვეთის ზომების, ბეტონის და არმატურის ხარჯის შემცირებასთან, ზოგადად, მშენებლობის გაიაფებასთან.

ამ შემთხვევაში შენობის შიდა ტიხრები, კომუნიკაციები, ავეჯი არ განიცდის ნგრევას, დეფორმაციას და მოსპობას. სეისმოიზოლაციური მეთოდების გამოყენება შესაძლებელია ყველა სახის სამშენებლო სისტემაში. სომეხი სპეციალიტების გამოცდილებას თუ გავიზიარებთ, იზოლაციური სისტემების გამოყენება შესაძლებელია უკვე აშენებულ შენობებშიც.

სეისმოიზოლატორების განთავსება ძირითადად ხდება საძირკვლებსა და შენობის კარკასს შორის, სპეციალურად დატოვებულ ღრეჩოებში. სეისმოიზოლატორების საძირკვლებში განთავსების დროს ძირეულად იცვლება შენობის საანგარიშო სქემა. თუ ჩვეულებრივი მრავალსართულიანი შენობა N–ჯერ სტატიკურად ურკვევია, სეისმოიზოლატორიანი შენობის საანგარიშო სქემა არის ორჯერ სტატიკურად ურკვევი, რომლის გაანგარიშებაც ბევრად უფრო მარტივია. ერთ მასას წარმოადგენს სეისმოიზოლატორი და განთავსებული ხისტი გადახურვა, რომელსაც ეყრდნობა შენობის მიწისზედა ნაწილი. ხოლო მეორე მასა არის მიწისზედა ნაწილის მთლიანი მასა. ანუ, მიწისძვრის დროს დეფორმაციას განიცდის სეისმოიზოლატორი (გრუნტის აჩქარების გამო), ხოლო მიწისზედა ნაწილი გადაადგილდება ხისტ ფილასთან ერთად, როგორც მთლიანი მასა, მყარი ტანი. ამდენად დეფორმაცია მზიდ კონსტრუქციებში არის ძვრის დეფორმაცია და ძალზედ მცირეა, რომლის აღდგენაც ადვილია.

ჩამოყალიბდა სეისმომედეგობაზე გაანგარიშების სპექტრალური თეორია, სხვადასხვა მოდიფიკაციით. ნორმატიულ მასალებში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში აქტიურად იყენებენ სეისმომედეგობაზე გაანგარიშებისას სპექტრალურ მეთოდს. მშენებლობის ნორმების ძირითადი დებულებები-ეს არის დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის ქცევის ჩვენი დღევანდელი პროგნოზი მომავალი მიწისძვრის დროს. დღეს სეისმოლოგების წინაშე დგას პრობლემა, რომელიც ეხება არა მარტო მოსალოდნელი მიწისძვრის ზუსტად პროგნოზირებას, არამედ მიწისძვრის დროს ნაგებობის ქცევის პროგნოზირებაც.

მთავარია გვახსოვდეს, რომ ადამიანები უშუალოდ მიწისძვრით კი არ იღუპებიან, არამედ მიწისძვრისს შედეგად შენობა-ნაგებობის ნგრევის გამო. ამიტომ მეცნიერთა და დამპროექტებელთა მიზანი შენობა-ნაგებობების დაპროექტებისა და აგების ისეთი პრინციპის შემუშავებაა, რომლის განხორციელებისას გარანტირებული იქნებოდა ადამიანთა სიცოცხლის უსაფრთხოება, აღჭურვილობისა და ქონების შენარჩუნება ანტისეისმურ ღონისძიებებზე მინიმალური დანახარჯებით, სეისმური რისკის მინიმუმამდე დაყვანა.

ამჟამად ასამდე პატენტია გაცემული სეისმოიზოლატორების ნაირსახეობაზე. არსებობს სეისმოდაცვის რამოდენიმე სისტემა, მათ შორის აქტიური და პასიური სეისმოდამცავი სისტემები. ჩვენ, ამ ეტაპზე უპირატესობას პასიურ სეისმოდაცვის სისტემას ვანიჭებთ, რომელშიც შედის სეისმოჩამხშობი და სეისმოსაიზოლაციო საშუალებები.

სეისმოჩამხშობი სისტემები შეიცავენ დემპფერებს და დინამიკურ დამხშობს, რომლებშიც მექანიკური ენერგია გარდაიქმნება სხვა სახის ენერგიად, რაც იწვევს რხევის დემპფერირებას ან გადანაწილებას დასაცავ კონსტრუქციაში დახშობამდე.

სეისმოიზოლაციური სისტემები განსხვავდებიან უბრალო ფორმით, მონტაჟის ტექნოლოგიური სიმარტივით, შედარებით დაბალი ღირებულებით და მაღალი საიმედოობით. მათი გამოყენება საშუალებას გვაძლევს შევამციროთ სეისმური დატვირთვა 1,5-2 ჯერ, გრუნტული პირობებიდან და კონსტრუქციული სისტემებიდან გამომდინარე. ჩვენ დღეისათვის უპირატესობა მივანიჭეთ რეზინლითონის საყრდენებს-იზოლატორებს.

მათი გამოყენებით ხდება ინერციული ძალების შემცირება, რის შედეგადაც მცირდება მიწისძვრის დროს კონსტრუქციული ელემენტების რღვევის სიხშირე, მცირდება გადაადგილება. ამ დროს შეზღუდულია გადახურვის გადაადგილება, რომელიც გამორიცხავს არაკონსტრუქციული ელემენტების დაზიანებას და საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ შენობა ძლიერი მიწისძვრის შემდეგაც.

ისმება კითხვა-თუ ასეთი დადებითი შედეგები მოსდევს სეისმოიზოლაციური სისტემების გამოყენებას და მასიურ დანერგვას, თუ ასეთი მეთოდები გამოიყენება მსოფლიოს ყველა სეისმოაქტიურ ქვეყნებში და წარმატებითაც, მაშინ რატომაა საქართველო ერთადერთი ქვეყანა, სადაც ეს უაღრესად პროგრესული სისტემა აქამდე არ გამოიყენება. 2007 წელს გავეცანით რა სეისმოიზოლაციურ სისტემებს იაპონიაში, მათ გაანგარიშებებს, კონსტრუირებასა და მშენებლობაში დანერგვის მაგალითებს, გამოვაქვეყნე შესაბამისი სტატია პრესაში, სათანადო რეკომენდაციებით ჩვენში უცილობლად დასანარგად.

სტატია და ახსნა განმარტება გადავეცი მაშინდელ ვიცე მერს . . . და აი 11 წელია, მე და ჩემი კოლეგები ვებრძვით ბიუროკრატიას და უცოდინაროზას ამ სფეროში. მალხაზ ბედიაშვილის მიერ პირადად გადაცემული იყო ქალაქ თბილისის მერის და ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ ხელმოწერილი წერილები-ვალდებულებები ამ მეთოდის დანერგვაში ხელშეწყობის შესახებ, ნეაპოლში და მადრიდში გამართულ ევროპის საბჭოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოების პრეზიდიუმს, გენერალურ ასამბლეაზე. მხარდაჭერა სრული იყო! დახმარებაც სრულფასოვანი იყო. ასევე მხარს გვიჭერდნენ და გვიჭერენ სომეხი კოლეგები. მაგრამ ამ 11 წლის განმავლობაში დაპირების გარდა ჩვენი ხელისუფლების მიერ არაფერი არ გაკეთებულა.

არიან პიროვნებები, რომლებიც აქტიურად ებრძვიან საქართველოში და კერძოდ თბილისში მაღლივ მშენებლობას! წერენ პრესაში და გამოდიან ტელევიზიით: 12 სართულზე მეტის მშენებლობა სეისმურ რაიონებში არ დაიშვებაო . . . საინტერესო ის არის, რომ ჩემს გარდა პასუხის გამცემი არც მეცნიერთა, არც დამპროექტებელთა, არც ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ არავინ არ გამოჩნდა!
არა და გადახედეთ თბილისს-აქ მხოლოდ მაღლივი შენობები შენდება.

გვჯერა, რომ ჩვენი დღევანდელი საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მსოფლიოს ცნობილი სპეციალისტები მონაწილეობენ, სტიმულს მისცემს ჩვენს მთავრობას გადადგას ეს მეტად საჭირო ნაბიჯი, რათა თავიდან ავიცილოთ საანგარიშო მიწისძვრით მიყენებული მილიარდობით დოლარის ზარალი.
ერთი მაიმედებს-როგორც იქნა საქართველოს მთავრობას სათავეში ჩაუდგა ინჟინერი, პროფესორი. იქნებ მშენებლობისადმი ინჟინრულმა მიდგომამ გადაგვარჩინოს.

ამას აგრეთვე ხელს შეუწყობს ჩვენს მიერ ბატონ გელა ყიფიანთან ერთად გამოშვებული წიგნი "მიწისძვრისაგან დაცვის სეისმოსაიზოლაციო საშუალებები და დანერგვის პერსპექტივები საქართველოში". სეისმოიზოლაციური სისტემების მუშაობის, გაანგარიშების და მშენებლობაში გამოყენების შესახებ, რომელიც ცოტა ხანში გამოვა.

გამოყენებული ლიტერატურა

[1] Kipiani Gela, BliadzeSeit. Calculation of ribbed shell by a finite element method. *Annual meeting of the Georgian Mechanical union. 27.09-29.09. 2017. Tbilisi.*

[2] ბედიაშვილი მ., ყიფიანი გ.. თოდუა მ. ნაგებობათა ანტისეისმური ღონისძიებები და მიწისძვრისაგან დაცვის ზოგიერთი ასპექტი. *მეცნიერება და ტექნოლოგიები. № 2(725) "ტექნიკური უნივერისიტეტი", თბილისი, 2017, გვ. 18-30*

[3] ბედიაშვილი მ., ყიფიანი გ. თანამედროვე გამოწვევები სეისმომედეგობაში და მისი აქტუალური პრობლემები. *საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის "თანამედროვე გამოწვევები, მეცნიერების აქტუალური პრობლემები და ევროინტეგრაცია", მოხსენებათა მასალები. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, 22-23 ნოემბერი, 2017, თბილისი, გვ. 74-78*

[4] Bediashvili M., Kipiani G., Todua M. Methods to reduce the losses at catastrophic earthquake. *Problems of Mechanics N 3(68) Tbilisi 2015. pp. 77-82*

PROCESSES OF DEVELOPMENT OF CONSTRUCTION FIELD SCIENCE IN GEORGIA

Malkhaz Bediashvili* Gela Kipiani**, Vazha Sulashvili**
*Engineering Academy of Georgia; **Georgian Aviation University

Abstract: Georgia during the centuries was undergoing the natural disasters. Are remained the data from the VIII-IX centuries the catastrophic zarzma earthquake, as well as Tmogvi, Mtskheta and so on earthquakees. Our ancestors were constructed up to BC centuries the seismic resistant structures and methods that our colleagues are still used in the XX century. Are stated the application of antiseismic insulation in buildings and ways to improve the errors at construction

ბიზნეს-პროექტების განხორციელების მიზანმიმართული ფუნქციონირების ფორმალიზებული მოდელი

ქურდაძე მ., გარდაფხაძე თ., გარდაფხაძე მ.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნაშრომში განხილულია ბიზნეს-პროექტების ეფექტური ფუნქციონირების ამოცანები, მისი შემდგომი განვითარების საკითხების ანალიზი და კვლევის პროცესი. მოთითებულია რეკომენდაციები მიზანმიმართული ფუნქციონირების მოდელის ძირითად ასპექტებზე. გამოკვლეულია რაციონალური გადაწყვეტილების გზები, სადაც ხაზგასმულია გარემოდან მოქმედი ფაქტორების ზეგავლენა, მათი უარყოფითი (ხელის შემშლელი) და ხელის შემწყობი გავლენის დადგენის მიზნობრიობა. პარალელურად გაკეთებულია ბიზნეს-საქმიანობის შიდა მახასიათებლების ანალიზი, რათა დადგენილიყო როგორ შეძლებენ ისინი გაუმკლავდნენ გარემოდან მოსალოდნელ „საფრთხეს“, ან რაციონალურად გამოიყენონ შესაძლო „დახმარებები“. ასეთი ანალიზის ჩატარების მიზნით ნაშრომში განხილულია გარემოდან ზემოქმედი ფაქტორების განსხვავებული ჯგუფები: ეკონომიკური ფაქტორები, პოლიტიკური ფაქტორები, საბაზრო ფაქტორები, კონკურენტული ფაქტორები, ტექნოლოგიური ფაქტორები, სოციალური ფაქტორები, საერთაშორისო ფაქტორები. თითოეული მათგანი ცალკე მოიცავს შესაბამის კომპონენტებს, რომლებიც სხვადასხვა სახის ზემოქმედებას ახდენენ ბიზნესზე. ანალოგიური სახით – რგოლებად და შემადგენელ კომპონენტებად წარმოდგენილია ბიზნესის შიდა მახასიათებლების რამოდენიმე ასპექტი.

ნაშრომში ყურადღება დათმობილია ბიზნესის მართვის სტრუქტურის სრულყოფის ერთ-ერთ მიმართულებაზე. ჩვეულებრივ არსებული მართვის ხაზოვან-ფუნქციონალური სტრუქტურის შეცვლას მიზნობრივი ჯგუფით, რომელიც იქმნება ბიზნეს-კომპანიების ძალებით და განახორციელებს არასასურველი მოულოდნელობით გამოწვეული პრობლემის მართვას, რის შემდეგაც დაიშლება. მოცემულია ასეთი სისტემის სტრუქტურული სქემა, შესაბამისი ფუნქციონირების მექანიზმი და მათი მათემატიკური მოდელის ბაზური ვარიანტი. განხილულია და მიღებულია შედეგი, რომელიც ეხება პრობლემის თავიდან აცილების მიზნით, მიზნობრივი ჯგუფის შექმნის შესაძლებლობას და ასეთი სტრუქტურის და ფუნქციონირების მექანიზმის მათემატიკურ მოდელს. აღნიშნულია, რომ კრიზისული სიტუაცია არ არის ცალკე არსებული, დამოუკიდებელი პრობლემა. ის ბიზნესის ფუნქციონირების ერთ - ერთი საკმაოდ რთული მახასიათებელია. მისი სირთულე პირველ რიგში პრობლემის წარმოქმნაში მონაწილე, შიდა თუ გარე ფაქტორების შესაძლო კომბინაციების სიმრავლეში და ანალიზის სირთულეში გამოიხატება. მეორე რიგში კი არასასურველი ზემოქმედებით შექმნილი პრობლემა საქმიანობის ძირითადი მიზნის გარკვეული ქცევაზეა. მისი რეგულირება და მართვა აუცილებლად მიზანმიმართულად, მართვის საშუალო დონეზე უნდა ხდებოდეს. ეფექტობა მიზანშეწონილი იქნება, პრობლემის მართვის მთლიანი პროცესი, განახორციელოს ბიზნეს-კომპანიონების ძალებით შექმნილმა პრობლემურ-მიზნობრივმა ჯგუფმა, რაც სიტუაციის სისტემური ანალიზის კვლევის რაციონალური მიდგომა იქნება. ამ მიზნით ნაშრომში განხილულია პრობლემურ-მიზნობრივი სტრუქტურის და ფუნქციონირების მექანიზმის მათემატიკური მოდელი, ელემენტების გარკვეული ინფორმირებულობის შემთხვევაში (ბაზური მოდელი). მართალია ეს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გარკვეულ ცვლილებებს გამოიწვევს, მაგრამ მიღებული პრობლემურ-მიზნობრივი მართვის სტრუქტურები, წარმატებით „მუშაობს“ საბაზრო გარემოს ფუნქციონირებად სივრცეში და საკმაოდ სწრაფად ინერგება.

ბიზნეს-პროექტების განხორციელებისათვის საქმიანობის მართვის სტუქტურების და ფუნქციონირების მექანიზმების თანმიმდევრული ფორმირების პროცესი მოითხოვს სიახლეთა კვლევის, დამუშავების, დანერგვის და მათი რეალიზების ერთიანი, სისტემური მეთოდების გამოყენებას. ფუნქციონირების მექანიზმში არსებული ან მოსალოდნელი დაბრკოლებები (კრიზისული სიტუაციები), განპირობებული ბიზნესზე მოქმედი მრავალი შიდა თუ გარე ფაქტორით, დიდი მოცულობის საჭირო

დრო (ti) განისაზღვრება ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მიზნის შესრულება. ამ დროს გამოიყოფა დროის ინტერვალი, სადაც მიმდინარეობს მიზნის მიღწევისათვის ყველა აუცილებელი საქმიანობა.

რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ბიზნესის შემადგენელი ქვერგოლების, როგორც ერთი მთლიანის სისტემის პოტენციალის ცნებას, რომელიც არ ითვლება ბაზურ მახასიათებლად, მაგრამ არის ძალზე მნიშვნელოვანი.

კარგად ორგანიზებულ ბიზნესში A რგოლის სტრუქტურული ელემენტების $(a_1, a_2, ..., a_n)$ ურთიერთქმედება ურთიერთშეთანხმებულია, მიზანმიმართულია და სინქრონიზებულია ძირითადი მიზნის მიღწევაზე. ასეთი სისტემის P პოტენციალი განსაზღვრული პარამეტრის მიხედვით (მაგალითად, სამეცნიერო ეკონომიკური და ა.შ) მეტია ყველა შემადგენელი ქვერგოლის პოტენციალთა ჯამზე.

$$P(A) > [P(a_1) + ... + P(a_n)]$$

რაც უფრო მეტია რგოლში ფუნქციონალური ქმედებები, მით მეტია ბიზნესში ორგანიზებულობა და მით მეტად აჭარბებს საქმიანობის პოტენციალი შემადგენელი რგოლების პოტენციალების ჯამს.


როცა ბიზნესში ორგანიზებულობის ხარისხი არ არის მაღალი ან ბიზნესის შემადგენელი რგოლების შეუთანხმებლობის და არამიზანმიმართულობის გამო დაბალიც კი არის, მაშინ:

$$P(A) \le [P(a_1) + ... + P(a_n)]$$

ამ დროს ქრება ფუნქციონალური რგოლის ინტეგრაციულობის თვისება და ამიტომ ის მკაცრი გაგებით, არ არსებობს.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ მაღალი პოტენციალის მისაღწევად, მიზნობრივ რგოლში აუცილებელია გამოკვეთილი მიზნის დადგენა და შემადგენელი რგოლების ურთიერთშეთანხმებული ქმედებების ორგანიზება. სხვა შემთხვევაში არ იარსებებს ბიზნესში ინტეგრაციულობის თვისება და ხშირად ერთი მთლიანი რგოლიც.

ქვემო სქემაზე მოცემულია სტრატეგიული ბიზნესშესაძლებლობების უფრო დეტალური, მიზანმიმართულ განხილვა და ანალიზი.



ამ სქემას ვუწოდე სტრატეგიული შესაძლებლობების ოთხმხრივი ანალიზი. ის ძირითადში ნიშნავს იმას, რომ ბიზნეს კომპანიონებმა

ფუნქციონირების დაწყებამდე, შეიძლება ბიზნეს-გეგმის შემუშავების ეტაპზეც კი, მოახდინოს შიდა ცვლადების და გარემოდან ზემოქმედი ფაქტორების კლასიფიკაცია და მათი შემდგომი ერთობლივი ანალიზი, ეს პროცედურა აუცილებელია მარკეტინგის მიზნებისთვის და მთლიანად ბიზნესის სწორი სტრატეგიის არჩევისთვისაც.

იგულისხმება, რომ ბიზნესში დასახულია ძირითადი მიზანი და ყველა პრობლემა რომელიც არსებობს ან იარსებებს ფუნქციონირების პროცესში, თვით კრიზისული პრობლემის ჩათვლით, ძირითადი მიზნის ქვემიზანია და მართვის რომელიმე დონეზეა გადასაწყვეტი, ეს კი აუცილებლად ძირითად მიზანთან მიმართებაში უნდა განიხილებოდეს.

როცა შემთხვევითი ფაქტორები ან მართვაში შემთხვევითი არასასურველი სიტუაციის დადგომის წინა პირობები წარმოიქმნება ან როდესაც ბიზნესის ფუნქციონირების სუსტ შიდა მახასიათებლებს (შიდა საქმიანობის ცვლილებები), ემატება გარემოდან მოქმედი ორგანიზაციისთვის არასასურველი ფაქტორები და ამ ყველაფერს აღვნიშნავთ B-თი, ხოლო შიდა საქმიანობის მახასიათებლების სიმრავლეს A-თი მაშინ, $C = A \times B$ წარმოადგენს გარემო ფაქტორების და შიდა ცვლადების ყველა შესაძლო თანადობების სიმრავლეს. ამ შემთხვევაში განიხილება მხოლოდ ერთიკვადრატი, სადაც ბიზნესში (ფირმა, კორპორაცია) შედარებით არა ძლიერი, არამყარი და არაეფექტური მახასიათებლები და გარემოდან არასასურველი ფაქტორები იკვეთებიან.

აღვნიშნოთ A^1- ბიზნესის ძლიერი მახასიათებლების სიმრავლე, ($A^1 \subset A$), ხოლო A^2- ით ბიზნესის სუსტი მახასიათებლები ($A^2 \subset A$), მაშინ $A = A^1 \cup A^2$.

ცხადია თვითონ A^1-ც და A^2- ც შედგება კონკრეტული შესაბამისი საქმიანობისაგან $A^1 = \{a_1^1, a_2^1, ..., a_n^1\}$. $a_i^1 \in A^1$, $i = \overline{1,n}$. $A^2 = \{a_1^2, a_2^2, ...a_m^2\}$, $a_j^2 \in A^2$; $j = \overline{1,m}$

მაგალითად: შიდა მახასიათებლების რაოდენობას თუ აღვნიშნავთ A-თი, მაშინ ის შედგება რამოდენიმე გამსხვილებული საქმიანობისაგან (ქვესიმრავლისგან); $A = \{A_{11}, A_{12}, a_{13}...\}$ და ა.შ.

გარემოდან მოქმედი ფაქტორების სიმრავლე აღვნიშნოთ B- თი; ისინი შეიძლება იყოს ბიზნესისათვის სასურველი, B^1, ან საშიში ფაქტორები - B^2.

$B^1 = \{b_1^1, b_2^1, ...b_k^1\}$, $b_i^1 \in B^1$ $i = \overline{1,k}$

$B^2 = \{b_1^2, b_2^2, ...b_e^2\}$ $b_j^2 \in B^2$ $j = \overline{1,e}$

ცხადია $B = B^1 \cup B^2$;

მიღებული აღნიშვნების საფუძველზე სქემა ასეთია

გარემოს ფაქტორები (B) / რგოლის მახასიათებლები (A)	ბიზნესისათვის სასურველი გარემო პირობები (B_1)	ბიზნესისათვის საშიში გარემო პირობები (B_2)
ძლიერი მხარეები (A_1)	რგოლის უპირატესობების გამოვლენა. მათი შემდგომი განვითარება $A_1 \times B_1 = C_{11}$	არასასურველი სიტუაციების აცილებისთვის მომზადება $A_1 \times B_2 = C_{12}$
სუსტი მხარეები (A_2)	რგოლის ნაკლოვანებების გამოვლენა. მათი აღმოფხვრის პროცესი $A_2 \times B_1 = C_{21}$	გაუთვალისწინებელი მდგომარეობის შესაძლებლობები $A_2 \times B_2 = C_{22}$

ინტერესი $C_{12} = A_1 \times B_2$ შემთხვევით შემოიფარგლება, რაც გაუთვალისწინებელი სიტუაციის დადგომის წინაპირობების და გამომწვევი ფაქტორების ანალიზს ნიშნავს. თუმცა A და B ერთიანი მთლიანი დავყავით ქვერგოლებად, მაგრამ არასასურველი სიტუაციის წარმოქმნაში, მათ შემადგენელ ყველა რგოლს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა, თუ გავითვალისწინებთ, რომ გარემო (B სიმრავლე) სხვადასხვა გამსხვილებული ფაქტორით წარმოვადგინეთ, ხოლო შიდა მახასიათებლები რამოდენიმე ფუნქციონალურ ზონად დავყავით (A), რომელთაგან თითოეული ცალკე შედგება რგოლებისაგან, მაშინ ცხადია მათი შესაძლო საკმაოდ ბევრი კომბინაციაა მოსალოდნელი და განსახილველი. თუმცა ასეთი კომბინაციები სასრული იქნება იმიტომ, რომ თვითონ A და B სიმრავლეებია სასრული.

მოდელისათვის საჭიროა მივყვეთ შემდეგ მსჯელობას-ეკონომიკურ სისტემებში ეფექტურობის კრიტერიუმის რანგში გამოდის, როგორც წესი ეკონომიკური მაჩვენებლები (წარმოების მოცულობა, მოგება, ცხოვრების მატერიალური დონე და ა.შ), ხოლო შეზღუდვებს წარმოადგენს ეკოლოგიური მოთხოვნები (ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება, დაბინძურების დასაშვები დონე გარემოში და ა.შ) და სხვადასხვა სახის ბალანსური თანადობები.

ჩავთვალოთ, რომ სისტემის მდგრადობა წარმოადგენს ქვესისტემების მდგომარეობის ერთობლიობას $x = (x_1, x_2, ...x_n)$ და ცალმხრივად განისაზღვრება ცენტრის მმართველი პარამეტრებით u და ქვესისტემების მართვის პარამეტრების ვექტორით $\upsilon = (\upsilon_1, \upsilon_2, ...\upsilon_n)$. ვთქვათ X არის სისტემის ჰომეოსტაზის არე, მაშინ E_0- ის კოორდინაციის ამოცანა ქვესისტემების საქმიანობაზე მდგომარეობს ნებისმიერი მდგრადი მდგომარეობის მიღწევაში $x \in X$ კოორდინირებულობის პირობას ყველა მართვის პარამეტრისთვის აქვს სახე:

$$(u, \upsilon) \in \Omega \qquad (1)$$

სადაც Ω- არის სიმრავლე ისეთი მართვებისა, რომლებსაც სისტემა გადაყავს X სიმრავლის რომელიმე მდგომარეობაში.

(1) პირობა აუცილებელია E_0- სთვის და არა ქვესისტემებისთვის. მაგრამ რადგანაც υ -ს არჩევა ხდება ქვესისტემის მიერ, ამიტომ მისი უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ ზოგიერთი დაშვების შემდეგ, სისტემის ყველა აქტიური ელემენტის ქცევების და ინფორმირებულობის შესახებ.

ჩავთვალოთ, რომ მოცემულია E_0- ის ეფექტურობის ერთიანი კრიტერიუმი $M_0(u,\upsilon)$, რომელიც ამავე დროს სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის კრიტერიუმსაც წარმოადგენს. მოითხოვება მისი მაქსიმიზაცია.

ოპტიმიზაციის ამოცანის დასმა იერარქიულ სისტემებში, არ გამომდინარეობს ჩვეულებრივი ოპტიმიზაციის თეორიიდან. გადაწყვეტილების მიღების პროცედურა იერარქიულ სისტემაში წარმოადგენს რიგი აქტიური ელემენტების ურთიერთქმედების პროცესს. ისინი მოქმედებენ საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ანხილულ მოდელებში ეს პორცედურა განისაზღვრება E_0-დან მართვის საშუალებით, რომელიც მდგომარეობს მართვის სახეობის არჩევაში და მასზე ქვესისტემებისთვის ინფორმაციის გადაცემაში. ასევე მხარეების ქცევებზე და ინფორმირებულობის შესახებ დაშვებებში.

თუ E_0 გამოიყენებს მართვას უკუკავშირის გარეშე მაშინ ქვესისტემებისთვის ცნობილი ოთხი წესის გამოყენების დროს, მათი რეაქცია იქნება:

$$R_i(u) = Arg\max_{\upsilon_i \in V_i(u)} M_i(u,\upsilon) = \{\upsilon_i \in V_i(u) / M_i(u,\upsilon_i) \geq M_i(u,z_i).\forall z_i \in V_i(u)\}$$

სიმრავლე $R(u) = \prod_{i=1}^{n} R_i(u)$ წარმოადგენს E_0-სთვის განუსაზღვრელობების არეს.

E_0-ის დასაშვები (კოორდინირებული) მართვების სიმრავლის ქვესიმრავლეს ვუწოდებთ

$U^0 = \{u \in U / R(u) \neq \varnothing, R(u) \subseteq \Omega(u)\}$;


სადაც $\Omega(u) = \{\upsilon /(u,\upsilon) \in \Omega\}$ U^0- სიმრავლე შეიძლება იყოს ცარიელიც. ეს აღნიშნავს, რომ მართვა სისტემაში არ შეიძლება იყოს კოორდინირებული ქვესისტემების მოცემული ინტერესების და შესაძლებლობების შემთხვევაში. ამით U^0 სიმრავლის სიცარიელის საკითხი, ქვესისტემების ფართო შესაძლებლობების დროს წარმოადგენს მათი ინტერესების შეთანხმებულობის მაჩვენებელს. ვამბობთ, რომ ქვესისტემების ინტერესები შეთანხმებულია თუ $U^0 \neq \varnothing$.

როგორც ვიცით ოპტიმალური გარანტირებული მართვა ეწოდება ისეთ $u^0 \in U^0$, რომ

$$\inf_{\upsilon \in R(u^o)} M_0(U^0,\upsilon) = M_0^0 = \sup_{u \in U^0} \inf_{\upsilon \in R(u)} M_0(u,\upsilon) \qquad (2)$$

სიდიდე M_0^0 წარმოადგენს E_0- ის მაქსიმალურ გარანტირებულ შედეგს. (2) სახის ამოცანას ვუწოდოთ E_0-ის ოპტიმალური მართვის ამოცანა იერარქიულ სისტემაში. მისი დასმა ასევე შეიძლება ბიზნესის მართვის სხვა რთული მიდგომებისათვის, თუ მას, როგორც სისტემას განვიხილავთ და

ელემენტებს კი მის შემადგენელ რგოლებს, თავისი გაუთვალისწინებელი ხელშეშლებით (აქ შესაძლებელია ალბათური მახასიათებლებით უკვე სხვა მოდელი მივიღოთ)



ამ სქემაზე მოცემულია ფუნქციების მართვის ტაქტიკის ორი სახე:

პირველი – ეს არის დაცვითი სახის ტაქტიკური პროგრამა, რომელიც დაფუძნებულია დამზოგი ღონისძიებების გატარებაზე და ითვალისწინებს ყველა გასაელის შემცირებას, რომლებიც დაკავშირებულია საქმიანობასთან, ბიზნესინტერესებთან, ძირითადი ფონდების და პერსონალის შემადგენლობასთან. ამას ცხადია მივყავართ ბიზნესში ფუნქციების შემცირებისკენ, მაგრამ მისი გამოყენება აუცილებელი ხდება არასახარბიელო გარემო პირობების გამო.

დაცვითი ტაქტიკის გამოყენება შეზღუდულია არსებული ოპერატიული ღონისძიებებიდან გამომდინარე და მოიცავს შემდეგ მეთოდებს: ხარჯების შეზღუდვა, გასაელების შემცირება, შიდა რეზერვების გამოვლენა, საკადრო გადაადგილებები, დისციპლინის განმტკიცება, კრედიტორებთან და მომწოდებლებთან საქმეების მოწესრიგება (ვალის გაზრდა) და სხვა ღონისძიებები.

უფრო ეფექტურია შემტევი ტაქტიკის გამოყენება და შესაბამისად არა ოპერატიული, არამედ სტრატეგიული მიზნებისთვის. ამ შემთხვევაში ეკონომიკური, ნედლეულდამზოგი ღონისძიებების გვერდით მიმდინარეობს აქტიური მატკეტინგი, გასაღების ახალი ბაზრების შესწავლა და დაკავება, შედარებით მაღალი ფასების დაფიქსირება, წარმოების მიდერნიზაციით მისი სრულყოფისთვის ხარჯების გაზრდა, ძირითადი ფონდების განახლება, პერსპექტიული ტექნოლოგიების დანერგვა.

ამასთან ერთად მიმდინარეობს მართვის მთლიანი სისტემის სრულყოფა, ხდება კონკრეტული სიტუაციის შეფასება და მისი სისტემური ანალიზი. თუ საჭირო გახდა შესაძლებელია მისიის შეცვლაც ანუ ბიზნესსაქმიანობის ძირითადი პრინციპების კორექტირებაც, ამ დროს იცვლება სტრატეგიაც.

სტრატეგიის შესაბამისად ხდება მიზნის (მიზნების) კორექტირება, მთლიანად სისტემისთვის და მართვის შესაბამისი დონეებისთვისაც. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებას. ხაზოვან - ფუნქციონალური სტრუქტურების პარალელურად ინერგება დივიზიონალური, მიზნობრივი, პროგრამული მართვის სტრუქტურები და კოორდინაციის მეთოდები.

ბიზნესის მართვის თვალსაზრისით გაუთვალისწინებელი შემთხვევებით გამომწვევი ფაქტორების ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ რესურსები (მათ შორის დროითი), რომელთა ხარჯვასთანაც არის დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტა.

მნიშვნელოვანია პრობლემის საზღვრების მასშტაბების დონის შეფასება, შეზღუდვების დადგენა გამომწვევ ფაქტორებზე. ასეთი შეფასების გაკეთება ძალიან რთული და შრომატევადია, ის ყოველი ნებისმიერი ბიზნესისთვის სპეციფიკურია და კონკრეტულ სიტუაციებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ძირითადში კი ქვეყნის კანონმდებლობით, საგადასახადო, საბაჟო, საპატენტო, ანტიმონოპოლიური, სამეწარმეო კანონმდებლობით დადგენილ საზღვრებში უნდა მიმდინარეობდეს მართვის მთელი პროცესი.

მნიშვნელოვანია სხვადასხვა სიტუაციების მოსალოდნელი შედეგების და რეალიზების შეფასება. ამისთვის გამოიყენება სხვადასხვა კრიტერიუმები.

არასასურველი, გაუთვალისწინებელი სიტუაციით შექმნილი პრობლემის მართვის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს პრობლემის გადაწყვეტის ტაქტიკის ფორმირება, იმ ტაქტიკურ სვლებზე გადაწყვეტილების მიღება, რომლის რეალიზებით იხსნება დასმული პრობლემა. აქვე არსანიშნავია, რომ გარემო ფაქტორების და საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი ერთმანეთთან კავშირში, მათი თანადობის სხვადასხვა კომბინაციის განხილვა (ზემოთ მოცემული სქემა), წარმოადგენს ბიზნესში დასახული ძირითადი მიზნის ეფექტური რეალიზების მნიშვნელოვან გარანტს. სასურველია თუ ასეთი საქმიანობა ჩატარდება ბიზნეს გეგმის დამუშავების ეტაპზე და შედეგები შევა ბიზნეს გეგმაში.

ლიტერატურა

1. ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება. ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე, ნ. გრძელიშვილი. თბ. 2010 წ. 393 გვ.
2. Конкуренция и Конкурентоспособность. Т.Г. Философова В.А. Выков МОСКВА 2007 „ЮНИТИ'' 271ст.
3. ბიზნესის (ფირმის) ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები. გულნაზ ერქომაიშვილი. თბილისი. 2010. გვ.364
4. Martin Gorrod. (2004). Risk Management Systems. Process, Technology and Trends. PALGRAVE MACMILLAN. Houndmills, Basingstoke, Hampshire RG21 6XS and 175 Fifth Avenue, New York, N.Y. 10010. Companies and representatives throughout the world. 63. Пустовалова Т.А. (2010).
5. Построение модели оценки кредитного риска кре-дитного портфеля коммерческого банка (на основе методологии VAR). Научные доклады, № 2 (R)–2010. СПб.: ВШМ СПбГУ
6. Bolch G., Greiner S., De Meer H., Trivedi K. (1998). Queueing Networks and Markov Chains, Modeling and Performance Evaluation with Computer Science Application. John Wiley & Sons. USA.
7. Jensen K., Kristensen M.L., Wells L. (2007). Coloured Petri Nets and CPN Tools for Modelling and Validation of Concurrent Systems. University of Aarhus. Denmark

Formalized model of purposeful functioning of business projects

Kurdadze M .; Gardabhadze T, Gardabkhadze M
Georgian Technical University

The work deals with the tasks of effective functioning of business projects, analysis of subsequent development and research process. The recommendations are based on the basic aspects of the purposeful functioning. The ways of rational solutions are examined, which reflects the impact of environmental factors, the purpose of determining their negative (interference) and contributing effects. At the same time analyzing the internal characteristics of business activities to determine how they can deal with the threat posed by the environment, or rationally use possible "assistance". In order to conduct such an analysis, the paper discusses a different group of environmental factors: economic factors, political factors, market factors, competitive factors, technological factors, social factors, and international factors. Each of them separately involves relevant components that affect various types of business. In the same way - a number of aspects of the internal characteristics of business are presented as components and component components.

The work is focused on one of the directions of improvement of business management structure. In particular, the completion of the linear-functional structure of the current management with a target group that is created by the business of companies and the management of the problem caused by unexpected surprise, after which it will fall apart. The structural scheme of such a system, the mechanism of proper functioning and the base option of their mathematical model is given. The results are discussed and the results are - the possibility of creating a target group for the purpose of preventing the problem and the mathematical model of such structure and functioning mechanism. It is noted that the crisis situation is not a separate, independent problem. It is one of the most difficult features of business functioning. Its complexity is primarily expressed in the complexity of the combination of possible combinations of internal and external factors participating in the problem. Secondly, the problem with the unwanted impact is the activity of the main objective. Its regulation and management must be intentionally managed at a moderate level of management. I think it is advisable to have a problem-solving process to carry out the problem-targeted group created by business-companies, which will be a rational approach to systematic analysis of the situation. To this end, the paper deals with a mathematical model of problem-targeting structure and functioning mechanism, in case of certain information (baseline). While this may lead to some changes in the organizational structure of the management, but the problematic-target management structures that have been successful are successfully working in the functioning space of the market environment and are rapidly introduced.

ავარიულ–დეფორმირებული ნაგებობების აღდგენა–რეკონსტრუქციის პროექტირების ორგანიზაციის გაუმჯობესების პრობლემები და დაპროექტების მეთოდოლოგია ქ. თბილისის მაგალითზე

ლაშა სამხარაძე
თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია

ნაშრომში გადმოცემულია ავარიულ-დეფორმირებული საცხოვრებელი შენობების აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტირების ორგანიზაციის გაუმჯობესების პრობლემები, ავარიულ-დეფორმირებული ნაგებობების გამოკვლევა და მათი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების კლასიფიკაცია ქალაქ თბილისის მაგალითზე. ასევე ავარიულ-დეფორმირებული ნაგებობების დაპროექტების მეთოდოლოგია.

საკვანძო სიტყვები: *ავარიული ნაგებობა; აღდგენა; რეკონსტრუქცია; დაპროექტება.*

მიუხედავად ბოლო ხანებში გატარებული ღონისძიებებისა, თბილისის საცხოვრებელი შენობების დიდი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობა მდგრადობის თვალსაზრისით კვლავ უკიდურესად არადამაკმაყოფილებელია. ამ ნაგებობათა სიძველის, აგრეთვე პროექტირებასა და მშენებლობაში დაშვებული წუნისა და შეცდომების გამო, შენობა-ნაგებობათა მნიშვნელოვანი ნაწილი იმდენად ავარიულია, რომ მოსალოდნელია მზიდი კონსტრუქციული ელემენტების უეცარი დაშლა. ბოლო ხანებში ქ. თბილისში დაფიქსირებულია რიგი ფაქტები საცხოვრებელი შენობების უეცარი ჩამოქცევისა, მათ შორის ადამიანთა მსხვერპლითაც კი.

საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების ტექნიკური გამოკვლევების მონაცემებით თბილისში აღრიცხულია ათასზე მეტი დრომოჭმული და მთლიანად ამორტიზებული საცხოვრებელი სახლი, რომლებიც აღდგენას აღარ ექვემდებარება, რის გამოც გათვალისწინებულია მეთი დაშლა. გარდა ამისა, აღრიცხულია ავარიულობის სხვადასხვა სტადიაში მყოფი ორი ათასამდე საცხოვრებელი სახლი, რომელთა შორის ასზე მეტი იმდენად ავარიულია, რომ მათსი ცხოვრება დაუშვებელია მოსალოდნელი საფრთხის გამო. ტექნიკური მდგომარეობის თვალსაზრისით ექსტრემალური ზომების გატარებას ითხოვს უმეტეს შემთხვევაში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლისები, რომლებმაც დეფორმაციის დასაშვებ ნორმებს უკვე კარგა ხანია გადააჭარბეს. დღეისათვის, მარტო ვარკეთილის მასივის ტერიტორიაზე 123-ზე მეტი საცხოვრებელი კორპუსი იმყოფება ავარიულობის სხვადასხვა სტადიაში, მათგან 36-ში ძირითადი კონსტრუქციული ელემენტები იმდენად დაზიანებულია, რომ მოსალოდნელია მათი უეცარი წაქცევა.

საბურთალოს რაიონშიც შედარებით გვიან გაშენებული სახლებია, მაგრამ მიუხედავად ამისა ისინი მაინც მასიურად არიან დაზიანებული. ზოგიერთი მათგანის დეფორმაციები გამოწვეულია მეტროპოლიტენის გვირაბის ვიბრაციებითა და ფუზე-საძირკვლების გაწყლიანებით.

რაც შეხება ჩუღურეთის რაიონს, აქ სახლების უმეტესი ნაწილი ძველია და დრომოჭმული. ამასთან ზოგიერთის ფიზიკური ცვეთა იმდენად დიდია, რომ აღდგენას არ ექვემდებარება.

ნაძალადევის რაიონში სერიოზულად დაზიანებულია მზიდი კონსტრუქციული ელემენტები მრავალსართულიან შენობებში, სადაც ფუძე-საძირკვლების შესველების გამო შენობებმა განიცადა არათანაბარი ჯდენები, რის შედეგადაც კედლებში დარღვეულია შეჭიდულობა და მდგრადობა.

ანალოგიური საშიში მდგომარეობაა კრწანისის რაიონში. დაშლის პირასაა მისული მრავალი საცხოვრებელი შენობა. ქუჩის და ეზოების წყალგამტარი კომუნიკაციების უვარგისობა ბევრად აჩქარებს მათი დაშლის პროცესს. ამავე მიზეზით საშიშ მდგომარეობაშია მთაწმინდის რაიონის მრავალი შენობა. მთაწმინდის და კრწანისის რაიონებში თითქმის არც ერთი სახლი არ არის, მათ შორის ისტორიული მნიშვნელობისაც, რომ არ ჰქონდეს ბზარები და დეფორმაციის ნიშნები. ყველა სახლი საჭიროებს დროულ პროფიალქტიკურ რეკონსტრუქციას, რათა არ გახდეს ავარიული.

ფუძე-საძირკვლების დასველების ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე საკანალიზაციო ქსელი, რომლის უმეტესი ნაწილი ამორტიზებულია, განსაკუთრებით კი საცხოვრებელი სახლების ეზოებში. ახალი განაშენიანების რაიონებშიც კანალიზაციის ქსელები ეწყობოდა დიდი ხარვეზებითა და სამშენებლო ნორმებისა და წესების უხეში დარღვევით. გარდა ამისა, მდ. მტკვარზე ჯებირებისა და თბილისის ზღვის წყაკლსაცავის მოწყობისას მღელი რიგი ფაქტორების გაუთვალისწინებლობის გამო ქალაქში გრუნტის წყლების დონემ მნიშვნელოვნად აიწია, რაც იწვევს სარდაფების დიდი რაოდენობით დატბორვისა და ფუძე-საძირკვლების დასველებას. გასაგებია, რომ წყალგამტარი კომუნიკაციების წესრიგში მოყვანის გარეშე ავარიულობის სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარება არაეფექტურია და იგი დროებით ხასიათს ატარებს.

ავარიულ-დეფორმირებული საცხოვრებელი შენობების აღდგენა-რეკონსტრუქციის საქმეში არსებულ სირთულეებს ემატება პრობლემაც, რომელიც წარმოიშვა ამ ათიოდე წლის წინ საცხოვრებელ შენობებზე ლოჯიების მასობრივად მიშენება-დაშენების შედეგად. საქმე იმაშია, რომ აღნიშნული სახის მშებნებლობა ხშირ შემთხვევაში ხორციელდებოდა (უპროექტოდაც კი) არაკომპეტენტური პიროვნებებისა და ორგანიზაციების მიერ. ამიტომ მშენებლობის დროს უგულველყოფილი იყო სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული მოთხოვნები. ამსი შედეგად, გარდა იმისა, რომ დამახინჯდა არსებულ შენობა-ნაგებობათა ფასადები, შეიქმნა საშიშროება მათი ჩამონგრევისა. კომპეტენტურ სპეციალისტთა ჯგუფის დასკვნით მშენებარე ლოჯიების 95% ავარიულია. მათ შორის 70% საერთოდ არ ექვემდებარება გამაგრებას და საჭიროებს დაშლას.

ამრიგად დეფორმირებული საცხოვრებელი შენობების გამოკვლევა და მათი ავარიულობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესწავლა გვიჩვენებს, რომ აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტირების ორგანიზაციის გაუმჯობესებას მრავალმხრივი არაორდინალური მიდგომა ესაჭიროება. ასეი მიდგომების ერთ-ერთ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს ავარიული სახლების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების პრაქტიკაში ოპტიმალუტი საპროექტო გადაწყვეტილებების გამოვლენისატვის ტენდერის დანერგვა.

ქ. თბილისში აღდგენით-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების მიზნით შექმნილია სპეციალიზებული გაერთიანებები, მუნიციპალური ლაბორატორია და ფირმები. საცხოვრებელი შენობები აღდგენა-რეკონსტრუქციის პროექტირებასა და მათი განხორციელების გამოცდილების დაგროვებიასთან ერთად ასეთი ტიპის პროექტები გასაწყვეტის თვალსაზრისით სულ უფრო სრულყოფილი ხდება, მაღლდება აღდგენით-სამშენებლო სამუშაოების ინდუსტრიალიზაციის დონე. რეკონსტრუქციის ჩატარებისას სულ უფრო მეტად გამოიყენება ტიპიური ნაკეთობანი, რომლებსაც აწარმოებენ სამშენებლო ინდუსტრიის ქარხნები ახალი შენობებისათვის: გადახურვის რკინაბეტონის ტიპიური ანაკრები ფილები, მსხვილპანელიანი თაბასირ-ბეტონის ტიხრები, ინდუსტრიული ანაკრები ფირფიტოვანი ტიხრები ლითონის კარკასებისავის, ანაკრები სანიტარულ-ტექნიკური კაბინები, რომლებიც ქარხნული წესითაა დამზადებული, ანაკრები რკინაბეტონის ტიუბინგები ლიფტების შახტებისათვის, ტიპიური სადურგლო ნაკენაკეთობანი [1-4].

სარეაბილიტაციო-სამშენებლო წარმოების, როგორც სახალხო მეურნეობის დამოუკიდებელი დარგის ჩამოყალიბების პროცესი, მიმდინარეობს მისი ეფექტურობის ამაღლების გზების ძიებით არქიტექტურულ-კონსტრუქციული, სივრცულ-გეგმარებითი და ორგანიზაციულ-ტექნოლოგიურ გადაწყვეტათა სრულყოფის საფუძველზე . სპეციალისტები თანდათან მიდიან ამ დასკვნამდე, რომ ურთულეს განაშენიანებაში სამოქალაქო შენობების რეკონსტრუქცია-აღდგენა ცალკეული ნასგებობების სახით არ იძლევა საშუალებას განხორციელდეს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები პროგრესული მეთჳდებით, ხელს უშლიან რაციონალურ ინჟინრულ გადაწყვეტილებებს და მშენებლობის წარმოების ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდებს.

პირველად სანქტ-პეტერბურგში განხორცლიედა საცხოვრებელი განაშენიანების რეკონსტრუქცია ჯგუფური მეთოდით, რომლის ეფექტურობას აქვს სამი ასპექტი: ქალაქმშენებლობის, სოციალური და ეკონომიკური.

ჯგუფური მეთოდით ქალაქმშენებლობის ასპექტის ეფექტურობა განპირობებულია იმით, რომ ნაკლებად ღირებული ნაგებობების დანგრევის მოცულობის გაზრდის გარეშე ეზოების რიცხვი იზრდება 2÷3-ჯერ, რაც საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილი იყოს სარეკონსტრუქციო შენობების ეზოებისაკენ მიმართული სათავსოების ნორმასთან დაახლოებული ბუნებრივი განათება. იმ მოსაზღვრე შენობების გეგმარებითი გაერთიანება, რომლებსაც აქვთ სართულების დაახლოებით ერთნაირი ნიშნულები და რომელიც მიღებულია ჯგუფური მეთოდის გამოყენებისას, საშუალებას იძლევა შევამციროთ იმ ბინების წილი 10÷15%-ით, რომლებიც ორიენტირებულია ჰორიზონტის არახელსაყრელ მხარეზე.

ჯგუფური მეთოდის სოციალური ასპექტის ეფექტურობა მდგომარეობს იმაში, რომ უმჯობესდებამსხვილი ქალაქმშენებლობითი ფორმირებების ინფრასტრუქტურე. ჩნდება იმისი შესაძლებლობა, რომ სარეკონსტრუქციო შენობების არასაცხოვრებელ სართულებზე განლაგდეს სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები. განაშენიანების სიმჭიდროვის შემცირების შედეგად იქმნება იმისა შესაძლებლობა, რომ სარეკონსტრუქციო კვარტალებში და მიკრორაიონებში აშენდეს სოციალურ-ყოფითი დანიშნულების ახალი შენობები.

ჯგუფური მეთოდით რეკონსტრუქციის ეკოპნომიკური ასპექტის ეფექტურობა ყალიბდება საქალაქო ტერიტორეიბის გამოყენების ინტენსიურობის გაზრდითა და მათი კონცენტრაციისგამო რესურსების ეკონომიით. რეკონსტრუქციის ჯგუფური მეთოდის გამოყენების დროს დაახლოებით 2.5-ჯერ მცირდება საინჟინრო კომუნიკაციების მიერთების რიცხვი მაგისტრალურ ქსელებთან, ჩნდება მათი ოპტიმალური ტრასირების, საქვაბეების რაციიონალლური განაწილებისა და სატრანსფორმატორო ქვესადგურების უკეთ მოწყობის შესაძლებლობა.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ჯგუფური მეთოდით რეკონსტრქუციის განხორციელების დროს იქმნება ერთიანი სამშენებლო მოედანი, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ მივაღწიოთ მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების ეკონომიას დროებითი შენობა-ნაგებობების მოსაწყობად და მივიღოთ საუკეთესო ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები. გარდა ამისა, ჯგუფური მეთოდის გამოყენებისას მნიშვნელოვნად მსაღლდება სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება იმ ფართის დაახლოებით სამჯერ შემცირებით, რომელიც შეიძლება მოხვდეს საშიშ ზონაში.
ჯგუფური მეთოდით შენობების რეკონსტრუქცია წარმატებით განხორციელდა მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, კიევისა და ვოლგოგრადის მთელ რიგ რაიონებში.

ამ ჟამად არსებული საქალაქო სტრუქტურების შენარჩუნების საკითხი ადრე გაშენებული სახლების გაუმჯობესებასთან ერთად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მრავალი ქვეყნის სამოქალაქო მშენებლობის პროგრამებში. ამ საკითხებს ეძღვნება მრავალრიცხოვანი საერთაშორისო კონფერენციები, სიმპოზიუმები და

სემინარები, რომელსაც ატარებს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კომიტეტი საცხოვრებელი პირობების, მშენებლობისა და ქალაქმშენებლობის საკითხებთან დაკავშირებით. ამ ღონისძიების შედეგად გამოვლენილია მრავალრიცხოვანი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების რეკონსტრუქციის განხორციელებასთან.

უკანასკნელ წლებში უფრო მეტად ვრცელდება არსებული შენობების პირველყოფილი სახით აღდგენის ტენდენცია. ეს ეხება არა მარტო არქიტექტურულ და ისტორიულ ძეგლებს, რომლებსაც აქვთ დიდი ღირებულება, არამედ ძველი განაშენიანების რიგით შენობებსაც, რომლებიც აშენებულია რა ტრადიციული წესით, წარმოადგენენ ქალაქის მნიშვნელოვან ელემენტებს [5].

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შენობების რეკონსტრუქციის ყველაზე მეტი გამოცდილება დაგროვდა გერმანიაში.

გერმანიაში განხორციელებულ საქალაქო განაშენიანების სარეკონსტრუქციო ღონისძიებების მნიშვნელობა იმაშია, რომ ეს სამუშაოებითავიდანვე შემოფარგლული იყო არა ცალკეული შენობების კაპიტალური რემონტით, რეკონსტრუქციითა და რესტავრაციით, არამედ მოიცავდნენ ქალაქის მთელ რაიონებს. ძველი განაშენიანების კომპლექსური რესტავრაციისდ მაგალითად გამოდგება არმინპლაცის მოედანი ბერლინში. იმ ტექნიკური გადაწყვეტილებების მაგალითად, რომელიც ეფუძნა სამუშაოთა წარმოების ინდუსტრიული მეთოდების გამოყენებას, გამოდგება ქალაქ გრეისვალდის რეკონსტრუირებული ცენტრალური მოედანი, რომელიც აგებულია XII საუკუნეში. რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის დამუშავებისას რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის დამუშავებისას შესაძლებელი გახდა ახალი და ძველი განაშენიანების ჰარმონიული შერწყმა.

ანაკრები კონსტრუქციებით მშენებლობის წარმოების საკმაოდ მკაცრ პირობებში მიღწეული იყო განაშენიანების კარგი არქიტექტურული ხარისხი ფასადების ინდივიდუალური გადაწყვეტის ხარჯზე, მათი რაციონალური დაყოფა ვერტიკალისა და ჰორიზანტალის მიხედვით, ფასადების მოპირკეთება კერამიკული ნაკეთობებისა და წყალმედეგი საღებავების ფართოდ გამოყენებით. რეკონსტრუქციის შედეგები ცხადყოფენ, რომ გარკვეულ პირობებში შესაძლებელია ინდუსტრიული ტექნიკური გადაწყვეტილებების გამოყენება თანამედროვე გარემოს შესაქმნელად ძველი ქალაქების ისტორიულ ცენტრებში მათი გარეგნული იერსახის დარღვევის გარეშე [6].

სამოქალაქო შენობების გამორჩევით რეკონსტრქუციას ადგილი აქვს ავსტრიაში, ნიდერლანდებში, შვეიცარიაში, ბერლგიაში, საფრანგეთში და აშშ-ში.

პროექტირების სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია ძირითადი საცხოვრებელი ფონდისს ყოველმხრივი შესწავლა, მისი სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია არქიტექტურული, კონსტრუქციული ქალაქმშენებლური თავისებურებების მიხედვით. ასეთი გამოკვლევები საშუალებას იძლევიან მივიღოთ საკმაოდ სრული საწყისი მასალა

საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისა და რეკონსტრუქციის დაპროექტებისათვის რეგიონების, ქალაქების და რაიონების დონეზე [7-8].

საცხოვრებელი შენობების უწყვეტი გამოკვლევის ასეთი მონაცემები წარმოადგენს საინფორმაციო საფუძველს საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისა და რეკონსტრუქციის დაგეგმვისათვის ხანგრძლივ პერსპექტივაში.

დასკვნა

საცხოვრებელი შენობის რეკონსტრუქციის პროქტირებისა და განხორციელების ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის გამოცდილების განზოგადება და ანალიზი გვიჩვენებს

საპროექტო და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების მოცულობისა და სირთულის განუხრელ ზრდას. საცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქციის პროექტირების სისტემის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების აუცილებლობამ განაპირობა რესურსების დამზოგავი საპროექტო გადაწყვეტილებების ძიება.

გამოყენებული ლიტერატურა

[1] Колотилин В.Н. Долговечность жилых зданий. *МИСИ, Москва, 1965.*
[2] Кумуков В.Н. Реконструкция зданий. *Высшая школа, Москва, 1981.*
[3] Соколов В.К. Реконструкция жилых зданий. *Московский рабочий, Москва, 1982.*
[4] Шумилов М.С. Гражданские здания и их техническая эксплуатация. *Высшая школа, Москва, 1987.*
[5] ხმელიძე თამაზ, ყიფიანი გელა, ხმელიძე კახაბერ, ვანიშვილი თამუნა. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები. *გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2018.*
[6] ჭანტურია ა. მშენებლობის ორგანიზაცია, დაგეგმვა და მართვა. *განათლება, თბილისი, 1986*
[7] Мушечек В.В., Ройтман А.Г. Капитальный ремонт, модернизация и реконструкция жилых зданий. *СИ. Москва, 1987.*
[8] ბედიაშვილი მალხაზ, ყიფიანი გელა, მიწისძვრისაგან დაცვის სეისმოსაიზოლაციო საშუალებები და დანერგვის პერსპექტივები საქართველოში. *გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2018.*

Problems of improvement of restoration-reconstruction organization of planning of dangerous-deformed structures and planning methodology on example of Tbilisi city

Lasha Samkharadze
Tbilisi Municipal Laboratory

Abstract: The problem of improvement of restoration-reconstruction organization of planning of dangerous-deformed residential buildings, examination of mode of deformation of buildings and classification of their technical-economic indicators are stated on the example of Tbilisi city. As well as methodology for planning of damaged-deformed structures.

საქართველოს უნდა დავუბრუნოთ კუთვნილი ისტორია[1]

გურგენ კოხრეიძე
მხატვარი-გრაფიკოსი

სალაპარაკო ენა, დამწერლობა და რიცხვი ცივილიზებული კაცობრიობის არსებობის და მოღვაწეობის ერთერთი უმთავრესი მამოძრავებელია. ენა, დამწერლობა და რიცხვი, არა მარტო საურთიერთობო საშუალება იყო და არის, არამედ ადამიანის ისტორიის მეხსიერების დასასაბუთებელი საშუალებაა. ეს კომპონენტები განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს მანძილზე და დროში, მით უმეტეს, როცა ისტორიული თარიღის გარკვევაა საჭირო. თუ ენა, დამწერლობა და რიცხვი არ იარსებებდა, ისტორიაც მკვდარი იქნებოდა. კაცობრიობის ისტორიაში მრავალი ერი მხოლოდ წერილობითი ძეგლებით არის ცნობილი და შუმერული ცივილიზაციის უცოდინარობის შემთხვევაში, შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რა ღარიბი იქნებოდა კაცობრიობის კულტურული მონაპოვარი.

ქართველი ერი ცოცხალია და მისი ისტორიის რაღაც ნაწილიც სახეზეა, მაგრამ ეს, როგორც ამას მეცნიერის გონი ხედავს, დიდი ოკეანის წვეთიც კი არ არის. პავლე ინგოროყვამ სინანულით შენიშნა, რომ ყველაზე ცუდად ქართველებმა იციან თავისი ისტორია. სამწუხაროდ, სულ ცოტა - 50-60 წლის წინ, ის რაც ვიცოდით და გვქონდა, ისიც უსაზმნოდ და უკუღმა შემოვაბრუნეთ. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დროს დადგენილი ქართული დამწერლობითი ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობები (ცხრილი 1 და 2) შეიცვალა (ცხრილი 3) და ამ მოქმედებამ ყირაზე დააყენა ისტორიული მეხსიერების დათარიღება. 1-ელ ორ ცხრილში ნაჩვენები მონაცემების გარდა არსებობს დამადასტურებელი მასალა ქართულ დამწერლობით ძეგლებში, მაგრამ ერთერთი მთავარი მტკიცება, იმისა რომ ქართული დამწერლობის ადრეული ცნობილი რიცხვითი მნიშვნელობები სწორია, ამ სადაო და საჭირბოროტო საკითხზე ამ სტატიის ავტორის მიერ გამოკვლეული იძლევა არა უბრალოდ წარმოდგენას, არამედ სრულფასოვან ახსნას. მიუხედავად იმისა, ზოგი ქართველი მეცნიერი აცხადებს, რომ იოანე ზოსიმეს წერილი გაშიფრულია, ძალზე რთულია დარწმუნებით იმის თქმა, თუ რა ჰქონდა მხედველობაში ქართველთა ამ დიდებულ ერთ-ერთ წინაპარს, მაგრამ ქართული დამწერლობის და საერთოდ, მსოფლიოს ხალხთა დამწერლობების (ახლა უკვე დარწმუნებით შეიძლება თქმა. მხედველობაშია კონსონანტური და ანბანური დამწერლობები): არმაზულის (21-ნიშნიანი), 29-ნიშნიანის, ფინიკიურის (22-ნიშნიანი), ქართული ასომთავრულის (37+1+1-ნიშნიანი) და სხვათა შექმნის საიდუმლო ამოიხსნა, შეიძლება დავუშვათ, რომ იოანე ზოსიმეს სხვა აზრთან ერთად, ქართული დამწერლობის შექმნის საიდუმლოც ჰქონდა მხედველობაში, რის შესახებ მოიარებით და კანტიკუნტად ბერძნული ისტორიული წყაროებიც მიუთითებენ, რომ კოლხებს დამწერლობა აქვთ და მას საიდუმლოდ ინახავენ.

ეს მწირი ცნობები საფუძველს არ ყოფილა მოკლებული და ამის დასტური არმაზული და ქართული ასომთავრული დამწერლობა აღმოჩნდა, რომელთა, აგრეთვე ფინიკიური და ხმელთაშუა ზღვის აუზის დამწერლობების საშუალებით ქართულ ორ

[1] კონფერენციის თავმჯდომარის წარდგენით კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მხატვრის თვალით დანახული დამწერლობითი ნიშნების შექმნის, მათი რიცხვითი მნიშვნელობისა და სიტყვის შედგენის საიდუმლოს შესახებ მოხსენება, რომელიც მიუხედავად სრულიად განსხვავებული თემისა, იბეჭდება კონფერენციის მასალების კრებულში.

დამწერლობას (არმაზულს და ასომთავრულს) შორის არსებული კიდევ ერთი დიდი საფეხური, უცნობი 29-ნიშნიანი ანბანური დამწერლობა იქნა აღმოჩენილი და დადგენილი, რომელიც ლეონტი მროველის ცნობის და ამ სტატიის ავტორის მიერ გამოკვლეული ფაქტიური მასალის მიხედვით ძვ. წ. ა. 1812 წელს უნდა იყოს შექმნილი. ქართული დამწერლობითი ნიშნების ბოლო დროს აღრეული რიცხვითი მნიშვნელობების გამო, რამაც დათარიღებაში მრავალი აბსურდი გამოიწვია, ლეონტი მროველს, რომელმაც კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით მოიხადა ვალი ისტორიის და ქართველი ერის წინაშე, არასანდო რეპუტაციაც კი მიეკერა. იმედია, აი ეს - 29-ნიშნიანი დამწერლობა იქნება გრაკლიანის გორაზე ვახტანგ ლიჩელის მიერ აღმოჩენილი დამწერლობითი ნიშნები, აგრეთვე სამტრედიის რაიონში სოფ. დაბლაგომში აღმოჩენილი წერლობითი ნიშნები (სამწუხაროდ საშუალება არ გვაქვს ახლოს გავეცნოთ ამ ძეგლებს, რომ იქნებ დადგენილიყო ამ დამწერლობითი ნიშნების მნიშვნელობები).

სტატიის ავტორის მიერ მოძიებული მონაცემები, ხელახლა აღმოჩენილი კანონზომიერება და დამწერლობითი ნიშნების აღდგენილი ხაზულობები, იძლევა იმის საშუალებას, რომ ძვ. წ. ა. XI – X საუკუნით დათარიღებული გრაკლიანის და აგრეთვე, დაბლაგომის ძეგლის წერილობითი ნიშნები შეპირისპირდეს და დადასტურდეს, რომ აღმოჩენილი (როგორც ვ. ლიჩელი მიიჩნევს, აქ მოპოვებული ორი სხვადასხვა დამწერლობაა) მიეკუთვნება უფრო ადრეულ არმაზულ 21-ნიშნიან და არმაზულის შთამომავალ 29-ნიშნიან დამწერლობას.

მსოფლიოს 1-ელი საოცრება

როგორ არის შექმნილი რიცხვითი და დამწერლობითი ნიშნები?

ამ კითხვაზე პასუხი უკვე 10 წელზე მეტია არსებობს, მაგრამ აღმოჩენილის დაზუსტების და ყოველგვარი შეცდომის თავიდან აცილების მიზნით თავს ვიკავებდით. ახლა კი როცა დასმულ კითხვებზე პასუხი გაცემულია და ნათელი გახდა ის, რაც ადრე მცირედ მაინც იყო საეჭვო, შეიძლება საზოგადოება გაეცნოს მას და გამოთქვას აზრი.

როგორც მეცნიერულ სამყაროშია ცნობილი, დამწერლობითი ნიშნების შექმნა ფინიკიელებს მიეწერებათ და შექმნის მიახლოებით თარიღად ძვ. წ. ა. 2000 წელი ითვლება. მაგრამ როგორც გამოკვლევამ აჩვენა, ფინიკიელები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს იმ დამწერლობითი ნიშნების შემქმნელებად, რომლებითაც ისინი სარგებლობდნენ. მათ მხოლოდ და მხოლოდ გადაიღეს უკვე შექმნილი დამწერლობითი ნიშნები და იყენებდნენ თავისი ენის სპეციფიკის მიხედვით. ცნობილი ისტორიული ფაქტის თანახმად, პირველნი ბიბლები იყვნენ (ქალაქ გუბლის მცხოვრებნი), რომელთაც ეს დამწერლობითი ნიშნები გამოიყენეს სხვა დამწერლობითი სისტემის ნიშნებთან - (ამ სტატიის ავტორის მოსაზრებით) ეგვიპტურ იეროგლიფურ და კვიპროს-მიკენურ ხაზოვან ნიშნებთან ერთად და რომელიც ბიბლური მარცვლოვანი დამწერლობის სახელით არის ცნობილი. შემდეგ კი, როცა ფინიკიელები 22 დამწერლობით ნიშანს იყენებდნენ, ცნობილია ფინიკიური კონსონანტური დამწერლობის სახელით. ფინიკიური კონსონანტური დამწერლობის შემადგენელი 22-ნიშნიდან ბიბლურ მარცვლოვან დამწერლობაში 18 ნიშანია დადასტურებული, რომლებიც მორის დიუნანმა გამოყო ბიბლური დამწერლობითი სისტემის ნიშნებისგან. ე. ი. ბიბლურ დამწერლობაში უცნობია ფინიკიური დამწერლობის ოთხი, უფრო სწორად ხუთი ნიშანი. აი ეს ნიშნები ადგილის მიხედვით ფინიკიური დამწერლობის ნიშნების რიგში: მე-5, მე-8, მე-12 და მე-19 ნიშნის ორი გრაფიკული სახეობა.

ცხრილი 1 ქართული დამწერლობითი ნიშნების ადრე ცნობილი რიცხვითი მნიშვნელობები

ცხრილი 2. ქართული დამწერლობითი ნიშნების ადრე ცნობილი რიცხვითი მნიშვნელობები

	Славянское		Китайское			Греческое	Арабское	Грузинское	Египетское		Римское	Цифры племени Майя
	Кирилицей	Глаголицей	Старое	Коммерческое	Научное				Иероглифы	Иератическое		
0				○	○							
1	ѧ	✚	一	𠆢	𝍠	ᾱ	ا	ა	𓏺	𓏺	I	•
2	ѥ	ⰻ	二	𠆢𠆢	𝍠𝍠	β̄	ب	ბ	𓏺𓏺	𓏺𓏺	II	••
3	ѓ	ⰲ	三	𠆢𠆢𠆢	𝍠𝍠𝍠	γ̄	ج	გ	𓏺𓏺𓏺	𓏺𓏺𓏺	III	•••
4	ѧ̈	ⰴ	四	𝍠	𝍠𝍠𝍠𝍠	δ̄	د	დ	𓏺𓏺𓏺𓏺	𓏺𓏺𓏺𓏺	IV	••••
5	ѕ	ⰵ	五	𝍠	𝍠𝍠𝍠𝍠𝍠	ε̄	ه	ე	𓏺𓏺𓏺𓏺𓏺	𓏺𓏺𓏺𓏺𓏺	V	—
6	ꙁ	ⰶ	六	𝍠	𝍠	ϛ̄	و	ვ	𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺	𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺	VI	— •
7	ꙁ́	ⰷ	七	𝍠	𝍠𝍠	ζ̄	ز	ზ	𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺	𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺	VII	— ••
8	ѩ	ⰸ	八	𝍠	𝍠𝍠𝍠	η̄	ح	ჱ	𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺	𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺	VIII	— •••
9	ѳ	ⰹ	九	𝍠	𝍠𝍠𝍠	θ̄	ط	თ	𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺	𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺𓏺	IX	— ••••
10	ї	ⰺ	十	𝍠	IO	ῑ	ي	ი	𓎆	𓎆	X	=
20	ќ	ⰸ	廿	𝍠	IIO	κ̄	ك	ჲ	𓎆𓎆	𓎆𓎆	XX	
30	ѯ	ⰾ	卅	𝍠	IIIO	λ̄	ل	ლ	𓎆𓎆𓎆	𓎆𓎆𓎆	XX :	
100	ҁ	ⰱ	百	𝍠	IOO	ρ̄	ق	რ	𓍢	𓆐	C	
1000	ѧ̀	ⰲ	千	𝍠	IOOO	͵α	غ	ს	𓆼	𓆼	M	

ზემოთ მოხსენებული აზრი იმის შესახებ, რომ „ფინიკიელები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს დამწერლობითი ნიშნების შემქმნელებად“ (როგორც პალეოგრაფიულმა მეცნიერებამ იცის - ამ დამწერლობითი ნიშნებით პირველები ბიბლები სარგებლობდნენ მარცვლოვან დამწერლობაში, ხოლო შემდეგ ფინიკიელები იყენებდნენ კონსონანტურ დამწერლობაში), ადასტურებს ერთი გარემოება და ყურადღება მივაქციოთ კერძოდ იმას, რომ - ფინიკიური დამწერლობის მე-19 ნიშნის ორი გრაფიკული სახეობა: 1) ადრეული ანუ ძვ .წ. ა. XV საუკუნიდან ცნობილი ნიშანი  ქოფ/qoph და 2) ძვ. წ. ა. X – IX საუკუნიდან ცნობილი ნიშანი  ქოფ/qoph არ გამოიყენებოდა ბიბლურ დამწერლობაში.

ცხრილი 3. ქართული დამწერლობითი ნიშნების ახლა ცნობილი რიცხვითი მნიშვნელობები

1	2	3	4	5	1	2	3	4	5
			a	1				s	200
			b	2				ṭ	300
			g	3				y	
			d	4				u	400
			e	5				p	500
			v	6				k	600
			z	7				ɣ	700
			e	8				ʒ	800
			t	9				ṡ	900
			i	10				ċ	1000
			ḳ	20				c	2000
			l	30				ǯ	3000
			m	40				ç	4000
			n	50				ǯ	5000
			j	60				x	6000
			o	70				q	7000
			p	80				ǯ	8000
			ż	90				h	9000
			r	100				ω	10000

ფინიკიური მე-19 ნიშანი, უფრო სწორად - ორი სხვადასხვა ნიშანი, რომლებიც ფინიკიურ დამწერლობაში ერთი მნიშვნელობით იხმარებოდა, სტატიის ავტორის მიერ აღდგენილი კანონზომიერების თანახმად, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დასმული მე-19 ადგილზე დამწერლობითი ნიშნების რიგში, იმიტომ რომ, როგორც ნათქვამი იყო, 1-ელი - ფინიკიურ დამწერლობაში ორი ნიშანი ერთი მნიშვნელობით ქოფ/qoph იხმარებოდა და მე-2 - ეს ე. წ. ფინიკიური მე-19 ნიშნის ორი გრაფიკული სახეობა ორ გრაფიკულ ნიშნად და ორი ბგერითი მნიშვნელობით: 1)  ქ/q და 2) ფ/ph არის გაყოფილი ხმელთაშუა ზღვის აუზის დამწერლობებში: ბერძნულში, პროტო-ტირენულში და ეტრუსკულში ანუ დაბრუნებული აქვთ თავდაპირველი ბგერითი მნიშვნელობები და ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ თვით ფინიკიურ დამწერლობაში ამ ორი ნიშნის სახელი ამოიკითხება მნიშვნელობით „ქ“-ო-„ფ“/„q“-ი-„ph“, რაც შესაძლოა შემთხვევითიც არ არის. ამავე ბგერითი მნიშვნელობით უნდა გამოყენებულიყო ეს ნიშნები 29-ნიშნიან ქართულ დამწერლობაში, მანამ სანამ ქართული ასომთავრული დამწერლობა შეიქმნებოდა (21-ნიშნიანი მარცვლოვანი დამწერლობა შეიცვალა 29-ნიშნიანი ანბანური დამწერლობით). 23-ე ნიშანს ფინიკიურში და ქართულ ასომთავრულში ცალ-ცალკე აქვთ გარდაქმნილი ხაზულობა, მაგრამ ძირითადი კონსტრუქცია ორივეგან შენარჩუნებულია. 24-ე ნიშანს აგებულება არ შეცვლია: ქართულ ასომთავრულში, ფინიკიურში და შემდეგ ბერძნულში, იგი მხოლოდ მომრგვალებულია. ამ ნიშანს არც ბგერითი მნიშვნელობა შეცვლია ქართულ ასომთავრულში და ბერძნულში.

ფინიკიური დამწერლობის ნიშნების რიგში, სადაც ორი ნიშანი ერთი მნიშვნელობით გამოიყენებოდა და საერთოდ, კანონზომიერად შექმნილი ნიშნების რიგის საწინააღმდეგოდ მე-19 ადგილზე იყო დასმული, ამ სტატიის ავტორის მიერ „ფინიკიური შეცდომა“ ეწოდა და მიუხედავად იმისა, რომ ხმელთაშუა ზღვის აუზის დამწერლობებში: ბერძნულში, პროტო-ტირენულში და ეტრუსკულში ფინიკიური მე-19 ნიშნის ორი სახეობა გაყოფილია ორად და დაბრუნებული აქვთ თავდაპირველი ბგერითი მნიშვნელობები, ბერძნულ კლასიკურ დამწერლობაში, სადაც უკვე დამწერლობით ნიშნებს მინიჭებული აქვთ რიცხვითი მნიშვნელობები, ნიშანი ფ/ph (ბერძნულ დამწერლობაში ფი/ph/φι) დასმულია 23-ე ადგილზე ნაცვლად 24-ე ადგილისა. ბერძნული ამ მოქმედებას „ბერძნული შეცდომა“ დაერქვა ავტორის მიერ.

ბერძნული რიცხვითი სისტემის 23-ე ნიშანი (ბერძნულ ენაში ბგერითი მნიშვნელობა ფი/ph/φι) გამოიყენებოდა რიცხვ 500 მნიშვნელობით. იგივე ნიშანი (ქართულ ენაში ბგერითი მნიშვნელობა ფარ/phar), რომელიც ქართულ ასომთავრულში 24-ე ადგილზე იდგა და რიცხვ 600 მნიშვნელობა ჰქონდა, ბოლო ხანს შეიცვალა რიცხვ 500 მნიშვნელობით, რაც ნაჩვენებია 1-ელ, მე-2 და მე-3 ცხრილში და დადასტურებულია სხვა ფაქტებითაც.

ქართულ პალეოგრაფიულ მეცნიერებაში ქართული ასომთავრულის 22-ე ნიშნის  ბგერითი უ/u (ულ/un) და რიცხვითი მნიშვნელობა 400 გადატანილ იქნა ლიგატურაზე, რომლისგანაც შემდეგ მხედრული დამწერლობის ნიშანი „უნი“ ჩამოყალიბდა  → → უ, ხოლო თვით 22-ე გრაფიკული ნიშანი უარყოფილ იქნა ზემოხსენებული მნიშვნელობებისთვის. ამავ დროს უარყოფილ იქნა 23-ე ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობა ჳ = 500, რაც 24-ე ნიშანზე გადაიწია და 22-ე და 23-ე ნიშანი ბგერა ვუჲ/vuy-ს მნიშვნელობით გაიგივდა. ე. ი. ამ ორმა ნიშანმა დაკარგა რიცხვითი მნიშვნელობები, ხოლო ამათგან 22-ე ნიშანმა ბგერითიც.

ამრიგად, ქართულ დამწერლობაში, სადაც უზადოდ არის შენახული პირველქმნილი ნიშნების რიგი, პირველადი რიცხვითი და ბგერითი მნიშვნელობები, ი. ჯავახიშვილის მოღვაწეობის პერიოდის შემდეგ დარღვეულ იქნა და აქედან კი ისტორიული ცნობების დათარიღებაში, რბილად რომ ვთქვათ, შეცდომები გამოიწვია.

ამ შეცდომის გამომწვევი მიზეზი ადრეულ პერიოდში, ასომთავრული დამწერლობის არსებობის დროიდან დაიწყო, მაშინ როცა ნამდვილი 22-ე ნიშნის უნის ბგერითი და რიცხვითი მნიშვნელობა ლიგატურაზე თანდათან გადავიდა, მაგრამ რიცხვითი მნიშვნელობების ხელოვნურ შეცვლას სხვა მიზეზიც აქვს და ეს არის ქართული დამწერლობითი ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობების უკანასკნელ ხანს მცდარ ბერძნულ რიცხვით მნიშვნელობებზე დაქვემდებარება, მაშინ როცა, სინამდვილეში, ქართული დამწერლობიდან გადაიტანეს ბერძნებმა რიცხვითი მნიშვნელობები, ისიც მცდარად. ამრიგად, ქართული დამწერლობის 23-ე რიცხვ 500 ნიშანი, იმ ბგერითი და რიცხვითი მნიშვნელობით, რომლითაც ქართულ ენაში და დამწერლობაში გამოიყენებოდა და იგი ბოლო დრომდე შემოინახა, ადრეულ ბერძნულ დამწერლობაში გამოიყენებოდა ბგერა შეცვლილი κοππα/კოპა-ს მნიშვნელობით. გარდა ამისა, ნიშანი κοππα/კოპა ადრე ბერძნულ დამწერლობების სახეობებში ფინიკიურიდან გადატანილი ფინიკიური მე-19 ნიშნის გასწვრივ არის დასმული და შემდეგ არის შეცვლილი ამ ნიშნით რიცხვ 90 გვიანი ქართული ასომთავრულის მე-18 რიცხვ 90 ნიშნის იდენტური ბერძნული მე-18 რიცხვ 90 ნიშნით ანუ ფინიკიური მე-19 ნიშნის ერთი სახეობა გადატანილია ბერძნულ რიცხვითი ნიშნების რიგში მე-18 ადგილზე, როგორც ჩანს ბერძნული κοππα/კოპა-ს ქართული ასომთავრულის რიცხვ 90 ნიშანთან გრაფიკული მსგავსების გამო და იმის გამოც, რომ ფინიკიური მე-18 ნიშან cade/ცადე-ს ბგერა ზოგ ბერძნულ დამწერლობებში საერთოდ არ იხმარებოდა, ზოგან კი ბგერა ϛαν/სან-ით იყო შეცვლილი, ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ისიც, რომ ბერძნულ დამწერლობაში (ფინიკიურ დამწერლობასთან შედარებით) ბგერა-ნიშნებია დამატებული და არ ემთხვევა ფინიკიური ნიშნების რიგს, თანაც ფინიკიური მე-19 ნიშნის ორი სახეობა გაყოფილია ორად. ამიტომ და სხვა მიზეზის გამო, როცა ბერძნული დამწერლობის ნიშნებს რიცხვითი მნიშვნელობები მიენიჭა, გამოტოვებულ იქნა ქართული 23-ე ნიშანი და მისი რიცხვითი მნიშვნელობა 500 გადაიწია 24-ე ნიშანზე, რომელიც ანუ 24-ე ნიშანი ბერძნული რიცხვითი ნიშნების რიგის 23-ე ადგილზე აღმოჩნდა.

კანონზომიერებაზე და მრავალ ფაქტზე დაყრდნობით კეთდება დასკვნა, რომ როგორც ფინიკიელები არ შეიძლება ჩაითვალოს დამწერლობითი ნიშნების შემქმნელებად, ასევე ბერძნები არ შეიძლება ჩაითვალოს დამწერლობით ნიშნებზე რიცხვითი მნიშვნელობის მიმნიჭებლად და დამწერლობაში ხმოვნების შემტანად ანუ ანბანური დამწერლობის შემქმნელებად. დამწერლობითი ნიშნები, როგორც რიცხვითი ნიშნები, დიდი ხნით ადრე იყო შექმნილი და ამავ დროს ანბანური დამწერლობა, ბევრად ადრე, ვიდრე მის გამოყენებას დაიწყებდნენ ბერძნები.

ამრიგად, იმ მცდარი ცვლილებების გამო, რაც ზემოთ იყო მოხსენებული, ქართული დამწერლობის ნამდვილ 24-ე ნიშნამდე ორი გრაფიკული ნიშნით შემცირდა ნიშნების საერთო რაოდენობა [24-ე ნიშანი ფ/ph (ფარ/phar) 25-ე ნიშანია ქართული ასომთავრულის დამწერლობითი ნიშნების რიგში, რადგან 22-ე და 23-ე ნიშანს შორის ლიგატურა იდგა ურიგოდ, რომელსაც არც რიცხვითი და არც ანბანური რიგის ბგერითი მნიშვნელობა ჰქონდა, და რომელიც ანბანურ რიგში სხვა დანიშნულებით არის ჩასმული] და რახან ბერძნულის გავლენით მცდარად გადაიწია დამწერლობითი ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობები, ამის გამო კი 24-ე ნიშანი 23-ე აღმოჩნდა, ასე გაგრძელდა მომდევნო ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობების შეცვლა რიგის მიხედვით 31-ე ნიშან ძ/dz (ძილ/dzil)-ის ჩათვლით და ნიშან ძ/dz (ძილ/dzil)-ს თვითნებურად მიენიჭა რიცხვითი მნიშვნელობა

3000, როცა მას, როგორც ზემოთ ნაჩვენები 1-ელი და მე-2 ცხრილი ადასტურებს, რიცხვითი მნიშვნელობა 1000 ჰქონდა პირველქმნილი კანონზომიერების მიხედვით.

ასეთი მსჯელობის შემდეგ ისმის კითხვა- რას ემყარება ეს მოსაზრებები? - ჯერ ერთი - ამ მსჯელობას მყარი საფუძველი აქვს, გარდა 1-ელ და მე-2 ცხრილში არსებული მონაცემებისა; მეორე - ამ სტატიის ავტორის მიერ დადგენილია დამწერლობის შექმნის სამი ფაზა (მხედველობაში არ არის ქართულ დამწერლობაში ცნობილი: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული), ამასთან ერთად, აღდგენილია პირველქმნილი დამწერლობითი ნიშნები, რასაც ავტორის მიერ „მსოფლიოს 1-ელი საოცრება“ ეწოდა. დადგენილი და დაზუსტებულია თუ როგორ შეიქმნა ქართული დამწერლობისგან: თანამედროვე არაბული, სომხური და ალბანური (აგვანური) დამწერლობა. დადგენილია აგრეთვე დამწერლობებში: ბერძნულში, ლათინურში და სლავურში გადატანილი ქართული დამწერლობითი ნიშნები. მეტ-ნაკლებად გამოკვლეულია სალაპარაკო ენის რიცხვითი შემადგენელი, აღდგენილია რიცხვითი სახელების შექმნის რამდენიმე რედაქცია და შედგენილი რიცხვითი სახელების ფორმები, რომელთა გავრცელების არეალი მოიცავს ევროპის და აზიის კონტინენტს. მეტ-ნაკლებად დადგენილია თუ როგორ გარდაიქმნა რიცხვითი სახელების პირველადი ფორმები სხვადასხვა ენების სხვადასხვა კატეგორიის სიტყვებში, მაგ. რიცხვით, თვეების და დღეების სახელებში; როგორ არის შედგენილი კალენდარი ქართული ასომთავრული დამწერლობის და რიცხვით ნიშნების შექმნასთან ერთად, რაც ქართველი საეკლესიო მოღვაწის და ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობის მიხედვით ძვ. წ. ა. III ს-ში ფარნავაზის მეფობის დროს მოხდა და რომელიც ანუ ფარნავაზ მეფის კალენდარი რომის პაპმა გრიგორი XIII მე-16 ს-ში გაავრცელა საყოველთაოდ. ე. ი. ფარნავაზ მეფის დროს შექმნილი ქართული კალენდარი ისევ შემობრუნდა საქართველოში, რომელიც ავტორის მიერ მოძიებული ცნობის თანახმად იულიუსის კალენდრით შეიცვალა (სავარაუდოდ) დავით აღმაშენებლის მეფობისას გიორგი მთაწმინდელის თაოსნობით.

ზემოთ მოხსენებული გამოკვლეულია კონკრეტულად და დამტკიცებულია გრაფიკული ნიშნების ფაქტებით, მეცნიერთა მოსაზრებებით და ისტორიული ცნობებით, ენათმეცნიერულ მონაცემებთან ერთად, ავტორის - გურგენ ვალერიანესძე კოხრეიძის ნაშრომში „ქართული ასომთავრული მოლაპარაკე ანბანი“.

რა თქმა უნდა, მცირე ზომის სტატიაში შეუძლებელია მრავალი გამოკვლეული მასალის ჩვენება და მეორე - დრომდე ტაბუ ექნება დადებული ავტორის მიერ ხელმეორედ აღმოჩენილი დამწერლობითი, იგივე რიცხვითი ნიშნების შექმნის და სიტყვის შედგენის საიდუმლოს.

შინაარსი

წინასიტყვაობა ____ 5
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 85 წლისაა ____ 6
ავთანდილ თვალჭრელიძე ____ 9

სექცია: თხელ სხეულთა მექანიკა

სერგეი ლურიე, მიხეილ ნიქაბაძე, პეტრე ბელოვი.
სუპერთხელი სტრუქტურების ადგეზიური მოდელი. მექანიკური და დინამიური თვისებები. ____ 12
მიხეილ ნიქაბაძე.
ტენზორულ ბლოკებიანი მატრიცის საკუთრივი მნიშვნელობის ამოცანის გამოყენება მექანიკაში. ____ 21
სერგეი ლურიე, ოვიკ მატევოსიანი, მიხეილ ნიქაბაძე, არმინე ულუხანიანი.
მატერიალური ტენზორული ობიექტების საკუთრივი მნიშვნელობის ამოცანა და ტალღების გავრცელების სიჩქარეები. ____ 40
მიხეილ ნიქაბაძე.
თხელი სხეულების დეფორმაციის მათემატიკური მოდელირების შესახებ. ____ 57
მიხეილ ნიქაბაძე, არმინე ულუხანიანი, თამარ მოსეშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნოდარ მარდალეიშვილი, ზურაბ არქანია.
ხუთშრიანი თხელი პრიზმული სხეულების მოდელირების შესახებ. ____ 95
ბადრი ჭურჭელაური, ზვიად ჭურჭელაური, ალექსანდრე ტყეშელაშვილი.
დრეკად ფუძეზე მდებარე ფენოვანი თხელკედლიანი კონსტრუქციების გაანგარიშება. ____ 122

სექცია: მრავალშრიანი კონსტრუქციების მათემატიკური მოდელირება

ვოლფგანგ მიულერი, ელენა ვილჩევსკაია
მიკროპოლარული სითხეების თეორიის ახალი ასპექტები ____ 128
ნიკოლაი შამაროვი, ოლეგ სმოლიანოვი
ვეილის მეორე ქვანტიზაციის ჰამილტონიანი და ზომების ფესვები ____ 141
თემური მოდებაძე, ნინო გოგოლაძე
დისპერსიულ გარემოში არაწრფივი სითბური მიმოცვლის ოპტიმალური მართვა ____ 147
ქეთევანი კუთხაშვილი.
ერთგვაროვანი თხელი ფირფიტის ოპტიმალური დაჭრის მათემატიკური მოდელი ____ 157

ბიძინა აბესაძე
დრეკად–ბლანტი სხეულების თვისებების აღმწერი ოთხ ელემენტიანი განზოგადებული მოდელების შედარებითი ანალიზი. 160
გიორგი ოქროპირიძე.
საჰაერო ხომალდის ფრთის შემონაკერის კომპოზიციური მასალის მათემატიკური მოდელი მდგრადობასა და თერმოიზოლაციაზე. 167
ნინო ჩორხაული, ნატრული ხარჭავანიძე , ბელა წიქარაძე, ირინა ფარადაშვილი.
დამრეცი გარსების ერთმალიანი მრავალტალღიანი საფარის მათემატიკური მოდელი. 174

სექცია: უწყვეტ გარემოთა მექანიკის გამოყენებითი ამოცანები

ოვიკ მატევოსიანი, მიხეილ ნიქაბაძე, არმინე ულუხანიანი.
ბიჰარმონიული ამოცანები და მათი გამოყენება. 184
ჯორჯო ნორდო
ჩადგმის თეორემა ტოპოლოგიურ სივრცეებში. 194
თამარ მოსეშვილი,,ნოდარ მარდალეიშვილი,,ქეთევან ცხაკაია, დავით ძაძამია.
მრავალფენიანი მრავალფუნქციური ტექსტილური კომპოზიტების ფენების ფორიანობისა და მათში ტენის გადაადგილების კვლევა. 224
ბადრი ცუცქირიძე
სუსტად ელექტროგამტარი სითხის პულსაციური დინება. 232
ნათელა ზირაქაშვილი
დრეკადობის თეორიის შიგა სასაზღვრო ამოცანის ანალიზური ამოხსნა პარაბოლით შემოსაზღვრული არისათვის ნორმალური დატვირთვით. 244
დავით ლეკვეიშვილი, მანანა ჭუმბურიძე.
ძირითადი სასაზღვრო-კონტაქტური ამოცანის მიახლოებითი ამოხსნების აგების ახალი მეთოდის შესახებ. 253
ემირ ბაკურაძე, ბადრი ზივზივაძე, თამარ მოსეშვილი, კახა ბაკურაძე.
ექსკალატორის სახელურების დამზადება ბაზალტის როვინგისაგან ფორმირებული ქსოვილის კომპოზიტისაგან. 258
ემირი ბაკურაძე , ბადრი ზივზივაძე, კახა ბაკურაძე.
საფეიქრო კომპოზიციური მასალებისაგან ელექტროსაკონტაქტო მილების დამზადების ახალი ინოვაციური ტექნოლოგიის დამუშავება. 264
რევაზ კახიძე
შედგენილი კონსტრუქციების გაანგარიშების მაგალითი ვარიაციული მეთოდის გამოყენებით 273
თამაზ ხმელიძე, გელა ყიფიანი, ელინა ქრისტესიაშვილი.
კომპოზიტური სამშენებლო კონსტრუქციები და მათი გაანგარიშების თავისებურებანი ანიზოტროპიის გათვალისწინებით. 278
საღინაძე ივანე, ფხაკაძე მანანა.
გარემოსდაცვითი და გეომორფოლოგიური პრობლემები ქალაქ ფოთის შავი ზღვისპირა რეგიონში და მათი აღმოფხვრის გზები. 288

ცირა ბერაძე
იმიტაციური მოდელირება პროექტირების ეტაპზე და მისი პრაქტიკული რეალიზაცია. 292
ცირა ბერაძე
მობილური მანქანის საანგარიშო დინამიკური მოდელის შედგენის და დიაგნოსტიკაში გამოყენებული იმიტაციური მოდელირების პრინციპები. 299
მერაბ დათუაშვილი.
მრავალფენიანი ქსოვილური გარსების კუმშვისას დეფორმაციული პროცესების კვლევა. 306
ომარ კიკვიძე, გერონტი სახვაძე.
ლითონების არადრეკადი დეფორმირების მოდელირება და თერმო-დრეკად-ფაზური სასაზღვრო ამოცანის ამოხსნის მეთოდი. 313
ალექსანდრე პანინი.
მრავალუჯრედიანი სასილოსე კორპუსების კედლებზე ძალების გაანგარიშების ერთი მარტივი მეთოდიკის შესახებ. 318
გერონტი სახვაძე.
მასალების გამტკიცების სასრულე-ელემენტებიანი მოდელირება საკუთარი დეფორმაციების მეთოდის გამოყენებით დატყმითი ლაზერულ-ტალღური დამუშავებისას. 326
კოსტა სვანაძე
დრეკად ნარევთა თეორიის სტატიკის მეორე სასაზღვრო ამოცანის ელიფსურ არეში ეფექტურად ამოხნის ერთი ხერხის შესახებ 338

სექცია: ანალიზის მონათესავე საკითხები

მალხაზ ბედიაშვილი, გელა ყიფიანი, ვაჟა სულაშვილი.
სამშენებლო დარგის მეცნიერების განვითარების პროცესები საქართველოში. 346
მარინა ქურდაძე, თამაზი გარდაფხაძე, მარინა გარდაფხაძე.
ბიზნეს-პროექტების განხორციელების მიზანმიმართული ფუნქციონირების ფორმალიზებული მოდელი. 352
ლაშა სამხარაძე.
ავარიულ-დეფორმირებული ნაგებობების აღდგენა რეკონსტრუქციის პროექტირების ორგანიზაციის გაუმჯობესების პრობლემები და დაპროექტების მეთოდოლოგია ქ. თბილისის მაგალითზე. 361

Content

Session: Mechanics of Thin Bodies

Sergei Lurie, Mikhail Nikabadze, Petr Belov.
Adhesion Model of Hyperfine Structures. Mechanical and Dynamical Properties. 12
Mikhail Nikabadze
Application of eigenvalue problems for tensor-block matrices in mechanics 21
Sergei Lurie, Hovik Matevossian, Mikhail Nikabadze, Armine Ulukhanyan
The Problem of Eigenvalues of Material Tensor Objectives and Velocities of Wave Propagation 40
Mikhail Nikabadze
On Mathematical Modeling of Thin Body Deformation. 57
Mikhail Nikabadze, Armine Ulukhanyan, Tamar Moseshvili, Ketevan Tskhakaia, Nodar Mardaleishvili, Zurab Arkania.
To the Modeling of Five-layer Thin Prismatic Bodies. 95
Maxim V. Shamolin
Oscillations During Spatial Deceleration of a Rigid Body in a Resisting Medium 114
Badri Churchelauri, Churchelauri Zviad, Tkeshelashvili Aleksandre.
Analysis of Located on Elastic Foundation Layered Thin-walled Structures. 122

Session: Mathematical Modeling of Multilayered Structures

Müller Wolfgang H.. Elena Vilchevskaya
New Aspects in Micropolar Fluid Theory. 128
Nikolai Shamarov, Oleg Smolyanov.
Hamiltonian Weyl Second Quantization and Roots of Measures 141
Temuri Modebadze, Nino Gogoladze.
Optimal Control of Non-Linear Heat Exchange in a Dispersion Medium 147
Ketevan Kutkhashvili
Mathematical Model of Optimal Cutting of a Homogeneous Thin Plate 157
Bidzina Abesadze
Comparative Analyses of the Four-element Generalized Models Describing of Elastic-viscous Bodies Properties. 160
Giorgi Okropirdze.
The Mathematical Modeling of the Structural Strength and Thermal Isolation of the Wing Skin of Airplane. 167
Nino Chorkhauli, Kharchavanidze Natruli, Tsikaradze Bela, Paradashvili Irina.
Mathematical Method of Single-span Depressed Shells Multi-wace Covering. 174

Session: Applied Problems of Continuum Mechanics

Hovik Matevossian, Mikhail Nikabadze, Armine Ulukhanyan
Some Biharmonic Problems and their Applications 184
Giorgio Nordo
An Embedding Theorem in Soft Topological Spaces. 194
Gerard R. Lemaitre, Pascal Vola, Eduard Muslimov.
Active optics in astronomy – Freeform mirror for the MESSIER telescope proposal 200
René Verreault, Thomas J. Goodey, Dimitrie Olenici,,Jean-Bernard Deloly.
Subtle properties of the anisotropic Foucault pendulum 207
Tokuei Sako
Correlated electron dynamics in field-induced time-dependent current in low-dimensional nanostructures 223
Tamar Moseshvili, Nodar Mardaleishvili, Ketevan Tskhakaia, David Dzadzamia.
Investigation of Porosity and Moisture Transportation Through Textiles in Multi Layer Textile Composites. 224
Badri Tsutskiridze
Pulsating Flow of Weakly Conductive Liquid with Heat Transfer. 232
Natela Zirakashvili.
Analytical Solution of Internal Boundary Value Problem of Elasticity for Domain Bounded by Parabola with Normal Load. 244
David Lekveishvili, Manana Chumburidze.
About the New Method to Construct of Approximate Solution of Boundary-contact Problem. 253
Emir Bakuradze, Badri Zivzivadze, Tamar Moseshvili, Kakha Bakuradze.
Using of Textile Composite Produced from Basalt Roving for Manufacturing of Subway's Escalators Sleeves. 258
Emiri Bakuradze, Badri Zivzivadze, Kakha Bakuradze.
Developing the Innovative Technology for Producing the Electro-contact Pipes from Textile Composite Materials. 264
Revaz Kakhidze
Example of Analysis of Compound Structures by Application of Variation Method. 273
Tamaz Khmelidze, Gela Kipiani, Elina Kristesiashvili.
Composite Building Structures and their Calculation Characteristics with Account for Anisotropy. 278
Ivane Saginadze, Manana Pkhakadze
Ecological and Geomorphological Problems of the Poti Black Sea Region and Ways of their Elimination 288
Tsira Beradze.
Simulation Modeling in the Design Stage and Its Practical Implementation. 292
Tsira Beradze
The Principles of Developing the Calculating Dynamic Model of Mobile Vehicle and Imitation Modeling Used in Diagnosis. 299

Merab Datuashvili.
Investigation of Deformation Processes in Multilayered Shells under Compression. 306
Kikvidze Omar, Sakhvadze Geronti.
Modeling of Inelastic Deformation Metals and Method Solutions of Thermoelastic Phase Boundary Problem. 313
Aleksandr Panin.
About One Simple Method of Determining the Efforts in the Walls of the Silo Blocks with a Large Number of Cells. 318
Geronti Sakhvadze.
Finite Element Modeling of Material Stretching During Laser Shock Processing, Using the Method of Eigenstrains 326
Kosta Svanadze
On one way of effective solution of the second boundary value problem of statics of the theory of elastic mixture in an elliptic domain. 338

Session: Related Problems of Analysis

Malkhaz Bediashvili, Gela Kipiani, Vazha Sulashvili.
Processes of Development of Construction Field Science in Georgia. 346
Marina Kurdadze, Tamaz Gardapkhadze, Marina Gardapkhadze.
Formalized Model of Purposeful Functioning of Business Projects. 352
Lasha Samkharadze.
Problems of Improvement of Restoration-reconstruction Organization of Planning of Dangerous-deformed Structures and Planning Methodology on Example of Tbilisi city. 362